

708/6
1965/3

ეროვნული
მუზეუმი



ქართული მემკვიდრეობა



700
1965/4



საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS

10166.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1965





გური სტატიო, ქუჩელი





9-35

ქაბულა მხუთე





კრიტიკული იმპრინტა საპ. გიორგი ჩუბინაშვილს, მასში მოთავსებული წერილები შეჯამდა ომაკლარა კავასიონის კალთებზე შეფენილ საქართველოს ისტორიულ პროინციებს: სვანეთის, რაჭის, დვალეთის, ხევის, ფშავისა და ხევსურეთის კულტურის მკვლევს. ეს მხარე, ბუნებრივი პირობების გამო, კარგად იყო დაცული გარეშე მტრების გამანადგურებელი შემოსევებისაგან.

ამ რაიონებში უხვადია შემორჩენილი საცხოვრებელი კომპლექსები, მთელი ანსამბლები, გამაგრებული სასახლერო დასახლებული დაბები — შატლი, მუცო..., სახელწოდებები და ნიშნულების სახლების გადამკეტი კედლები: დვალეთის სამი კარი, დარიალის ციხე-კედელი და სხვა.

საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე, რომ ქართველმა მთის ხალხებმა შემოინახა საუკუნიდან საუკუნემდე დახვეწილი, მდიდარი და მაღალმხატვრული გამოყენებითი ხალხური ხელოვნების ნაწარმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მხატვრული ორნამენტით და თვალის მომხიბლავი ფერების: შალის, ბამბის თუ აბრეშუმის ქსოვილები, რომლებსაც ჩვენი მთა და ბარი ოდითგანვე ფართოდ აწარმოებდა. თუ ეს ტრადიცია ბარში ვაქრა, მთაში: ფშავერი, ხევსურული, შიიქული წინდები, თუმერი „ჩითები“, ხალიჩები და სხვა, ვერ კიდევ არსებობს და ნაწარმი საყოველთაოდ მოწონებას იმსახურებს. ეს ტრადიცია უნდა დაიცვათ. უფრო მეტიც: საქირაა მათი ჩაყენება ჩვენი დროის მხატვრულ მოთხოვნილებათა სამსახურში.

ქველის მეგობრის მე-5 ნომერში მოთავსებული წერილები მიძღვნილია საქართველოს მთიან ნაწილში შემონახული დიდი მემკვიდრეობის დაცვის საკითხსადაც. ამ საქმეში კი პასუხისმგებლობა ევალება ყველას, ვინც კულტურის ძეგლთა მეგობარია.

ამვე ნომერში მკითხველი გაეცნობა აგრეთვე საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების III რესპუბლიკური ყრილობის მასალებსა და ქრონიკის განყოფილებას.

გ ა გ მ დ ი ს ს ა ზ ო ზ ა დ ო ე ბ რ ი ე ს ა ვ ე შ ი ს ე ბ ზ ე

საკრედიტო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, შალვა ამირანაშვილი, ანდრო აუშაძე, ვახტანგ ბერიძე, ლევან გომთა, ლადო გუდიაშვილი, თიბონაჯ კანდელაკი, ირაკლი ზაქარიაშვილი, ნიკო კაცოშვილი, ლევან პატარაძე, კობი სოზამე, ზაირა სტურა (პ/მ, მღვანი), გიორგი ჩიბრაძე, გიორგი ჩუბინაშვილი, ვახტანგ ცინცაძე, ლევან ხიმშიაშვილი.

საქართველოს კულტურის მემკვიდრეობის დაცვის საზოგადოების მესამე უბიწრობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მესამე ყრილობის დეკლარაციას და მათი სახით — საზოგადოების ყველა წევრს.

კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობა შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დროს, როცა მთელი საბჭოთა ხალხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის, ნოემბრისა და მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებით შთაგონებული, წარმატებით იბრძვის კომუნისტური მშენებლობის დიდი პროგრამის განხორციელებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო ზრუნვით არის გარემოსილი მთელი დიდებული კულტურული მემკვიდრეობა. იგი ჩვენი ხალხის კულტურული ცხოვრების ანარქია. საზოგადოებრივი შრომისა და შემოქმედების ნაყოფია და ხელს უწყობს საბჭოთა ადამიანების შემდგომ სულიერ ზრდასა და განვითარებას. კულტურის ძეგლების დაცვა მშრომელთა ღვიძლი საქმეა. ამ საქმეში დიდი და კეთილშობილური როლს ასრულებს ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რომელმაც შედარებით მოკლე დროში ნაყოფიერი მუშაობა გასწია.

საზოგადოებრივ მუშაობაში კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაშალოს თავისი მუშაობა, სანიმუშოდ მოაწიოს წარსულის ძეგლთა მიკვლევის, აღრიცხვის, დაცვისა და მოვლა-პატრონობის სახელმწიფოებრივი საქმე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ნაყოფიერ მუშაობას უსურვებენ საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მესამე ყრილობას და გამოთქვამენ რწმენას, რომ საზოგადოების წევრთა მრავალათასიანი კოლექტივი ძალასა და ენერჯიას არ დაიშურებს მის წინაშე მდგომი დიდი ამოცანების შესასრულებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო



ქვიციანი და დიდად კავშირები
პ ი ო გ ი,



საპარტიულს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება მოგესალმებათ თქვენი, დიდად კარგად მიცნობის, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, დიდადების იტყობინებულა.

თქვენი დამსახურება პარტიული ხელშეწყობის მიხედვით უსწავლეს, შიშის ეროვნული თანისაგებობის ჩვენების, შიშის საპარტიულ შინაგანობასა და იტყობინებულა აღიარის დამაინის საპარტი, საპარტიული და ცნობილი.

თქვენი განუყოფელი ანატი დამაინთ პარტიული კულტურის ძეგლთა დაცვის საქმიანობა, რომელიც იტყობინებულა თქვენს უიკრავლეს საპარტიულს შეაღებულა.

საპარტიულიში საპარტიული ხელისუფლებას დამაინების პირველ დამაინთაგან, რომელიც ეროვნული ხელშეწყობის ძეგლთა ხელის საპარტიულად იტყობ, რაც განუყოფელი სიწყავით დამაინს ძეგლთა თანაგებობის, მათი დამაინ-რისტობისა და საპარტიული საპარტიული ორგანიზაციის საპარტიული, თქვენი იტყობით მათი მთავარი ხელშეწყობილთაგანი მთელი ან საპარტიული.

თქვენს დამაინთს უიკრავს უნდა ვთხარავდით უიკრავი შენაინთაგანი ძეგლის დამაინთა, თქვენი ხელშეწყობილთაგანის წყაროებით ძეგლთა მოვლა-აღიარების საქმიანობითაც მათი მიხედვით საპარტიულს დამაინთა და მას შეაღებ მათივე მიხედვით თანისაგებობით წარმოებს.

დიდად თქვენი დამაინთ ჩვენი ეროვნული ხელშეწყობის კონკრეტობის საქმიანობა, დამაინთ კულტურის ძეგლთა დაცვისა და რისტობისაგანის დამაინთ ნატიუნი არ დამაინთ თქვენი მოსაინთობის გარეშე, თქვენი გულმგებულად დამაინთობა ან საქმიანობა უიკრავთაგანის სანიშნობა და მისაგებობა.

მისაგებობა უიკრავთაგანისა და დამაინთს სიწყავლეს, დამაინთს არ მოვლავდით თქვენი კონკრეტობა პარტიული ეროვნული ხელშეწყობის საპარტიული.

საპარტიულს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების კავშირებით



გიორგი ჩუბინაშვილი

ფოტო რ. მუფთაშვილსა

ვახტანგ ბერიძე

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის
დირექტორის მოადგილე

**გიორგი ჩუბინაშვილი და ქართული კულტურის
ძეგლთა დაცვა-კოკაულარიზაციის საქმე**

(აკად. გ. ჩუბინაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავად)

დიდი ქართველი მეცნიერის, ქართული მეცნიერული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებლის, გიორგი ჩუბინაშვილის ხანგრძლივ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნივთიერი კულტურის ძეგლთა თავმოყრის, დაცვისა და რესტავრაციის საკითხებს. ეს საკვებით ბუნებრივია: ქართული ნივთიერი კულტურის—ხუროთმოძღვრების, მხატვრობის, ქანდაკების, ოქრომჭედლობის—ძეგლები გ. ჩუბინაშვილს აინტერესებს, როგორც მეცნიერსაც—რაკი სწორედ ისინი შეადგენენ მისი კვლევის საგანს, და როგორც საზოგადო მოღვაწესაც—რაკი მისთვის ღვიძლი და ახლობელია ყველაფერი, რაც საერთოდ ჩვენს ეროვნულ კულტურას, მის წარსულსა და მომავალს ეხება.



გ. ჩუბინაშვილი საქართველოში საბოლოოდ დასახლდა 1918 წელს როცა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად და ბის ისტორიის კათედრის გამგედ იქნა არჩეული.

რა მდგომარეობა იყო იმხანად, ე. ი. რევოლუციის პირველ წლებში კულტურის ძეგლთა დაცვის მხრივ? როგორც ცნობილია, რევოლუციამდელი რუსეთი ამ საქმეში დიდად ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპას. აქ (უშეტესად მოსკოვსა და პეტერბურგში) არსებობდა მდიდარი მუზეუმები, მაგრამ მუზეუმებს გარეთ დარჩენილი მთელი სიმდიდრე—ხუროთმოძღვრული ძეგლები, ეკლესიებში და კერძო პირებთან დაცული ნივთები—მოკლებული იყო საჭირო ზედამხედველობას, მეცნიერულ დაცვასა და შესწავლას.

საქართველოში, ისევე როგორც რუსეთის მთელ იმპერიაში, სიძველეთა შესწავლა, მოგროვება და სამუზეუმო დაცვა თითქმის მთლიანად კერძო პირთა ან საზოგადოებათა ინიციატივის ფარგლებს არ გასცილებია. ამ საქმიანობას ეწეოდნენ თბილისის საეკლესიო მუზეუმი, დაარსებული დიმი. ბაქრაძის თაოსნობით, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. რომელთაც თავ-თავისი მუზეუმები ჰქონდათ. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ამათ მიემატა სამეგრელოს მუზეუმი ზუგდიდში და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ხუროთმოძღვრების ისტორიულ ძეგლთა ნაწილი რევოლუციამდე, ფაქტიურად, უპატრონოდ იყო მიგდებული, ნაწილს კი (მოქმედ ეკლესია-მონასტრებს) საეკლესიო ხელისუფლება განაგებდა: მათი ექსპლუატაციის დროს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ითვალისწინებდნენ, რომ ეს ხელოვნების ხელმუშეებელი ძეგლები იყო.

რევოლუციამ სრულიად შეცვალა საქმის ვითარება. ეკლესია გამოყოფილი იქნა სახელმწიფოსაგან და საეკლესიო ქონება საყოველთაო-სახალხო კუთვნილებად გამოცხადდა; ეკლესიების დიდი ნაწილი, როგორც ცნობილია, გაუქმდა და დაცარიელდა. ამ შენობებსაც და შიგ დაცულ ძვირფას საეკლესიო ნივთებსა და ხელნაწერებსაც პატრონობა ესაჭიროებოდა. საჭირო იყო მხატვრული და ისტორიული ღირებულების ნივთთა ჯერ თავმოყრა და გადარჩენა, შემდეგ კი, ბუნებრივია, სათანადო მოვლა და დამუშავება.

რა თქმა უნდა, გიორგი ჩუბინაშვილი მთელი ამ საქმიანობის ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე და ხელმძღვანელთაგანი იყო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე თვეებში განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა სექცია, რომელსაც დაევალია მუზეუმებისა და ხელოვნებისა და სიძველეთა ძეგლების დაცვის ხელმძღვანელობა. შემდეგ საქმე სხვადასხვაგვარ ორგანიზაციულ ფორმებს ღებულობდა, ერთგან მას იმავე კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობა უძღვებოდა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ხელოვნების ძეგლთა პატრონობა პირველად იქცა სახელმწიფოს ზრუნვის საგნად, რაც სულ სხვანაირ პერსპექტივებს სახავდა. მომავლისათვის. რუსეთში, ამ მხრივ, უკვე უფრო ადრე იყო გადადგმული ნაბიჯები.

გიორგი ჩუბინაშვილმა, რომელიც 1921 წლის აპრილიდან დეკემბრამდე მეთაურობდა ხსენებულ სექციას, იმავე წლის 15 ივნისს წარადგინა დაწერილებითი მოხსენებითი ბარათი ამ სექცია-განყოფილების ფუნქციებისა და ორგა-



ნიზაციის შესახებ. ამ ბარათში მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული მომავალი მუშაობის მთელი პროგრამა.

სულ მალე გ. ჩუბინაშვილი პრაქტიკულადაც ჩაება ძველთა გადარჩენისა და მოგროვების საქმეში. ეს სწორედ მაშინ იყო, როცა დასავლეთ საქართველოში ანტირელიგიური კამპანია მიმდინარეობდა. სამეგრელოს მუზეუმის დირექტორ აკაკი ტანტურისთან ერთად, მან უძნელეს პირობებში მოიარა ზუგდიდისა და სენაკის მარები და თუმცე განსხვავებულს (ზუგდიდის მარაში, სადაც უფრო შეგნებული ხელმძღვანელობა აღმოჩნდა—უკეთესს, სენაკისაში—ნაკლებს), მაგრამ მაინც გარკვეულ შედეგებს მიაღწია. ბევრი რამ მოგროვდა და ჩატანილ იქნა ზუგდიდის მუზეუმში, რომლის არსებობასაც, როგორც გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავდა, ძალიან დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მოგზაურობის ანგარიში მოწმობს, რომ ეს ნამდვილი დრამატული ეპოპეა იყო. გულისტკივილთაა მოთხრობილი, რომ ზოგი შეუგნებელი ადგილობრივი „ულტრარევოლუციონერის“ გულმოდგინების წყალობით, უკვალოდ დაიღუპა ან დაზიანდა ხელოვნების პირველხარისხოვანი ძეგლები.

გ. ჩუბინაშვილსაც შემდეგშიაც არაერთხელ შეხვედრია ამის მსგავსი მისიის შესრულება, თუმცა რა თქმა უნდა, ნაკლებად დაძაბულ და მღელვარე პირობებში. სიძნელის წინაშე უკან დახევა, სიძნელისათვის თავის არიდება, საკუთარი თავის დაზოგვა, მისთვის საერთოდ უცხოა. განა დამახასიათებელი არაა, რომ იგი არ მოერიდა ოცდახუთი წლის შემდეგ, 1948 წელს, როცა უკვე აღარც ისე ახალგაზრდა იყო, ვილისით მოგზაურობას სენაკში, სადაც ის და მისი მოწაფე, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი ვახტანგ ცინცაძე, სოფელ-სოფელ დადიოდნენ, ამოწმებდნენ ძველ ეკლესიებს. ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი დათანხმებულიყვნენ ხელოვნების ნივთების გადაცემას მუზეუმისათვის და აგროვებდნენ კიდევ ამ ნივთებს (ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მხრივ სენაკში განსაკუთრებული მდგომარეობაა: ზოგი სოფლის ეკლესიის მცველებად თუ თუ პატრონებად ერთისა და იმავე ოჯახის წევრები ითვლებიან ძველთაგანვე. ეს წესი თაობიდან თაობაზე გადადის: ისინი იცავენ თავის ეკლესიას „უცხო“ ხელის მოკარებისაგან—აქ, რა თქმა უნდა, ცრუმორწმუნე შიშსაც აქვს მნიშვნელობა—მაგრამ ვერც თვითონ უვლიან ეკლესიებში დაეცულ ნივთებს, ხშირად ფრიად ძვირფასთ. ამ მოხუცებთან საერთო ენის გამოძებნას, „მათი“ ეკლესიებიდან ნივთების გატანას დიდი დახელოვნება და სიფრთხილე სჭირდებოდა).

მრავალი ახალი სამუზეუმო ნივთის ჩამოტანამ თბილისში, ძველი სამუზეუმო განძეულობის მეცნიერული დამუშავების საჭიროებამ განსაკუთრებული სიმწვავეით დასვა მუზეუმების რეორგანიზაციის, მათი საბოლოო მოწესრიგების საკითხი. ამ საქმეშიაც გ. ჩუბინაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის: მან იმთავითვე დასაბა ფართო, სისტემატიური პროგრამა სამუზეუმო საქმის ახლებური ორგანიზაციისა.

ეს პროგრამა—ორგანიზაციული თვალსაზრისით—შემდეგში რამდენადმე განსხვავებულად განხორციელდა, მაგრამ არსებული კოლექციების დარგობრივი და მუზეუმების სპეციალიზაციის პრინციპი, დასახული გ. ჩუბინაშვილის მიერ, მართლაც გატარდა ცხოვრებაში. პირველ ნაბიჯს ამ მხრივ წარმოადგენდა ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი, რომელიც 1924 წ. შეიქმნა უნივერსი-



აკად. გიორგი ჩუბინაშვილი სვანეთში. 1948 წ. ფოტო ვ. ცინცაძისა.

ტეტის ხელოვნების მეცნიერების კაბინეტთან და რომელსაც გ. ჩუბინაშვილი ჩაუდგა სათავეში. უმთავრესი ადგილი მუზეუმში ეჭირა ოქრომჭედლობას-თავმოყრილი იყო აგრეთვე მინანქრების, ფერწერული ხატების, ხის ნაკეთობათა, ქსოვილებისა და ნაქარგობის ძვირფასი ნიმუშები. ექსპონატთა საერთო რაოდენობა 2500-ს აღწევდა. მუზეუმმა 1930 წლამდე იარსება, შემდეგ მისი კოლექციები საქართველოს მუზეუმს გადაეცა, უფრო გვიან კი—უკვე საბოლოოდ—ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს.

1929—1934 წლებში გ. ჩუბინაშვილი საქართველოს მუზეუმის დირექტორის მოადგილეა. ამ ხანებში—მუზეუმის ახალი შენობის დასრულების შემდეგ—ამ უძველეს სამეცნიერო დაწესებულებას ბევრი რამ ახალი შეემატა სხვადასხვა დაწესებულებებიდან, მოეწყო რამდენიმე ახალი გამოფენა (მათ შორის ზევსურეთის ეთნოგრაფიული გამოფენა); საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საქართველოს განყოფილებასთან ერთად, მუზეუმმა მოიწვია ცნობილი არქეოლოგი შნაიდერი ნოქალაქევის გათხრების საწარმოებლად; დასასრულ, 1930 წელს მუზეუმმავე მიიღო მონაწილეობა ძველი ქართული ხელოვნების დიდი გამოფენის მომზადებაში გერმანიის ქალაქებისათვის.

ეს გამოფენა—ქართული ხელოვნების პირველი (და ჯერჯერობით უკანასკნელი) დიდი ჩვენება უცხოეთში მოეწყო აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელ-

ლი გერმანული საზოგადოებისა და საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის თაოსნობით. გამოფენის მომზადებისა და ექსპოზიციის მენეჯერად ხელმძღვანელი გ. ჩუბინაშვილი იყო. გამოფენა შეიცავდა არქიტექტურის, კედლის მხატვრობის, ოქრომჭედლობის, ხელნაწერთა და ნაქარგობის ნიმუშებს და იძლეოდა ქართული ხელოვნების განვითარების სურათს IV-დან XVIII საუკუნემდის. ფოტო სურათებთან და ფერად ბირებთან ერთად, აქ იყო ორიგინალებიც (ოქრომჭედლობისა და ნაქარგობის ნიმუშები). გიორგი ჩუბინაშვილმა მოამზადა აგრეთვე გამოფენისათვის საგანგებო წიგნი (გერმანულად), რომელშიც, გარდა კატალოგისა, მოთავსებული იყო შემდეგი წერილები: ქართული ხელოვნება და მისი განვითარების პრობლემები; შუასაუკუნეების ქართული ხელოვნების გამოფენის ექსპონატების ხასიათი და შეზღუდვები. წიგნი დასურათებულია. გამოფენა მოეწყო გერმანიის ოთხ დიდ ცენტრში: ბერლინში, კელნიში, ლაიფციგსა, მიუნხენში. გიორგი ჩუბინაშვილმა რამდენიმე მოხსენება წაკითხა ქართული ხელოვნების შესახებ. გამოფენამაც და მოხსენებებმაც დიდი შთაბეჭდილება დატოვა, დიდი გამოხმაურება ჰპოვა და უეჭველად ხელი შეუწყო ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას მეცნიერთა ფართო წრეებში.

1935 წლის მისივე ხელმძღვანელობით მოეწყო ძველი ქართული ხუროთმოძღვრების დიდი გამოფენა საქართველოს მუზეუმის ქვემო სართულის დარბაზებში. ესეც ერთგვარი ისტორიული ეტაპი იყო ამ დარგის კვლევის გზაზე, იმიტომ, რომ შუასაუკუნეთა ქართული არქიტექტურის ასეთი მთლიანი სურათი, ამდენი ნიმუში წარმოდგენილი, ისტორიულ ეტაპებად დაყოფილი, მხახველთა წინაშე პირველად გადაიშალა. (ადრინდელი გამოფენები, მაგ. 1920 წლისა, 1923 და 1925 წლებისა, არც განვითარების მთელ გზას მოიცავდა და არც ასეთი სისტემური ხასიათისა იყო; იქ გამოაფინეს ის მასალა, რომელიც მანამდის დაგროვილიყო სხვადასხვა ექსპედიციებში). ამ გამოფენის „გზამკვლევიც“ იმ დროს, ფაქტიურად, მოკლე სახელმძღვანელოსავით იყო, მით უფრო, რომ მაშინ ჯერ კიდევ არც „ქართული ხელოვნების ისტორიის“ ტომი იყო გამოსული და, არც „ქართული არქიტექტურის გზები“.


აქტიურად მონაწილეობდა გ. ჩუბინაშვილი რუსთაველის საიუბილეო გამოფენის მომზადებაში (1937), მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ქართული ისტორიული ხელოვნების კიდევ ერთი გამოფენა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის (გამოფენის გახსნა აღარ მოესწრო ომის დაწყების გამო). განსაკუთრებული მნიშვნელობა კი ჰქონდა მის ხელმძღვანელ მონაწილეობას შუასაუკუნეთა ქართული ოქრომჭედლობის გამოფენის მომზადებაში და მის ლექციებს ამ გამოფენაზე. გამოფენა დღესაც არსებობს, როგორც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის განყოფილება (დიდი დედალი მის გამართვასა და ორგანიზაციაში მიუძღვის აგრეთვე განსვენებული იროდიონ სონდულაშვილს—ამ „სიფის“ უცვლელ მკვლელს მრავალი წლის განმავლობაში, ქართული ხელოვნების შესწავლის ერთუზიანტისა და ფანატისის, რომლისგანაც დიდადაა დაგალებული ყველა, ვისაც კი საქმე ჰქონია ქართული ხელოვნების ისტორიის კვლევასთან).

ომის მომდევნო წლებში და დღესაც გ. ჩუბინაშვილი კვლავ დიდად აქტიურად მონაწილეობს კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში. იგი მეცნიერ-

ბათა აკადემიასთან არსებული კულტურის ძეგლთა დაცვის სამეცნიერო მეთოდური საბჭოს და საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებების პრეზიდიუმის წევრია. ე. ი. ფაქტიურად, ამ მიმართულებით თითქმის ყველა არ გადაიდგმის მისი მონაწილეობის გარეშე. მაგრამ მას არ სჭირდება ოფიციალური რამ თანამდებობა იმისათვის, რომ ამ საქმისადმი თავისი დამოკიდებულება გამოამჟღავნოს. იგი თვით არის ინიციატორი ბევრი მნიშვნელოვანი წამოწყებისა, დაინებით იბრძვის მათი განხორციელებისათვის, დიდი ენერჯია შეაღია, მან მაგალითად, სვანეთის მუზეუმის მოწყობის საქმეს. თუ როგორ იღწვოდა თვითონ სვანური ძეგლების თავმოყრისა და დაცვისათვის—ამაზე ზემოთ ვკვირდით საუბარი.

რაღა თქმა უნდა, თუ რომელიმე ხუროთმოძღვრული ძეგლის რესტავრაციის პროექტია შესადგენი, ან როცა ეს პროექტი ხორციელდება, გიორგი ჩუბინაშვილი ყოველთვის უპირველესი და ყველაზე უფრო ავტორიტეტული მრჩეველია რთულ და საჭოჭმანო საკითხთა გადაწყვეტისას.

დღევანდელი ვუსურვოთ ჩვენს დიდ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლთა უპირველეს მეგობარს გიორგი ჩუბინაშვილს.



სვანეთი, საკელესი აჯუჯი. ფოტო ვ. ცინცაძისა

ზიორბი ჩუბინაშვილი

ნაჭ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

სვანეთში შემონახულ სიმკვლელთა ღაცვის საკითხისათვის

ქვემო და ზემო სვანეთში შემონახულია ხელოვნების ნაწარმოებთა დიდი რაოდენობა. სვანეთი გეოგრაფიულად მოწყვეტილია მთელ საქართველოს და სწორედ ამან განაპირობა ის, რომ გვიან საუკუნეებში, როდესაც ჩვენი ქვეყანა გაუთავებელი თავდასხმებისა და ძარცვა-გლეჯვის ასპარეზად იქცა, საქართველოს ეს კუთხე უკეთეს პირობებში აღმოჩნდა; როგორც მთელი პროვინცია, ისე მისი მატერიალური და კულტურული სიმდიდრე შედარებით უკეთ იყო დაცული.

დღეისათვის ქვემო და ზემო სვანეთში აღნუსხულია საშუალო საუკუნეების ქართული ჭედურობის თითქმის 1000 ძეგლი. ამ მდიდრულ კოლექციაში პირველხარისხოვან ნიმუშებთან ერთად გამოირჩევა ძეგლთა ცალკეული სახე-ლოსნოები; გვხვდება, რა თქმა უნდა, რიგითი, ხელოსნური ნაწარმოებებიც. ადრეულ ნიმუშებს შორის (X—XI საუკუნეები) არის ძეგლების დიდი ჯგუფი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ჩვენში სკულპტურულ ძიებათა სურათს. (ამავე დროს იგივე ძეგლები, როგორც დეკორატიული, ისე პლასტიკური თვალსაზრისით, ხელოვნების მაღალი ნიმუშებია). ამ შირივ ქართული ოქრომჭედლობა (რომლის ორგანული ნაწილია სვანეთში დაცული ძეგლებიც) წინ უსწრებს ამავე დროის მთელ ევროპულ ხელოვნებას. სვანეთში შემონახულია აგრეთვე ტიხრული მინანქრის ნიმუშები, ძველი ფერწერული ხატები (XI—XII საუკუნეები), ქსოვილები და ხეზე კვეთის ნიმუშები. ამას გარდა სვანეთში დაცულია მხატვრულ ნაწარმოებთა საკმაო რაოდენობა, შემოტანილი აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან—აქემენიდური ირანიდან, სირიიდან და პალესტინიდან (ადრე ქრისტიანული ხანისა), ანტიკური და ადრესილამური ნივთები, შუასაუკუნეების მუსლიმანური აღმოსავლეთისა და ქრისტიანული დასავლეთის ძეგლები, კერძოდ, ვენეციიდან, რეინიდან და სხვა. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს ფართო კულტურულ ურთიერთობაზე, ესოდენ ხანგრძლივ ორიათასეული წლის მანძილზე.

მთელი ეს მდიდარი და მრავალფეროვანი მხატვრული მემკვიდრეობა მეტნაკლები სისრულით რეგისტრირებულ იქნა 1910 წელს პროფ. ექვთიმე თაყაიშვილის და განმკორებით 1931 წელს, ზემო სვანეთში საქართველოს მუზეუმის ექსპედიციის მიერ. (გარდა იმ ნაწილობრივი აღწერებისა, რომლებიც დაიბეჭდა 1853, 1864, 1876 და 1904 წლებში).

თუ ამ ნუსხებს, დაწებულს 1853 წლიდან, ერთი ერთმანეთს შევადარებთ ირკვევა, რომ ყველა მომდევნო ნუსხაში წინა აღწერის დროს ფიქსირებული ნივთების დაკარგვის მხოლოდ ცალკეული შემთხვევები გვაქვს; მაშინ 1910 და 1931 წლებში ერთსა და იმავე ადგილებზე შესრულებული დაწვრილებითი აღწერების ერთმანეთთან შედარება ნივთების დაკარგვის დაახლოებით ასეთ შეფარდებას გვაძლევს: 815 ნომერი 1910 წელს და დაახლოებით 700 - 1931 წელს: ეს შეფარდება კიდევ უფრო მკვეთრად გაიზარდა მომდევნო წლებში, არა ერთი გაძარცვის შედეგად, რაც უსათუოდ მოსახლეობის ფსიქოლოგიაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებებით უნდა აიხსნას.

საქმე ისაა, რომ რევოლუციამდე მთელი საერთო-სახალხო, სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობა, მღვდლებს ევალებოდათ. (ამისათვის მათ ხელფასი ეძლეოდათ). ეკლესიების დახურვის შემდეგ კი მთელი ეს ქონება, ასე ვთქვათ, უპატრონოდ დარჩა. ბუნებრივია, ეკლესია მთელი თავისი ქონებით ცალკეული ოჯახების (გვარების) ხელში გადავიდა. ეს უკანასკნელი მას, (ეკლესიას) თავის გვაროვნულ საკუთრებად თვლიდნენ. ასე, მაგალითად ლაშთხვრში ერთმანეთის გვერდით ორი ეკლესია დგას: „მზერ“ და „თარგზელ“, რომელნიც ორ სხვადასხვა გვარს ეკუთვნის. ჯერ კიდევ 1931 წელს ორსავე ეკლესიაში 17 სხვადასხვა ნივთს შორის რამდენიმე პირველხარისხოვანი ნიმუშიც ინახებოდა, 1948 წელს კი ორივე მათგანი მთლად გამოცარიელებული იყო: ძველები საიდუმლოდ გადაიღეს და მათ არა თუ უცხო პირთ, სხვა გვარის სვანებსაც კი არ აჩვენებდნენ. ხანდახან იმიზეზებენ „გამარცხულიაო“. არა ერთი და ორი ძველი გადამაღწელი კერძო სახლებში, აგრეთვე, ნაკიფარში, მაცხვარიში, დოღში, იფხში, ზარდაღაში და სხვა. პირველი 10—15 წლის განმავლობაში მთავრობა არ ერეოდა სვანეთის მოსახლეობის რელიგიურ საკითხებში. სხვადასხვა გადმონაშთთა და ცრურწმენათა შორის სვანი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენდა ხატების, ჯვრების და სხვა საეკლესიო, ელვარე, მოოქროვილი ინვენტარისადმი. ყველა ეს საგანი მისთვის სიცოცხლისა და სიკვდილის უშუალო წყარო იყო. ამიტომ ვაურობოდა სვანი ამ საგნებს, არ ეკარებოდა მათ. ასეთი ვითარების გამო იმ ხანებში სვანეთის სიძველეები საიმედოდ იყო დაცული. „ტორგისინის“ პერიოდში კი გამოჩნდნენ „ვაკაკები“, რომელთათვისაც არაფრად არ ღირდა საეკლესიო ნივთების „ტორგისინში“ ჩაბარება. მათი აზრით, ეს იყო რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური გამოვლინება. ამიტომ მათ არც სასჯელისა ეშინოდათ. იმ დროს ქვემო სვანეთში ნაძარცვი ნივთების გარკვეული ნაწილი ქუთაისის მუზეუმის დირექტორის ვ. ჯაფარიძის წააღობით გადაურჩა დაღუპვას. მან ეს ძველები „ტორქსინიდან“ დაიხსნა და მუზეუმს გადასცა. რაც შეეხება ზემო სვანეთს, აქ მხოლოდ ლაგურკის მძარცველები დააპატიმრეს (ერთი მათგანი—სვანი, მოსახლეობამ ჩაქოლა კიდევ), ხოლო ნივთები, თითქმის უკლებლივ, ადგილზევე დააბრუნეს. ყველა ის ძველი კი, რომელიც ფხოტერიიდან და უშგულიდან გაიტაცეს, დღემდე არაა აღმოჩენილი. ასეთი მძარცველობის შედეგია, რომ ზოგ სოფელში ახლაც საიდუმლოდაა გადნახული არა ერთი და ორი ნივთი.

ნახევარი საუკუნის მანძილზე სვანეთის მოსახლეობის ფსიქოლოგიაში ძირეული ცვლილებები მოხდა. მისი ერთი ნაწილი (მოხუცები და, განსაკუთრებით. დედაკაცები, ხშირად კი ბავშვებიც) კვლავინდებურად თავგამოდებით.



ზემო სუანეთი, XI ს. კედური ხატის ფრაგმენტი. ხატი 1948 წ. ეწაპელიცამ
სოფ. ნაკიჯაროდან ვალიტანა მესტიის მუზეუმში.

ფოტო ვ. ცინცაძისა



იცავს „თავის საგვარეულო“ ეკლესიებში შემონახულ ნივთებს—როგორც პირდაპირ, ისე საკუთრებას. მოსახლეობის მეორე ნაწილი სიძველეებისადმი სრულ ინდიფერენტობას იჩენს. სკოლებში, ისევე როგორც მთელ რაიონში საერთოდ, არაერთი ახსნა-განმარტებითი მუშაობა არ ტარდება. რაც შეეხება ისტორიულ-მხატვრულ ძეგლებს, მათი ღირებულება, მათი დაცვისა და მოვლა-პატრონობის მნიშვნელობა, ადგილობრივი მოსახლეობისათვის სრულიად გაუგებარია. ბუნებრივია, სწორედ ეს იწვევს ასეთ დაუდევრობას: დაცარიელებული, მიტოვებული ეკლესიების გვერდით, სვანეთში ბევრია გარედან მაგარად ჩარაზული, ძნელად შესაღწევი ეკლესია, რომელშიაც ჩვეულებრივ ყოვლად უწესრიგოდაა დახევაებული ნივთები, ზოგი სკივრში, ზოგი პირდაპირ იატაკზე გაფანტული; არაერთი აღრიცხვა, არაერთი აღწერა; ისე რომ, ხშირად ეკლესიის დარაჯ-მაც არაფერი იცის მათ შესახებ. მეორე მხრივ, აქვე ზოგი ეკლესია, ასეთივე მდიდრული და მნიშვნელოვანი ქონებით, სრულიად უპატრონოდაა მიგდებული—მას არც კარი აქვს, არც დარაჯი ჰყავს, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ვინმე კერძო პირს თავისუფლად შეუძლია თან გაიყოლოს რაიმე ნივთი, რაც თვალში მოუვა (ასე დაიკარგა იასპის ანტიკური თავი, რომელიც ოდესღაც წმ. დემეტრეს ხატს ამკობდა ლაიქში; ანდა ლანჩავას ტრიპტიქონი სტეპატის დეისუსით).

საინტერესოა, რომ საერთო ყურადღებას იქცევს მხოლოდ ის ნივთი, რომელიც ბზინავს და არც გატეხილია („მას აქვს ძალა“). რადგანაც ძეგლის საფუძველი—ხე, ლეხვა, და იშლება, და ამდენად, ჭედური ფირფიტებიც იმტკრევა, მართალია, მათ ისედაც უფრო ხილდებიან, მაგრამ ფსიქოლოგიურად უკვე არაერთი „ფასი“ აღარა აქვთ.

გარდა ამ ორი საპირისპირო (რელიგიური და ანტირელიგიური) ადგილობრივი ნაკადისა, განათვალისწინებელია კიდევ ისიც, რომ სვანეთი გაცხოველებული ტურიზმის რაიონია და აქ მხატვრულ ნაწარმთა მოყვარულნი—ამათუ იმ თვალსაზრისით, მუდამ საკმარისადაა.

სწორედ ამიტომ პარტია და მთავრობა ჯერ კიდევ 15 წლის წინათ (და შემდეგში არაერთხელ) გამოეხმაურა სვანეთში შექმნილ მდგომარეობას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 14 ნოემბრის დადგენილებაში (№ 1289) დეტალურადაა მითითებული, როგორ უნდა გადაიჭრას ზემო სვანეთის ისტორიული და მხატვრული ძეგლების რეგისტრაციისა და დაცვის საკითხი; კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ ყველა პორტატიული ნაწარმოები—ჭედურობის, ქარგვის, მინაქრის, ხეზე კვეთის, ფერწერის და ა. შ.—გადატანილ იქნას ეკლესიებიდან და კერძო სახლებიდან შესტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

მაგრამ გამოყოფილი კომისია (ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და ისტორიის ინსტიტუტის მიერ მივლინებულ წარმომადგენელთა და კულტსაგანმანათლებლო განყოფილების გამგეობის შემადგენლობით), უძღური აღმოჩნდა. განუხორციელებინა ეს ღონისძიება. მუზეუმს მეტად უმნიშვნელო ფართობი ეკავა 35 კვ. მ.ზე ნაკლები (და იგი იმ ექსპონატების განლაგებასაც კი ვერ ახერხებდა რიგინად, რომელიც მას უკვე ჰქონდა. ამიტომ რაკოლის თათბირზე გადაწყდა მუზეუმში გადმოეტანათ მხოლოდ ის ძეგლები, რომლებიც ამკარად ილუკებოდა ადგილზე სინესტისაგან: ფერწერული ხატები, ხელნა-

წერები, და აგრეთვე, ზოგიერთი მართლაც უნიკალური, ბრწყინვალე ნიმუში. უშგულის სასოფლო საბჭო, თავისი დაახლოებით 200—მათ შორის ქვეყნის პირველხარისხოვანი ძეგლით, განზე დარჩა, რადგან ამ დროისათვის მისი მნიშვნელობის რაიონს შეუერთეს.

კომისიამ მუზეუმს სათანადო აქტით გადასცა ხელნაწერ ძეგლთა 21 ნომერი, 16 ძველი ფერწერული ნიმუში, ჭედურობის 19 უძველესი (X—XIII საუკუნეების) ძეგლი და კიდევ 12 სხვადასხვა ნივთი. ყველა იმ ნივთზე, რომელიც 19 შემოწმებულ ეკლესიაში დარჩა, კულტსავანმანათლებლო განყოფილების გამგის, ალფეზ გიორგის ძე გასვიანის მიერ შედგენილ იქნა სათანადო აქტი, რომელშიც შეტანილი იყო დაკარგული ნივთებიც (და საცნობი ნიმუები ადგილზე დარჩენილი ნივთების შესახებ). თვითეული აქტი ითვალისწინებდა იმ პირთა პასუხისმგებლობას სასამართლოს წინაშე, რომლებსაც ძეგლთა დაცვა პქონდათ დავალებული, დაცვის კონტროლი კი—სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ეკისრებოდა. შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ 1931 წლიდან 1948 წლამდე 352 რეგისტრირებული ნივთიდან დაკარგულია არა ნაკლებ 60 ნივთისა; მითითებებიდან, რომლებიც მუზეუმს მიეცა (ფერწერული ხატების გამაგრებათა ორგანიზება — ხელშეკრულების საფუძველზე, სოფ. დოლიდან და წვირმი-ზაგარიდან სხვადასხვა ნივთების, ხოლო ფოტოგრაფიდან მოჩუქურთმებული კარის გადმოტანა და სხვა). მხოლოდ ერთი განხორციელდა: საცავე ოთახისათვის გადაიტვიხრა 2,5 x 4 მ. ფართობი, მაგრამ შემდეგ ისიც საექსპოზიციოდ იქნა გამოყენებული.

1964 წლის სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას გამოირკვა, რომ მუზეუმში არ შევსებულა არც ერთი ძეგლით, ხოლო ადგილებზე კვლავ იკარგება ნივთები. კერძოდ, ასე მოხდა ჩაქაშის ერთ პატარა ეკლესიაშიც, სადაც ჩაყრილი იყო უშგულის ყველა ეკლესიიდან მოზიადული ნივთები (ეკლესიის დარაჯი კი ტიბიანში ცხოვრობდა). ეს მდგომარეობა ახლაც ვერმეღება.

1962 წლის ზაფხულში, როცა დამატებითი ფოტოსურათების დამზადება დამჭირდა, ზოგი ძეგლი ადგილზე არ აღმოჩნდა, ხოლო ერთი მათგანი სვანეთის მეორე ზოლოზე, სოფ. ფარში ნახეს.

ამგვარი ვითარება აშკარად გვიკარნახებს, საჩქაროდ და დაუყოვნებლივ გადავიტანოთ მუზეუმში მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 14 ნოემბრის დადგენილებაში აღნიშნული ყველა კატეგორიის ნივთი. კულტურის ძეგლთა ასეთი დაცვა მითითებული იყო, როგორც საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში. ლენინის მიერ გამოცემულ დეკრეტებში, ისე სსრკ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 ოქტომბრის ვრცელ დადგენილებაში. ლიბერალური დამოკიდებულობა კი მოხუცების, ქალებისა და ბავშვთა ჩამორჩენილი შეხედულებებისადმი, რის გამოც მუზეუმში სიძველეთა გადატანის საკითხი უარყოფითად წყდება, ადგილობრივი ხელისუფლების დისკრედიტირებას ნიშნავს. 1948 წლის დადგენილება უნდა განხორციელდეს.

განა დასაშვებია, რაღაც გაუგებრობათა გამო, დაღუპვისაგან არ ვიხსნათ კულტურის ბრწყინვალე ნიმუშები, ის, რაც მთელი ხალხის კუთვნილებაა, და არ შევინარჩუნოთ ის, რაც ადრე, ჯერ კიდევ მეფის რეჟიმის დროს იყო ფიქსირებული.

მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს დღეს, გარდა ყოფილი პატარა-



ექლესიისა, (დაახლოებით 35 კვ-მ. ფართობი) უკავია კიდევ ორსართულიანი სახლი, რომლის საერთო ფართობი 150 კვ. მ იქნება. ეს შენობა, რა თქმა უნდა, საეხსიანო აკაფოფილებს მუზეუმის ელემენტარულ მოთხოვნებს და იგი სანდოა და დაცული.

მე ვფიქრობ, რომ დროებით (5—10 წლით) შესაძლებელია საკითხის კომპრომისული გადაწყვეტა: შეიქმნას ოთხ. ან უკიდურეს შემთხვევაში, ხუთ პუნქტში მესტიის მუზეუმის ფილიალები, კერძოდ: ლაგურკაში, წვირში (მაცხვარ), იენაში და ჩაჭაში (შესაძლებელია, დამატებით ლაბსყალდში) და თვითველ მათგანში თავმოყრილ იქნას ნივთები ამავე სასოფლო საბჭოს სხვა ეკლესიებიდანაც. ცხადია, რჩეული ძეგლები ამ მასალებიდანაც მესტიის მუზეუმს უნდა გადაეცეს. ყოველ ასეთ პუნქტში აუცილებელია გაკეთდეს სამუზეუმო დახურული ვიტრინები (შედგეს ექსპონატთა განლაგების სქემა, გაიზომოს ვიტრინებისათვის განკუთვნილი ადგილი); შემდეგ კი დალაგდეს ინვენტარი ყველა ნივთის ეტიკეტაჟით და სათანადო კატალოგით. მცველები (ნაცვლად ახლანდელი დარაჯებისა) უნდა შევარჩიოთ ადგილობრივი ინტელიგენციიდან და სათანადო ინსტრუქცია მიეცეთ მათ.

ვიდრე მთელი მასალა მუზეუმის განკარგულებაში გადავიდოდეს, საჭიროა, რომ კულტგანმანათლებლო განყოფილების, პარტორგანიზაციის და კომკავშირის ხაზით ჩატარებულ იქნას მოსამზადებელი სამუშაო: განვმარტოთ, რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ძეგლს, როგორც ძველი კულტურისა და ხელოვნების დოკუმენტი, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, როგორ უნდა მოეუაროთ თვითველ მათგანს და როგორ გაეხადოთ ყოველი მათგანი ყველასათვის მისაწვდომი სამუზეუმო პირობებში.

თუ მართლაც გადაწყდა ზემოაღნიშნული 4-5 ფილიალის შექმნა, მთელი მუშაობა სწორედ აქედან უნდა დაიწყოს. ჯერ აქ უნდა მოეწყოს და მოწესრიგდეს ყველაფერი და მხოლოდ შემდეგ შეირჩეს ნიმუშები მესტიის მუზეუმისათვის.

რაც შეეხება თვით მესტიის მუზეუმს, მისი შტატი, უთუოდ უნდა გაიზარდოს; საჭირო იქნება მკვეთრად გაიმიჯნოს საფონდო კოლექციები და ექსპოზიცია; აუცილებელია ხელი მოვკიდოთ მედური და ფერწერული ექსპონატების აღდგენა-გამაჯრების საქმეს (ხელშეკრულებათა საფუძველზე) და აგრეთვე სვანეთის მონუმენტალური მხატვრობის ასლების შეგროვებას და სხვა და სხვა.

10106

ბანათლება, სწავლა ისაა, რომ გამოვიყენოთ, ამითვის-სოთ მთელი ის სულიერი მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენ წინაპრებმა დაგვიტოვეს

ლ. ტოლსტოი



მხატვრული ძსოვილები სვანეთიდა

განვითარებული ფეოდალური სა-
ქართველოს მატერიალური კულტურის
ისეთ ძეგლებთან ერთად, როგორცაა
მაღალმხატვრული არქიტექტურა, ფრეს-
კული და ქედური ხელოვნება, ხეზე
კვეთილობა, წიგნის მხატვრობა და
სხვა., ღირსეული ადგილი უკავია სა-
ფეიქრო წარმოების მხატვრულ ნაწარმს.

ქსოვილის შესწავლას დიდი ხნის
ისტორია არა აქვს. განსაკუთრებით
მაღალმხატვრული და ტექნიკური ღირ-
სების მქონე ქსოვილების შესწავლას
მეცნიერებმა მე-19 საუკუნის მიწურუ-
ლიდან მიაქციეს ყურადღება, როდესაც
გამომზეურდა, ერთი მხრივ, მთელი რიგი
არქეოლოგიურ გათხრების შედეგად
მოპოვებული ინვენტარი, მათ შორის
ქსოვილებიც, ხოლო მეორე მხრივ, ეკლე-
სია-მონასტრების ფონდებში დაცული
ასეთივე ნაწარმი.

აკად. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომში
„მასალები ქართველი ერის მატერიალუ-
რი კულტურის ისტორიისათვის“ ტანი-
სამოსის ისტორიასთან დაკავშირებით,
სხვა ქსოვილებთან ერთად, განიხილება
აბრეშუმის ქსოვილებიც, მათი სახელები,
სახე-სხვაობები და სხვ.

როგორც მატერიალური კულტუ-
რის ძეგლების შესწავლის შედეგად
ირკვევა, საქართველოს კარგად განვითა-
რებულ საფეიქრო წარმოებაში იყენებ-
დნენ სელის, ბამბის, მატყლისა და
აბრეშუმის ნედლეულს. დამზადებული
ნაწარმი, განსაკუთრებით სელისა, ძირი-
თად საექსპორტო მასალად გამხდარა,
რომელიც შემდეგ აბრეშუმს შეუცვლია.
(ივ. ჯავახიშვილი, „მასალები ქართველი



სოფ. გული, წმ. გაბრიელის ეკლესია



ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის", III-IV, თბილისი, 1962 წ., გვ. 169.)

ამავე საუკუნეებში იზრდება უცხოური საქონლის, განსაკუთრებით, აბრეშულის შემოსვლა. აბრეშულის ნაწარმის დიდი დენობით უცხოეთიდან შემოტანა გაპირობებული იყო ფეოდალური საზოგადოების მალალი წრის წარმომადგენელთა აუცილებელი მოთხოვნილებებით, როგორც უცხოეთში, ისე საქართველოში.


საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოში დღემდე შემორჩენილი ფეოდალური ხანის აბრეშუმის ქსოვილების დიდი ნაწილი უცხოური წარმოშობისაა. რა თქმა უნდა, ყველა ისინი საქართველოში მოხვდა იმ ინტენსიური საგარეო ურთიერთობის წყალობით, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ადრიდანვე აწარმოებდა ევროპისა და, განსაკუთრებით, აზიის სახელმწიფოებთან.

ამგვარი ქსოვილები შემორჩენილია ზემო სვანეთში. მათ პირველად პ. ს. უვაროვამ მიაქცია ყურადღება, რომელთა აღწერაც გამოაქვეყნა „Материалы по археологии Кавказа“, т. X, 1904 г.

ქსოვილებით ხატებისა და საკურთხევლის წინ აღმართული ჯვრების უკანა მხარეები იყო მორთული.

ჩვენი თხრობის საგანი იქნება ზემო სვანეთის ეკლესიებში შემონახული ზოგიერთი ქსოვილის ფრაგმენტები, რომლებიც ამჟამად ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში ინახება.

ამ ქსოვილების მასალა, მალაშხატურული დეკორატიული შემკულობა გვაფიქრებინებს, რომ იგი მალალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს ეკუთვნოდა, მათი მოხმარების საგანი იყო. ამის ნათელი დადასტურებაა ქართული მატერიალური კულტურის ზოგიერთი ძეგლი, მაგ., ოშკის ეკლესიის (1961 წელი) სამხრეთ ფასადზე მოთავსებული რელიეფური ქანდაკებები. აქ გამოხატულნი არი-



სოფ. იფხი, ლატალის თემი, წმ. გიორგის ეკლესია

ან ადარნასე III კურაპალატის ვაჟები, — ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და დავით მაგისტროსი; ტიტულების განსხვავების მიუხედავად, ორივე ძმას ერთნაირი ძვირფასი ტანისამოსი აცვია. ასეთივე ძვირფასი ქსოვილის ტანსაცმელის გამოსახულება გვხვდება რკონის ბაზილიკის (XII საუკუნე) სადიაკვნოს ჩრდილოეთის კედლის ფრესკაზე, სადაც დიდებული მანდილოსნები არიან გამოხატულნი და სხვ.



სოფ იფრარი, კალას თეპი, მთავარანგელოზის ეკლესია.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში დაცული ქსოვილები სწორედ რელიქვიის შესამოსელია. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ისინი ხატებისა და საკუთხეველის წინა ჯერების უკანა მხარეებს ამშვენებდნენ. რელიქვიების ქსოვილით მორთვა, შემოსვა დიდი პოპულარობით სარგებლობდა. თუ ხატები საკუთხეველის წინა ჯერების პირები შემკული იყო ქედური ხელოვნებით და ფერწერით, მათ ზურგს ხშირად ქსოვილები ამშვენებდნენ. ქსოვილების უქონლობის შემთხვევაში, ხატების უკანა მხარეზე, ფერწერული საშუალებით ახდენდნენ ქსოვილის ზუსტ იმიტაციას. მაგ. ფხოტრერის XI საუკუნის ხატის უკანა მხარეზე, ფერწერული საშუალებით შესრულებულია ქსოვილი, რომელიც მედალიონიანი ქსოვილის იმიტაციას იძლევა.

სკანეთში მოპოვებული ქსოვილების წინასწარი შესწავლა-დამუშავების შედეგად ირკვევა, რომ ისინი ერთგვაროვანი არ არიან. ეს ფრაგმენტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც თავისი მხატვრული და ტექნიკური ღირსებით, ისევე დროისა და წარმოშობის ადგილის მიხედვით.

ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთმანეთის მონათესავე ქსოვილს. ფოტოზე, რომელზედაც ლურჯი ფონის მქონე ქსოვილია გამოხატული, ოქროსფერი მედალიონებია, რომელთა შიგნით წითელი და ყვითელი ფერის ერთნაირი ფრინველებია მოთავსებული. ეს მედალიონები ერთმანეთისაგან სიგრძეზე და სიგანეზე თანატოლი ნაძილით არის დაცილებული და, როგორც, სიგრძეზე ისე სიგანეზე, პორიზონტალურ და ვერტიკალურ ერთიან მწკრივს ქმნიან. მედალიონებს შორის დატოვებული ფონი სადაა, არაკეთილანობიანი არ არის შევსებული; ამის გამო, თვითუფლები მედალიონი მკვეთრად გამოირჩევა ფონზე.



სოფ. ივრათი ქსოვილი აღდგენილი ხაზით.



ჯემო სანჯალი, ქსოვილის ფრაგმენტი.





ამ ფრინველებს მედიდური გამომეტყველება აქვთ. ქსოვილზე სარკული გამო-
 ხატულებაა. ფრინველი შიშვანობაშია მოცემული. ამ ფრინველის სხეულის ყველ-
 ნაწილი, დაწყებული მკერდის სიმრგვალები ოსტატურად გადასული მომრგვა-
 ლებული ნისკარტით, მისი შიშვანული ბრჭყალებითა და მომრგვალებული კუდით,
 პარამონიულად და ოსტატურად ეფარდებიან ერთმანეთს. ეს უკანასკნელი თავის
 მხრივ, ასევე ოსტატურად და პარამონიულად ეფარდება მედალიონის სიმრგვა-
 ლეს, რასაც ხელს უწყობს ოსტატის მიერ დატოვებული არეები გამოსახულებასა
 და მედალიონის შორის. ოსტატს ფერადოვანი გამაც კარგად აქვს შერჩეული.
 ქსოვილის საერთო ნახატი კარგად იკითხება და ნათელ წარმოდგენას გვაძლევს
 მის დეკორატიულობაზე.

მეორე ქსოვილზე დიდი ზომის, 50 სმ. დიამეტრის მქონე, მედალიონებია
 გამოხატული, რომელიც ერთმანეთს მცირე მედალიონებით უერთდებიან. დიდ
 მედალიონში, ვერცხლისფერ ფონზე, წითელი, დეკორატიული და სტილიზებული
 მამალია მოთავსებული, საიმპერატორო რეგალებით, ხოლო მცირეში მცენარულ-
 დეკორატიული სახეა. როგორც დიდი, ისევე პატარა მედალიონის ჩარჩოც
 წითელი, ყვითელი და ლურჯი ფერის სხვადასხვა სახეებითაა მორთული. მედა-
 ლიონებს შორის დატოვებული ფონი მცენარულ-გეომეტრიულ ორნამენტითაა
 შევსებული. თუ პირველ ქსოვილზე დეკორატიულობა მიღწეულია გამოსახუ-
 ლების მედალიონში ოსტატურად მოთავსებით, ყოველგვარი დამატებითი დეკო-
 რატიული ელემენტის გარეშე, მეორე შემთხვევაში იგი მიღწეულია არა მარტო
 მრავალფეროვნებით, არამედ ზოგიერთი დეკორატიული ელემენტის დამატებით,

მეორე ქსოვილის მხატვრული მეტყველება, თუ ნახატის აღდგენილი სახის
 მიხედვით ვიხსჯელებთ, იქმნება ფრინველის გამოხატველ ხაზთა პლასტიურ-
 დეკორატიული დინებით. მედალიონის გარე სარტყელი აძლიერებს ფრინველის
 დეკორატიულ მეტყველებას, ხოლო კომპოზიციის ასეთი გადაწყვეტა ხელს
 უწყობს მის ორნამენტულ-დეკორატიულ შეგრძნებას. როგორც პირველი, ისე
 მეორე ქსოვილი თავისი გამოსახულების სტატიკურობით, დამოუკიდებლო-
 ბით და ენატიურად სხვათა განცალკევებულობით უკავშირდება აღმო-
 სავლურ ტრადიციებს, რომელნიც დასაყრდენს კლასიკურ საფუძველში
 პოულობდნენ. ეს ქსოვილები XI-XII საუკუნეების ბიზანტიურ ნაწარმს შეი-
 ძლება მივაკუთვნოთ. ამ ქსოვილების ტექნიკური ანალიზის და შედარებითი
 მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ნაწარმი მოქსოვილია
 ბიზანტიის არა პირველხარისხიდან საწარმოში.

შემდეგი ქსოვილი სხვა სახისაა. მედალიონში მედიდურად მდგომი ლომია
 მოთავსებული, რომელსაც უკან სიციხის ხე გასდევს. ლომის ფაფარი და
 ბეწვი მომრგვალებული ორნამენტით არის შესრულებული. მედალიონს გარს
 ცხოველებით და მცენარულ ორნამენტით მორთული სარტყელი უვლის. ქსოვი-
 ლი შესრულებულია ღეროვანი და ყვითელი ფერის ძაფებით. თავისი ფერადოვანი
 გამოთ, ნახატის შესრულებით, ხაზების სინარჩარით იგი წინა აზიის, მესო-
 პოტამიის IX-XII საუკუნეების ქსოვილების ჯგუფს მიეკუთვნება.

ხოლო ქსოვილი ღერუ ფონზე წითელ, ყვითელ და თეთრი ფერის ყვავი-
 ლოვან ორნამენტში მოთავსებული, პირველ რიგში წყვილად ერთმანეთის
 პირდაპირ წითელი ფერის ფრინველები, ხოლო მეორე რიგში წყვილად,
 ერთმანეთსაკენ ზურგით, თეთრი ფერის ფრინველები, რომელთაც თავი და

ბოლო წითელი აქტით. ისინი ერთმანეთისაგან მცენარეულ ორნამენტით არიან გამოყოფილი. ფერების და ხაზების პარმონიული შეხამება ქმნის საზეიმო წყობილებას, განურჩევლად იმისა, თუ როგორ აღვიქვამთ ხაზების მიმართულებას, განტოტებას და გადაკვეთას, იცავქვევით თუ არა ყურადღებას ნახატის პლასტიკურობას, ღია და მუქ ფერების მონაცვლებას და ურთიერთშეხამებას.

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ქსოვილების ცალკეულა ფრაგმენტები, მათი სიმცირის (ფორმა, რაოდენობა) მიუხედავად, გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ქსოვილების ღირსება-მთლიანობის, მათი მოხმარებისა და დანიშნულების შესახებ.

სვანეთის ეკლესიებში დაცული ქსოვილები ნათელი დადასტურებაა საქართველოს ფართო ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობისა ევროპისა და აზიის შთელ რიგ სახელმწიფოებთან.

სვანეთის ეკლესიებში კიდევაც შემონახული სხვადასხვა ქსოვილების ფრაგმენტები, რომელთა შორის სავარაუდებელია აღმოჩნდეს ქართული ქსოვილებიც. ამისათვის საჭიროა შენდგომი კვლევა-ძიება. მათი დაცვა, მოვლა და პატრონობა.

საპიროა ლამაზი შემინარჩუნოთ, ავილოთ ის, როგორც ნიშნები, დავიწყდნოთ მას, თუნდაც ის „ძველი“ იყოს. რატომ უნდა ვივამცვიოთ ზუკაბი ვივამარიტად მშვიდნიერს, უაკვსოთ ის, როგორც გამოსავალი პუნქტი ვივამდგომი განვითარებისათვის მხოლოდ იმის საბაბით რომ ის „ძველია“? რატომ უნდა მოვიზიაროთ ჰედი ახლის წინაშე, როგორც ღმერთის წინაშე, რომ ეს ახალია? უაზრობაა, სრული უაზრობა!

8. ლენინი „ქალბურთისა და ხელოვნების შესახებ“

დვალეთის კარნი ცენტრალურ კავკასიონზე

(სასაზღვრო სიმაგრეები)

უძველეს ქართულ ქრონიკას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შემონახული აქვს ერთი უნიკალური ცნობა: VI ს. პირველ მეოთხედში სასაზღვრო სპარსეთის ხელისუფლებმა ქართლში ფეხი მტკიცედ მოიკიდეს. „ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს. და ერთი დიდი კარი უქს(თა)თვე და ორნი დვალეთს და ერთი პარჭუანს დორძოკეთისსა. და იგი მთიოლნი გომარდად დაადგინეს“.

IV-VI სს. სასანიანთა ექსპანსიაზე საქართველოსა და კავკასიის მიმართ ცნობებს გვაწვდის ლ. მროველერს თხზულებაც. სასანიანთა დროს სამხედრო მშენებლობაზე კავკასიონში რიგი ცნობებისა შემონახულია ზიზანტიურ, სომხურ, არაბულ წყაროებშიც. ამ ცნობათა საერთო ფონზე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ზემომოტიანილი ციტატა სერიოზულ ყურადღებას იმსახურებდა, თუმცა საკუთრივ დვალეთს არც ერთი იმათგანი არ იხსენიებს, და თანამედროვე მეცნიერულ ლიტერატურაშიც „დვალეთის ორი კარი“ უცნობი იყო. დვალეთის და დვალეების წარსულზე მუშაობასთან დაკავშირებით გადავწყვიტე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობის შემოწმება, მით უმეტეს, რომ მასში წარმოდგენილმა მონაცემებმა აშენებული „კარების“ ზუსტი ლოკალიზაციის შესაძლებლობის პერსპექტივა მოგვცეს.


დვალეთზე ჩრდილოეთიდან მომდგომი ადგილების ტოპოგრაფიის გაცნობა სრულიად ნათელს ხდის, რომ ჩრდილოეთი ხეობები დვალეთს მხოლოდ ორი გზით, ორი ხეობით უერთდება: არდონის და ფიაჯონის ხეობებით. ეს საკვებით გასაგებს ხდიდა, თუ რატომ ლაპარაკობს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ დვალეთის ორ კარზე. ეს „კარები“ ამ ორ ხეობაში იყო საქმზარი.

გადაუხედეთ სხვა წერილობით წყაროებსაც; ვეძებთ ამ ორი ხეობის აღწერილობები და აი, XVIII ს. ძეგლებში აღმოჩნდა საგულისხმო ცნობები, რომლებიც ეხიანებოდნენ და ადასტურებდნენ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობას.

სახელდობრ, ვახუშტი ბაგრატიონი თავის გეოგრაფიულ აღწერილობაში, აგვიწერს რა კასრის ხეობას, ახსენებს „კასრის-კარს“ და იძლევა ამ ნაგებობის მოკლე დახასიათებას.

დვალეთის ხეობების მიმოხილვისას, რომელიმე მეორე „კარზე“ ვახუშტი ბაგრატიონს არაფერი აქვს ნათქვამი.

მაგრამ საამისოდ უაღრესად საყურადღებო აღმოჩნდა 1781 წელს ოსეთის ხეობებში გაგზავნილ მაორ შტეტერის მოგზაურობის დღიური. აღწერს რა თავის დღიურში ზუას ქურთაღლის ხეობის აყოლებით, ის სოფ. გუთიათი-ყაუს



ქვემოთა მთა მდ. მტკვარი, მდებარეობს რაჭის სქეს.



მახლობლად ასახელებს, კოშკების და დიდი კედლის ნანგრევებს, რიმლებიც ტიხრადნენ ხეობას გარდიგარდმოდ. ეს უნდა ყოფილიყო ის, რასაც ვეძებდით დარჩა კიდევ თავმოყრილ ცნობათა ადგილზე შემოწმება. შეუძლებელია რომ ხეობების ჩამხერგავი დულაბით შერული კედლები, სრულიად წაშლილიყვნენ. სავარაუდებელი რყო, რომ ამ ძველ ნაგებობათა რაიმე მატერიალური ნაშთები ადგილზე იქნებოდა დარჩენილი.

ანგვარი წინასწარი მომზადებით და მიზანდასახულობით სოვიარეთ ჯერ კასრის ხევი და შემდეგ ხილაკას ხევი, რქ მივლინებულებმა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო. მუზეუმისაგან 1960—1963 წწ.



პირველად მართომ დავხერგე დვალეთი და მისი მიმდგომი ხეობები, ხოლო განმეორებით განმზავრებათა დროს კასრის ხევი ჩემთან ერთად რყო არქიტექტორი ნ. ლომიძე; ხოლო ხილაკას ხევი პირველად, სტუდენტი-არქიტექტორი თ. ჯუჯუაშვილი მეორედ—კი არქიტექტორი ფ. ქუფარაშვილი. მათ მიერ იქნა შესრულებული ძველებს აზომვები, ჩანახატები და ნახაზები.

ხეობის ჩამხერგავი კედელი კასრის ხევი მიდებარეობს მდ. არდონის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ქვემო ზრანავას ქვევით 8 კმ. მანძილზე. მახლობლად მოსახლეობა არ არის. უახლოესი სანოსახლო პუნქტი—დაბა ბურჯან—4 კმ. დაშორებული. მკვიდრი მოსახლეობა, ოსები, თავის ენაზე მას უწოდებენ „ზილინ-დუარ“, რაც ნიშნავს „მრუდე-კარს“. ეს უნდა იყოს, ჩვენი აზრით ვ. ბაგრატიონის მიერ მოხსენიებული „კასრის კარი“. ეს „კასრის—კარი“ მიდებარეობს მომცრო დავაკებულ ადგილზე, რომლის განი უდრის 50-ოდე მეტრს, ხოლო სიგრძე (წყლის გაყოლებით) ცოტა მეტს. მიდინარის დონიდან ის ამიღლებულია დაახლოებით 12 მეტრზე. ნაპირი წარმოადგენს გაშიშვლებულ ფრიალო. სრულიად პერპენდიკულარულ კლდეს.

დავაკებულ ადგილს დასავლეთიდან ზღუდავს მთა. სახელდობრ, ამ მთის 15—18 მეტრის სიმაღლეზე შეეულა აღმართული კლდე. ამრიგად, „კასრის-კარი“ აგებულია ამ კლდის და მდ. არდონის ფრიალო ნაპირს შუა.

ნაგებობის ნაშთები შემდეგს წარმოადგენს: წყლის მაღალ ნაპირიდან წამოსული კედელი კვეთავს დავაკებულ ადგილს და ბოლოს ეკვრის დასავლეთით მთის შეეულ კლდე; ამ კედლის აღმოსავლეთ ნაწილში ჩაშენებულია კოშკი. მთელი ნაგებობის სიგრძე უდრის 52 მეტრს., კედლების სისქე 1,7 მეტრს, ხოლო შემორჩენილი სიმაღლე აღწევს 4,3 მეტრს, კედელი და კოშკი ამოყვანილია დულაბით, მქონიათ პერანგი. ამჟამად პერანგის უმეტესი ნაწილი შემოქარცულია.; ის გამოყენებულ იქნა საგზაო მშენებლობაში XIX ს-ში. კოშკს ორი კარი აქვს—ერთი სამხრეთით, ხოლო მეორე—დასავლეთით, მაგრამ ისე, რომ ეს მეორე კარი კედლის ჩრდილო მხარეზე გამოდის. საფიქრელია, რომ ძველ დროს ხეობის გზა ამ კოშკის კარებში გადიოდა და ალბათ, კოშკის კარების ხსენებული განლაგების გამო, შეარქვეს კასრის კარს ადგილობრივმა მკვიდრებმა „მრუდე კარი“.


XIX ს. შუა წლებში ოსეთის სამხედრო გზის გაყვანის დროს, კოშკი ხელუხლებელი დარჩა; მაგრამ გვერდით, დასავლეთისაკენ 4,7 მეტრზე კედელი დანგრეულ იქნა გზის ტრასის გასატარებლად. სადაც „კასრის კარის“ კედლის დასავლეთი ბოლო ეკვრის შეეულ კლდე, ამ კლდის თავზე აშენებულია ცალკე კოშკი. მისი სიგრძე-სიგანე უდრის 6.6 X 8.3 მეტრს, ხოლო შემორჩენილი სიმა-



კასრის ხეობის გადამკეტი კარი. საერთო ხედი და გვერძა.

ღალე 5,2 მ. აღწევს. კოშკის ჩრდილო კედელს შერჩა სარკმლის ღიობის ნიშნები. აქედან კარგ მანძილზე ჩანს კასრის ხევის მომდგომი ჩრდილო ნაწილი. ეს კოშკი „კასრის-კარის“ ძირითად ნაგებობას თავს დასცქერის და მასთან ერთ ხაზზეა განლაგებული. ამრიგად, ისინი ერთ საერთო კომპლექსს წარმოადგენდნენ. საუარაუდებელია, კოშკიდან ადგილმდამოს ზვევრვას აწარმოებდნენ.

მდ. არდონი კასრის ხეობაში და, განსაკუთრებით, კასრის-კარის მიდამოში ისეთივე სურათს წარმოგვიდგენს, როგორსაც თერგი დარიალის ვიწროებში. ამიტომ არდონში აქ ფეხით თუ ცხენით გასვლაზე ფიქრიც არ შეიძლება. „კასრის კარის“ მიდამოში შარავზა XIX ს-ში წყლის მარცხენა მხარეზე გადმოდიოდა და კედლის განანგრევეში გადიოდა; ამჟამად კი—გზა მარჯვენა ნაპირზეა. მაგრამ ამისათვის საჭირო გახდა კასრის-კარის გადამოსწვრივ მარჯვე-



ხილაკას ხევი პირველი გადაშეკტი კედელი, საერთო ხედი და გეგმა

ნა ნაპირის ციცაბო კლდოვან მთაში გვირაბის გაყვანა. ამრიგად, უშეშვლია რომ შუა საუკუნეებში კასრის ხეზე მიშავალი „კასრის-კარს“ გვერდს ვერ აუვლიდა.

„კასრის-კარი“ პირით მიქცეულია ჩრდილოეთისკენ. მის კედლისაგან სამხრეთით, ათიოდე მეტრზე ქვათაყრილია. ეგებ ეს რაიმე ნაგებობების ნაშთი იყვეს, მაგრამ საკითხის გასარკვევად მიწის მოთხრაა საჭირო. ყველა ზემოაღნიშნულ ნიშნების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ რომ „კასრის-კარი“ წარმოადგენდა ჩრდილოეთისაგან სამხრეთი მხარის თავდაცვით ნაგებობას.



„კასრის-კარიდან“ წყლის აყოლებით ე. ი. სამხრეთისაკენ, ორი კიდეზე მეტრის მანძილზე, ისევ მარცხენა ნაპირზე განცალკევებით ღიაზე დგას აქედან ისევ სამხრეთისაკენ სამიოდე კილომეტრზე, წყლის მარცხენა ნაპირზე 70 მეტრამდე სიმაღლის ქარაფოვანზე, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი, „ღალ-ფანდაც“-ს ე. ი. „სახარე გზა“-ს უწოდებენ, ჩანს კედლის მყოფის ნაშთი. მკვიდრთა ცნობით, ეს კოშკის ნაშთია. დაბოლოს, კიდე 3—4 კმ. სამხრეთით, იქ სადაც იწყება კასრის ხეობა, სოფ. ქვ. ზრამაგასთან გორაზე მდებარეობენ ზრამაგის ციხის ნაშთები, რომელიც ადგილობრივ კვალობაზე დიდი, გალენიანი ციხე ყოფილა.

ამრიგად, კასრის-ხეობა შუა საუკუნეებში არა ერთი საფორტიფიკაციო ნაგებობით ყოფილა გამაგრებული. კასრის ხევის აღმოსავლეთით გადაულახავ კედლად აღმართულია თოვლიან-ყინულოვანი მთების მასივი (ცმბაქოშობ, ტეფლი, არხონ). აღმოსავლეთით ამ მთიან მასივს სჭრის ხილაკას ხევი, რომელშიც დის მდ. ფიაგდონი. XVIII ს. მეორე ნახევრის საბუთებში იხსენიება ამ ხეობაში სოფ. ხილაკა. მაგრამ ამჟამად ხეობა გაუკაცრილებულია და სოფლის სახელი ხილაკა უცნობია. წყლის დაყოლებით არის მხოლოდ ნასოფლარები: ქალოთი-ყაუ, ბუჯულთი-ყაუ, ანდიათი-ყაუ, გუთიათი-ყაუ. პირველი დასაბეჭდული პუნქტი ხარისკინ მდებარეობს გუთიათი-ყაუს ქვემოთ 5 კილომეტრზე, სადაც თავდება ხილაკას ხევი და ქუთათულის ხეობა იწყება.

სოფ. ხარისკინიდან წყალღმა შეყოლებით ერთ კილომეტრზე ფიაგდონის მარცხენა ნაპირზე, მაღალ და ციცაბო მთის კონცხზე, არის დიდი კოშკი და მის გვერდით დგას საკულტო ნაგებობა. დროის სიმყივრის გამო, ამ კოშკს საჭირო ყურადღება ვერ დაუთმეთ და მისი ფუნქციონალური დანიშნულება გაურკვეველი დარჩა ჩვენთვის.



ხილაკას ხეობა. პირველი გადამკეტი კედლის ფრაგმენტი

სამიოდე კილომეტრით კიდევე უფრო მაღლა, ფიაგდონის აყოლებით, ხილაკას ხევის რელიეფი ჰქმნის ხელსაყრელ ტოპოგრაფიულ პირობებს გზის შესაკრავად. ამ ადგილას, ხევის მიმართულები-სადმი პერპენდიკულარულად დგას ნაგებობათა ექვსი ფრაგმენტი, რომლებიც ოდესღაც ერთმანეთთან დაკავშირებული იქნებოდნენ და ქმნიდნენ ხევის ჩამხერგავ ერთიან ნაგებობას. ამ ფრაგმენტებიდან სამი მდებარეობს ფიაგდონის მარჯვენა ნაპირზე და სამი მარცხენაზე. მდინარე აქ დიდად დაქანებული, ქვა-ლოდებით საცეკალაბოტში ისეთი ძალით მოედინება, რომ გაუკალაა ფეხით თუ ცხენით.


აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ თანმიმდევრული განლაგებით ეს ფრაგმენტები შემდეგს წარმოადგენს: 1. მთის ფერდობთან დგას კოშკი (9X8.4 მ), მას მოშული აქვს კედელი 42 მ სიგრძის და კედლის ისევ კოშკი (9X9 მ). კოშკების კედლების სისქე 1.5 მ შეადგენს, ხოლო კოშკების მაკავშირებელი

კედლის სისქე 3.2 მ-ია. კედლების ზედა წყობა დაზიანებულია, ამიტომ მისი თავდაპირველი სიმაღლის განსაზღვრა არ ხერხდება, ხოლო შემონახული უმაღლესი დონე მიწიდან 3.6 მ უდრის. მთელ ამ კომპლექსში შედარებით არის შენახული ჩრდილოეთი კედლები.

2. მეორე ფრაგმენტს წარმოადგენს ცალკედ მდგარი კოშკი (4X5 მ., შემორჩენილი სიმაღლე 4.5 მ). პირველი ფრაგმენტისაგან ეს მეორე დაშორებულია 52 მეტრით, ხოლო მეორისაგან მესამე დაშორებულია 50"-ით დახრილ სიბრტყეზე, 20 მეტრის მანძილზე.

3. ეს არის ყრუ კედელი, რომელიც დაბალ საფეხურებად ჩადის დაახლოებით 45"-ით დაქანებულ მთის ფერდობზე. პირველი 3.6 მ სიგრძეზე შემორჩენილია კედლის მხოლოდ საფუძვლის სუსტი კვალი, შემდეგ-კი 26 მეტრზე მოდის მიწაზე მეტ-ნაკლებად (0.5 მ—4.0 მ) აღმართული კედელი. კედლის სისქე ქვედა ნაწილში შეადგენს 3.1 მ. კედელი წყლის ნაპირამდე არ მიდის და წყდება ნაპირიდან 15 მ დაშორებაზე. კედლის ბოლო მოპირკეთებულია. ასე რომ ამ მხრიდან დაზიანებული არ არის.

4. ფიაგდონის მარცხენა ნაპირიდან 10 მ მანძილზე, დაახლოებით 45"-ით დაქანებულ ფერდობზე, დგას ნახევრად ჩამონგრეული კოშკი და მასზე მოშპული კედელი. კოშკის ნახევარი და ნიადაგი, რომელზეც კოშკის ეს ნაწილი იდგა, პერპენდიკულარულად ჩამოჭრილია. ეს ალბათ მდინარის მოქმედების შედეგია. კოშკის კედლებიდან შემორჩენილია ჩრდილოეთი (სიგრძით 4.6 მ) და სამხრე-



ხილავს ზეობა, შუორე გადამკვეტი კედლის ფრაგმენტი.

თი (სიგრძით 2.8 მ) კედლები ნაწილობრივ, ხოლო მათი შემკერთებელი ერთი განივი კედელი სრულად (სიგრძით 6.3 მ) კოშკის ჩრდილო-დასავლეთი წიბუ-

რის სიმაღლე 7.7 მ აღწევს, კედლის სისქე 1.0—1.1 მ შეადგენს. კოშკის კედლების წყობაში ყოველ 1.5 მ შემდეგ ვლინდება წყნელებ ჩატანებული ხსნარის ფენა. კედლის ამოყვანის ასეთი ხერხი ხილაკას და კასრის ერთ სხვა ნაგებობაში არ შეგვიჩინებია.

კოშკის ჩრდილო კედელში ყურადღებას იქცევს ხერხი (ეგებ საზევრაი?), რომელსაც ჯამის ჭრილის ფორმა აქვს.

კოშკზე მოხმული კედელი (სისქე-2 მ) დასავლეთისკენ მიდის 10.8 მეტრზე. შემდეგ დახრილ სიბრტყეზე 10 მეტრი მოშინვლებული ნიადაგია და ამას მოსდევს მებუთე ფრაგმენტი.

5. ისევ კოშკის და მასზე მოხმული, დასავლეთისაკენ მიმართული, კედლის ფრაგმენტი. კოშკს აქვს არა სწორი ოთხკუთხედის ფორმა. შედარებით უკეთ არის შემორჩენილი ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლები, შესაბამისად სიგრძე-12 მ და 8.5 მ, სისქე 1.7 მ და 1.5 მ ჩრდილოეთი კედლის შემორჩენილი სიმაღლე 4. მ. შეადგენს. საყურადღებოა კოშკის ჩრდილო კედელში სარკმელი; სარკმლის ქვედა ხაზი მიწიდან 2.6 მ დონეზეა, სარკმლის ზომებია 25X55 სმ. კოშკზე მოხმული კედლის ნაშთი შემორჩენილია სიგრძით 10 მეტრზე, სისქე აქვს 2.0 მ კედლის კიდე მონგრეულია, ჩანს, უწინ მეტზე გრძელდებოდა. აქ ამჟამად გადის გზა, ეს ადგილი დაეკეზებულია და მხოლოდ შექცეს ფრაგმენტთან მოახლოვებისას იწყება უსწორმასწორო შეღმართი. რამდენზე გრძელდებოდა კედელი, გაურკვეველია, ოღონდ შიშველი ადგილი შექცეს ფრაგმენტამდე 50 მეტრზეა გადაჭიმული.


6. ფრაგმენტი წარმოადგენს დასავლეთი მთის ფერდობთან განცალკევებულიად მდგარ კოშკის ნანგრევს. კოშკის ზომებია 8.5X7.2 მ, შემორჩენილი სიმაღლე 2.5 მეტრამდე აღწევს, კედლის სისქე უდრის 1.8 მ. კოშკის კედელთაგან შედარებით უკეთ არის შენახული ჩრდილოეთი კედელი.

ამრიგად, ხეობის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე განლაგებულ ნაგებობათა ნაშთების საერთო სიგრძე, დამრგვალებით, 150 მ უდრის, ხოლო მათ შორის დარჩენილი შიშველი ინტერვალები თუ მივათვალოთ, მთელი ხაზის სიგრძე 300 მ გადააჭარბებს.

აღწერილი ფრაგმენტების საერთო ნიშნებია: კოშკებში ჩრდილოეთი კედლების უკეთ შენახულობა, მათზე მოხმულ კედლებთან შედარებით კოშკების ჩრდილოეთისაკენ წინ წამოწეულობა 4—5 მეტრით, კედლების დიდი სისქე (2—3 მ.), კედლების ამოყვებით ამოყვანის და პერანგით შემოსვის ხერხების ხმარება და სხვ. მკვეთრი განსხვავება იგრძნობა № 1 ფრაგმენტის ორივე კოშკსა და № 4 ფრაგმენტის კოშკს შორის, კედლების წყობაში და ქვების დამუშავებაში. ექვსივე ფრაგმენტი ერთ განედ ხაზზეა განლაგებული და ფრონტით მიქცეულია ჩრდილოეთისაკენ.

საფიქრებელია, რომ ყველა ეს ფრაგმენტი წარმოადგენდა ერთიან თავდაცვით სასაზღვრო ნაგებობას. უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში ხილაკას ხეზე გადიოდა, ქართლის ოსეთთან და, საერთოდ, ჩრდილო კავკასიასთან მაკავშირებელი, ერთ-ერთი ყველაზე ცხოვლად მომქმედი გზა.

მკვიდრ მოსახლეთაგან მიღებული ცნობებით გაირკვა, რომ ისევ ფიადონზე, მაგრამ უფრო ზემოთ, ნასოფლარ ბუგულთი-ყაუში, არის კიდევ ხევის ჩამხერგავი სხვა კედლის ნაშთი.



ხალკას ხევი. მორე გადამკვეთი კედელი. განაკეთი და გეგმა

ფიავდონის აყოლებით, განხილულ კედლისაგან ნახევარ კილომეტრზე, ნასოფლარი გუთიათი-ყაუ ძეეს, კიდევ რამდენიმე კილომეტრზე—ნასოფლარი ანდიათი-ყაუ. შემდეგ ფიავდონს ერთის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მდ. ზამარაშ (ზამარაშის აყოლებით მიმავალი ბილიკი გადადის თრუსოს ხეობაში). შესართავიდან 1.5-2 კილომეტრზე, ისევ ფიავდონზე, მდებარეობს ნასოფლარი ბუგულთი-ყაუ. ადგილი აქ ვაკეს წარმოადგენს, ისე, რომ ფიავდონიც მის შუაგულს ნელა დის და ადგილი გასასვლელია ფეხით თუ ცხენით. ნასოფლარის ნაშთები წყლის ორსავე მხარეზეა. ბუგულთი-ყაუს აღმოსავლეთით და დასავლეთით ესაზღვრება ორი დიდი კლდოვანი, შვეულად ჩამონაკვეთი მთა. აქეთ იქით შვეულად აზიდული ეს კლდეები, ქეშმარიტად, კარეზად შეიგრძნობა. ორივე მთიდან ერთ ხაზზე მოდის ერთი მორის შესახვედრად მიწაყრილის ორი ზოლი, მაგრამ ხევის შუაში მიმავალ მდინარემდე არ აღწევენ და ისე წყდებიან. მიწაყრილები ნასოფლარის ტერიტორიაზე გადაიან, მრავალგან მათზე არის მიკრული ნასახლარები, რაც ცხადს ხდის, რომ სოფელი მიწაყრილზე უფრო გვიანდელია.

წყლის მარჯვენა ნაპირის მიწაყრილი მთიდან მოკიდებული მოდის მდინარისაკენ უწყვეტი ხაზით 68 მეტრის სიგრძეზე. აქა-იქ შეიმჩნევა მიწაყრილის ქვეშ კედლის წყობა, ხოლო უკანასკნელი 6 მ კედელი სავესებით გაშიშვლებულია. აქ ჩანს კედლის ხასიათი: ნახმარია ხსნარი, კედელი ჩაყორილია და პერანგით მოპირკეთებული, დამუშავებული ქვები აწყვიტა წესიერ, პორიზონტალურ მწყრივებად. მისი სიმაღლე 3.5 მ აღწევს, ხოლო სისქე უდრის 1.8 მ.

კედლის გაგრძელება მორღვეულია, ნაპირამდე დარჩენილია 40 მ ვაკე ადგილი, მხოლოდ ზედ ნაპირთან ისევ არის ხსნარით შეკრული ქვათა წყობის ფრაგმენტი: 2X6 მ, სიმაღლით 0,6 მ.

ამ მიწაყრილზე გვიანდელი სოფლის მინაშენებს შორის გამოირჩევა 46-ე და 57-ე მეტრებს შუა მასთან სამხრეთი მხრიდან ორგანულად დაკავშირებული ერთი სათავსოს ნაშთი.; მისი ზომებია 11X9 მ.

დასასრულ, კიდევ უნდა ვახსენოთ მიწაყრილის ცოტა ჩრდილოეთით, აღმოსავლეთი მთის ფერდზე მკრთალად ხილული ქვების ხელოვნური წყობის ნაშთი, მიშენებული შვეულად დაშვებულ კლდეზე. ის მოჩანს ორიოდ ათეული



მეტრის სიმაღლეზე და აქა-იქ შეიმჩნევა მისკენ მიმავალი მოშლილი ბილიკის კვალი. ყველაზე უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ეს ყოფილი საზვერავი პუნქტის ფრაგმენტია.

წყლის მარცხენა ნაპირზე იგივე სიტუაციაა. მიწაყრილი ასევე მთას ეკერის და იქედან მოყოლებული გასდევს 100 მეტრზე, თუმცა 2-3 ადგილას აქვს წყვეტილი. მიწაყრილის ხაზს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მცირე შეზნექილობა ემჩნევა. იგი წყდება წყლიდან დაახლოებით 30 მ დაშორებაზე. მიწაყრილს ბოლოში, სამხრეთის მხრიდან, ორგანულად უკავშირდება მიჯრით მიწყობილი სამი სათავსო, რომლებიც გამოირჩევიან ნასოფლარის სხვა მინაშენებისაგან. ამ სათავსოების შინაგანი ფართობის ზომებია: 4.5X11 მ; 4.35X10.6მ, 3.9X10.6 მ. ამ ადგილას მიწაყრილის ქვეშ კედელი მოჩანს, რომლის სიმაღლე 4 მ აღწევს, ხოლო კედლის სისქე 2 ც.

საერთოდ, ამ მიწაყრილზე და გარშემო აუცილებელია გათხრების ჩატარება, რომ შეიძლება რაიმე გარკვეულის თქმა. წინასწარ დასაშვებია გამოითქვას ვარაუდი, რომ აქ უნდა იყოს იმავე ფუნქციონალური დანიშნულების ნაგებობა, როგორც იყო გუთიათი-ყაუს ქვემოთ მდებარე ნაგებობა. ოღონდ ბუნებრივი-ყაუსთან არსებული ნაგებობა ჩანს უფრო დიდი ხნის მიტოვებულია, ვიდრე გუთიათი-ყაუსთან არსებული. პირველს პირობითად ხილაკას ხევის ჩამხერგავ კედელ № 1 ვუწოდებთ, ხოლო მეორეს — ხევის ჩამხერგავ კედელ № 2.

ნაგებობათა დროის ზუსტი განსაზღვრა და არგუმენტირება სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს. ამჟამად-კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ კასრის და ხილაკას ხევის ჩამხერგავი ნაგებობათა ფუნქციონირება სავარაუდებელია ადრეულ და მოწინააღმდეგეულ შუა საუკუნეების მანძილზე.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს „ახალი ქართლის ცხოვრების“ (ბერი ეგნატაშვილის) ცნობა, რომ XVI ს. პირველ ნეოთხედში ქართლის სამეფოს უკიდურესი ჩრდილო პუნქტები იყო „ხევ-ხილაკა და კასრის-ხევი“. ჩვენი აზრით, თუ უფრო ადრე არა, XVI ს. პირველ ნახევარში მაინც უნდა გაუქმებულიყო ხილაკას ხევის ჩამხერგავი № 2 კედლის ფუნქციონირება; ხოლო ხევის ჩამხერგავი კედელი № 1 კი, მასზე ბევრად ადრე; კასრის-კარის ფუნქციონირებამ კი შეიძლება ცოტა მეტხანს გასტანა, ვიდრე ხილაკას ხევის ჩამხერგავი № 2 კედლისა. თითქოს ასეთ მიჯნებს გვიკარნახებს ისტორიული კონტექსტი.

დღემდე შემორჩენილი ნაშთები, რასაკვირველია, ყველა ერთი დროისა არ არის. შეკეთებას, გადაკეთებას და ახალშენებლობას არა ერთხელ ექნებოდა ადგილი. ხილაკას ხევის კედელი № 1 არ იქნება კედელი № 2-ის თანადროული; ცხადია, ერთდროულად ორ ამგვარ ნაგებობას არ ააშენებდნენ. № 2 კედლის ფრაგმენტები № 1 და № 3 მკვეთრად განირჩევიან № 4 ფრაგმენტის კოშკისაგან. ეს უკანასკნელი ბევრად უფრო გვიანდელი უნდა იყოს, ვიდრე პირველი ორი. ეს № 1 და № 3 ფრაგმენტი თავის ქვების დამუშავებით და კედლის წყობით მოგვაგონებს კასრის კარის და დარიალის ციხის არქაული ნაწილების კედლების წყობას და ქვების დამუშავებას. მოკლედ, კასრის და ხილაკას ხევის საფორტიფიკაციო ნაგებობებში ვვაქვს ისეთივე მდგომარეობა, როგორც დარიალის ციხეში, სადაც დამოწმებულია სხვადასხვა დროის ფრაგმენტები.

ამრიგად, კასრის-კარი, ხილაკას ხევის ჩამხერგავი კედელი № 2 და დარიალის ციხე-კედელი, ერთ განედზე განლაგებულნი, ქმნიდნენ თავდაცვით



ნაგებობათა ერთიან ხაზს. ისინი კეტავდნენ ვიწროებში სამ მთავარ ხეობებს (თერგის, ფიაგდონის, არდონის), რომლითაც შუა საუკუნეებში მიიმართებოდა მთავარი სამიმოსვლო გზები ქართლსა და ოსეთს, და, საერთოდ ცენტრალურ ჩრდილო-კავკასიას შორის. საგულისხმოა, რომ ისინი მდებარეობენ არა მთავარი ქედის უღელტეხილებზე, არამედ ჩრდილოეთი ხეობების ვიწროებში. ხაზგასასმელია დარიალის, ხილაკას და კასრის ხევის სიმაგრეების მშენებელთა მიერ კავკასიონის ოროგრაფიის მშვენიერი ცოდნა. იშვიათი ოსტატობით არის გამოყენებული ბუნებრივი პირობები—ვიწროების და ცინულოვანი მთათა მასივების მონაცვლეობა. ამის შედეგად საბოლოოდ მიღებულ იქნა ერთიანი გამაგრებული ზოლი: კარაუგომ, ადაიხობის ცინულოვანი მასივი—კასრის კარი-ცმოაქოშობ-ტეპლი, არხონის ცინულოვანი მასივი—ხილაკას ხევის კედელი № 2, გიმარაის და ყაზბეგის ცინულოვანი მასივი—დარიალის ციხე და კედელი—შინოს მთის მასივი. ამ ზოლის შექმნას უთუოდ სტრატეგიული მოსაზრებები ედო საფუძვლად. მაგრამ ამათ გარეშეც, კავკასიის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, ხსენებული საფორტიფიკაციო ხაზი მრავალმხრივ არის საგულისხმო.

სივმელურმ, სულმდაბლობა და უმიცოგა პატივს არ
სცემს წარსულს და მლიქვნელოვან აფხვოს წინაშე.

ა. კუშკინი



ქოროლო. დასაკლეთის ფასადის ფრონტონი. ფოტო ვ. ცინცაძისა

რუსუდან მიფინაშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

მხენაზღოვის ამსახველი რელიეფები ქოროლოს ძეგლზე

მდ. ხადას ხეობაში, ხადას და არაგვის შესართავიდან ექვსიოდე კილომეტრის მანძილზე მდებარეობს სოფ. ქოროლო. სოფლის განაპირას, მაღალი მთის ოდნავ მოვაკებულ ალაგას, აღმართულია ტაძარი და მის გვერდით კოშკი.

ორქანობიანი სახურავით გადახურული საშუალო ზომის ეკლესია ადგილობრივი ფილა-ქვით არის ნაგები. გარედან კარ-სარკმლების მოჩარჩოებისათვის და კარნიშისათვის თლილი ქვაა გამოყენებული. შიგნით თლილი ქვა ნახმარია სვეტებისა, სვეტისთავეებისა, თაღებისა და კამარებისათვის.



ქოროლ. დაბაკელიძის ფასადის რელიეფები

ძეგლის ფასადთა მორთულობის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს დასავლეთი ფასადის კარნიზზე გამოკვეთილი, შრომის პროცესის ხველი რელიეფები წარმოადგენს.

კარნიზის შუა, ფართო არე ქვემოდან ლილე-თაა შემოზღუდული, ზევით კი დაგვირგვინებულია სქელი, ძლიერად წინ წამოწეული თაროთი. თვითოეული სცენა ცალკე ქვაზეა გამოკვეთილი და ქვების ზომებიც ამ სცენების მიხედვით არის შერჩეული. ოსტატს მოფიქრებული აქვს არა მხოლოდ თითოეული სცენა, არამედ საერთოდ მათი განლაგება-კომპოზიცია მთლიანად. ფრონტონის წვერში კარნიზზე ღეთისმშობელია გამოქანდაკებული. ამ ცენტრალური ფიგურისაკენ ორივე მხრიდან მწყობრად მიიმართება ეკლესიის მშენებელთა დიდი რიგი. აქ გამოხსახულნი არიან ეკლესიის დამკვეთები, ე. ი. ქტიტორები, და, რაც მთავარია, ძეგლის უშუალო მშენებლები—მუშაკნი. კომპოზიციის შინაარსობრივი მხარე მარტივია: ღეთისმშობელი აკურთხებს ეკლესიის მშენებლებს, ლოცავს მათ საქმიანობას. სცენები მშენებლობის პროცესის სხვადასხვა მომენტს გადმოგვცემენ: ქვის გადატანა მარხილით, ქვის გადატანა ზურგიით, ქვის გააბობა, ქვის გათლა და სხვ. ერთ-ერთ ქვაზე, სავარაუდოა, ხსნარის მარტივი მანქანით არევაა წარმოდგენილი.

ამგვარი შინაარსის მქონე სცენების რიგი სხვაგან არსად გვაქვს. მშენებლობის გამო სახვა საერთოდ იცოდნენ ძველად. ცალკეული სცენები დაცულია, მაგალითად, სანმარკოს ტაძრის მოზაიკაზე, ზაფარ-ნამე შერეფ ედ დინის მინიატურაზე და სხვაგან. ქოროლოს ოსტატი ამ მშენებლობის შემკველი რელიეფების გამოკვეთისას რაიმე ადრე ცნობილ მაგალითით არ სარგებლობს. მის მიერ შესრულებული რელიეფებიდან ჩანს, რომ იგი თვით ძეგლის მშენებლობასთან დაკავშირებულ რეალურ მომენტებს ასახავს.

რელიეფების გამოხვედრისას ოსტატი კარნიზის ფილების დაქანებას ითვალისწინებდა და ამისათვის ზოგიერთ ფიგურას კარნიზის ფუძის მიმართ მცირე დახრილობა მისცა. ფუძის დახრილობა აღმართში მოძრაობის შთაბეჭდილებას ქმნის.

კარნიზის რელიეფებს გარდა ძეგლზე შემონახულია სკულპტურული გამოსახულებანი ახლა აღარ

არსებულ სამხრეთის კარიბჭის სვეტზე და სვეტის-
თავზე. სვეტის წინა პირზე გამოქანდაკებულია დი-
დი, ფონიდან ძლიერად გამოწეული ფიგურა,
გრძელ ტანისამოსში. სვეტისთავის წინა პირის არე-
ურთმანეთის ღომიდან სამ ფიგურას უკავია. სვეტ-
ზე და სვეტისთავზე გამოსახული არიან დიდგვარიან
მოხელეთა წრის წარმომადგენლები. მათ, საფიქრე-
ბელია, ძეგლის აგებასთან აქვთ გარკვეული კავ-
შირი.


ქოროლოს რელიეფები მათი შესრულების თა-
ვისებურების მიხედვით შეიძლება გაიყოს სამ ჯგუ-
ფად: ღეთისმშობლის გამოსახულება წარმოადგენს
შზა ნიმუშის პირს, ქტიტორების ფიგურებს საფუ-
ძვლად უდევთ შზა სქემები, რელიეფები კი, რომლე-
ბიც გადმოგვცემენ შრომის პროცესს თვით მხატვრის
შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენენ და ყველაზედ
საინტერესონი არიან.

დაკვეთის საკესებით განსაკუთრებული ხასია-
თი - აღებული ნაგებობის მშენებლობის ცალკეული
მომენტების გამოსახვა რაიმე დოკუმატურ დებუ-
ლებათა გარეშე შესაძლებლობას აძლევს ოსტატს, ამ
სცენებში, სრული თავისუფლებით და თავისი შე-
მოქმედებითი შესაძლებლობის, აგრეთვე ეპოქის
მხატვრულ მიდგომათა მკაფიო ჩვენებით, გადა-
წყვიტოს მასზე დაკისრებული ამოცანა, კარნიზის
გამოსახულებათა მნიშვნელობა ძეგლის ამშენებელ-
თათვის ძირითადად განისაზღვრებოდა მისი სიუ-
ჟეტური მხარით. აქედანაა. მკაცრი, საქმიანი მიდგო-
მა სიუჟეტის გადმოცემისადმი და სრული უკუგდება
დეკორატიული ხერხებისა. ყოველი სცენის აგება
მიზნად ისახავს რაც შეიძლება ნათლად გახსნას
სიუჟეტი. აქ არა აქვს ადგილი პირობით გადმო-
ცემას, ყველაფერი დამთავრებულია, დამუშავებული
დაწვრილებით და დაყვანილია მაყურებლამდე.
ისეთი წერილმანები. როგორც სათლელი იარაღე-
ბის ფორმა, სურაზე თოკის შემოხვევის წესი და
სხვა, გადმოგვცემენ საგნის რეალურ თავისებურებას.

ქოროლოს რელიეფები მასიური, ტლანჭი
ფორმებით და თავების გადიდებული ზომებით
აღინიშნება. ამავე დროს ნათლად ჩანს ოსტატის
მისწრაფება გამოსახულების მთლიან მასიურობას
ცალკეული, დამატებითი მოცულობები გამოიყნოს.
ოსტატი ცდილობს ფიგურა გაანთავისუფლოს ფონი-
დან და მას ძლიერად გამოწეული, თითქმის



ქოროლო. დამკვეთის ფაქადს რელიეფები



ქოროლო. გეგმა და დასავლეთის ფასადი

შაოს დამთავრება მოკლე ხანში აუცილებელია, რომ გადაეარჩინოთ ეს ძვირფასი ძეგლი მოსალოდნელ დაღუპვას.

მრგვალი მოცულობის მქონე ფორმა მისცეს. საყურადღებოა ისიც, რომ მოქანდაკე ფიგურებს თავისუფალ მოძრაობაში გამოსახავს. მეტიც, მუშაობის პროცესში მყოფ ზოგიერთი მუშაკების ფიგურებს-ფიზიკურ დაჰიპოლოზას ანიჭებს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქოროლოს ფასადთა აღნიშნული რელიეფები სრულიად უნიკალური და მრავალ მხრივ საინტერესონი არიან. ისინი ძვირფას მასალას გვაძლევენ არა მხოლოდ ქართული ქანდაკების შესწავლისათვის, მათი მნიშვნელობა დიდია მატერიალური კულტურისა და მთიულეთის სოციალური ვითარების ისტორიისათვის X საუკუნის ხანაში.

1954 წელს, არქიტექტურის საქმეთა სამმართველოსთან არსებულმა კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებამ ქოროლოს ტაძრის შეკეთება ჩაატარა. ნაგებობის გამაგრებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება მაშინ ვერ შესრულდა და ძეგლი დღესაც საბიფათო მდგომარეობაში იმყოფება. სამუ-

შ ა ტ ი ლ ი

ქართული ხუროთმოძღვრების ზოგადი განვითარების გზაზე განსაკუთრებული ადგილი უკავია მთიანი რაიონების დასახლების ორგანიზაციისა და ნაგებობათა ფორმებს. კერძოდ, დიდი ინტერესის აღმძვრელია ხევსურეთში შემონახული ძველი საცხოვრებელი სახლები, კოშკები, ციხე-სახლები და, განსაკუთრებით, ისეთი დიდი გამაგრებული საცხოვრებელი კომპლექსები, როგორცაა შატილი და მუცი. ასეთი საცხოვრებელი კომპლექსები საიმედო და მდიდარი წყაროა, როგორც საერთო ხუროთმოძღვრების, ასევე საქართველოს მთის ისტორიის სხვადასხვა საკითხების შესასწავლად. ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მკვლევარ-მეცნიერთა, ჩვენი წარსულის მოყვარულთა, ხალხური შემოქმედებით ან კიდევ ზვიადი მთების დიდებით გატაცებულთა მოგზაურობა ხევსურეთის ყოველ კუთხეში. ამას, რასაკვირველია, ხელი შეუწყო გზების მშენებლობამაც.

კავკასიონის ქედი ხევსურეთს ჰყოფს ორ ნაწილად: ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილი—პირიქითი ხევსურეთი; და სამხრეთ-დასავლეთის ნაწილი—პირაქეთი ხევსურეთი. ახლა შედარებით გადავიღოთ მიმოსვლა შატილშიც, რომელიც საქართველოს ჩრდილო საზღვარზე მდებარეობს მთავარი ქედის გადაღმა. რეგულარული საავტობუსო კავშირია დუშეთ-ბარისახოსთან. ეს გზა ჟინვალთან გადაკვეთს საქართველოს სამხედრო გზას, ფშავის არაგვის ხეობით გაივლის მაღაროს კარს, ორწყალთან უხვევს ხევსურეთის არაგვის ხეობაში და ბარისახოში ადის. ბარისახო-შატილის მიმართულებით უკვე სამანქანო გზა გადმოღმა ხევსურეთის უკანასკნელ სოფელ ხახმატს გასცილდა, ველკეთლის დამქანცველ აღმართზე დაიკლანა, და გასულ, 1964 წელს უკვე ავიდა დათვის ჯვრის მთაზე, რომელიც პირიქითი და პირაქეთი ხევსურეთის წყალგამყოფ ქედს წარმოადგენს. აქედან კი შატილამდე ოციოდე კილომეტრია ბილიკით-სავალი. უღრანი ხეობის ცხოველხატული, ველური ბუნების ნაირფერია, მუდამ ცვალებადი სანახაობა საგრძნობლად უნაზღაურებს კაცს ცხენითაც ძნელად სავალა ხშირად სახიფათო, უღვევი საბილიკო გზის დამქანცველობას.

შატილი ისეა მომწყვედებული ახლო მდებარე მთების რკალში, რომ მხოლოდ ახლოს მისვლისას წარმოუდგება მხახველს შატილიონთა სოფელი-კლდოვან კონცხიდან ამოზრდილი, ჯანგმოკიდებული კოშკ-ქეთვირების ციხე-სიმაგრე.

აღსანიშნავია, რომ შატილის განაშენიანების მასივი და მისი მიმხრობი ძირითადი სახმარი მიწები ტოპოგრაფიულად ერთ კომპაქტურ, ქედებით შემოზღუდულ ბუნებრივ მთლიანობაშია მოცემული. მაშინ როცა პირაქეთის სოფლებში (მაგ. გუდანი, აყანელი, ბაცალიგო და სხვ.) განთენილადაა განსახლებული, ისინი საკარმიდამო დასახლების ნიშნებს ატარებენ; მათი გეოგრაფიული საზღვრები მკვეთრად არ გამოირჩევა, სახმარი მიწების ფართობებიც გაფანტულია.



ქართული
ლიბრარი



უკუნეთია, არ ისმის
კრინტი არსითგან არ-რისა,
სუღარჩააქმული მთანი გგან,
ფიქრის მზიდველი მწარისა.

სუ მუდამ ყინულიანნი,
არ-როს მნახველი მწვანისა;
ცხადად ერჩევა საჯიბვე,
ქმნილი კდისაგან საღისა.

ჩქაფუნი ისმის მწყრომარე;
იქ ზევსურეთის წყლისა
და განაპირად სოფლისა
ისმის რაკუნი კარისა.

მანა-შაგვილა

სოფ. შატლი


ფოტო ვ. დოლიძისა





და საერთოდ მოკლებულია იმ ბუნებრივ მთლიანობას, რომელიც დამახასიათებელია გადაღმა ხევსურეთის სოფლებისათვის, პირველ რიგში კი შატღერისათვის. უნდა ითქვას, რომ შატღერი გარკვეული ტიპის უთვალსაჩინოეს მაკლითს წარმოადგენს. მისდამი განსაკუთრებულმა ინტერესმა გადაუდებლად გამოიწვია სოფლის გენერალური გეგმისა და ფასადების ინსტრუმენტული აზომვა, რომელიც ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო გეგმის შესაბამისად ჩატარდა 1964 წელს.

შატღერის უძველესი, მთავარი ნაწილი გაშენებულია კლდოვან კონცხზე, რომელიც წინწამოწეულია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, იქ, სადაც გაცოფებულ მდინარე არღუნს მუდამ ანკარა მთხურის წყალი ერთვის. არღუნისა და მთხურის წყლის ხეობები აქ შემოჭრილან ქვაბურში, რომლის ცენტრში მაღალ კონცხზე აღმართულია შატღერი. გარესამყაროსთან დამაკავშირებელი ერთადერთი ვიწრო გზა არღუნის ხეობას მიყვება. კონცხის განაშენიანება იმგვარადაა გადაწყვეტილი, რომ კიდევებზე მოთავსებული ციხე-სახლები მიჯრითაა აგებული და ამის შედეგად ერთიანი დაშკვლი, მტრისათვის მიუდგომელი კედელია შექმნილი. იგი კონცხის მოხაზულობას გასდევს და მთლიანად კეტავს შატღერის ანსამბლს.



შატღერი. გენერალური გეგმა

სოფლის მდებარეობა და მისი ტოპოგრაფიული პირობები საეკონომიკურ უპასუხებს გარკვეულ ფუნქციურ მოთხოვნებს. განაშენიანებას უჭირავს სტრატეგიულად მომზადებანი ადგილი თავდაცვის თვალსაზრისით. ადგილმდებარეობის შერჩევაში მსგავსი მიდგომა დამახასიათებელია პირიქითი ხევსურეთის სოფლებისათვის, რომელნიც ისტორიულად არასოდეს არ ყოფილან უზრუნველყოფილი მტრულად განწყობილი ჩრდილო მეზობლების თავდასხმისაგან. ამიტომ თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების მიხედვით განაპირა სასაზღვრო სოფლებს—ეუცოს (არლოტის ხეობაში) და შატღერს საქართველოს ჩრდილო აგნაპოსტების დანიშნულება ჰქონდათ. მეორე მხრივ, ისევე, როგორც სხვა მაღალმთიან რაიონებში, ხევსურეთშიც დიდხანს იყო შემონახული სოციალური ურთიერთობის ადრინდელი ფორმები. ცენტრალური ფეოდალური ხელისუფლების პერიოდული შესუსტება ხელს უწყობდა მთელთა სეპარატიზმსა და თემური ყოფის ზოგიერთი ფორმების კონსერვაციას. ხევსურები თავისუფალი იყვნენ ცალკე ფეოდალების ბატონობისაგან, ისინი მხოლოდ მეფის ცნობდნენ. მაგრამ ფაქტიურად მთაში ხევსურები განაგებდნენ, სასოფლო თემის გადმოწამითი ფორმების შესაბამისად. და თუ კი ამ სეპარატიზმს მეფის ხელისუფლებისაგან ან ცალკე ფეოდალებისაგან რაიმე საფრთხე მოელოდა, ხევსურები მზად იყვნენ განდგონისა და ამოხეზვისათვის. ანუხდრებულ ხევსურთა



სოციალურ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთ მტკიცე ჩემთვის, როგორცაა შატლი ან მუცო. ისინი მუდამ მოუწყდომელი რტყნა-დამტყნის სათვის.

შატლის ნაგებობათა ძირითად მასივისაგან ცალკე დგას გვიანდელი დროის რამდენიმე შენობა კლდის ძირთან და ორივე მდინარის წყალგამა. შიხურის წყლის ვიწრო ტოტთან პატარა წისქვილებია ჩამწყობებული. მათი რიცხვი ადრე გაცილებით მეტი ყოფილა. დასავლეთით ჩამოწოლილ მთის ფერდობზე ღეთისშობლის სახელობაზე აგებული სამლოცველო-ხატია, მისგან ზემოთ კი ჰალაში—სოფლის სასაფლაო. სამხრეთ-აღმოსავლეთით მთის ფერდობზე კიდევე ორი ხატის მცირე შენობებია—„მთავარანგელოზი“, და მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით დაცილებული „გიორგი წმინდა“.

განსაკუთრებით საინტერესოა თავისი დანიშნულებით სოფლის დასავლეთ კიდესთან მდებარე „საფეხენო“. ახლა იგი ნანგრევების სახითაა შემორჩენილი. ეს იყო ქვა-ყორისა და ფიქალის მშრალი წყობით ნაშენი, გუგმაში სწორკუთხა, წინიდან გახსნილი სადგომი. შიგნით ქვის სკამები იყო განართული. აქ იკრიბებოდნენ მამაკაცები კვირა-უქმებში და სხვა თავისუფალ დროს, ერთმოდნენ საუბრითა და მსუბუქი საოჯახო საქმიანობით; ზოგი ტყავს ზელდა, ზოგი თოკს გრეხდა და სხვ. საამისო ხელსაწყოები საფეხენოში საერთო ჰქონდათ. აქვე ხდებოდა სადაო თუ საერთო სასოფლო საქმეების განხილვა-გადაწყვეტა. ბჭობდნენ სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე და სხვ. თავის ასაკისა და მდგომარეობის მიხედვით შატლიონებმა იცოდნენ თუ ვის სად შეეძლო დამჯდარიყო. უზუცესისათვის გამოყოფილი იყო საპატიო სკამი. აღსანიშნავია, რომ ასეთი საფეხენოს არსებობას ხევესურეთში სხვაგანაც ახსენებენ, მაგრამ მისი რეალური ნაშთი ნაგებობის სახით მხოლოდ შატლიმა შემოგვინახა. საფეხენო ამ 10—12 წლის წინათ დანგრეულა აქ, სხვათაშორის, ინახებოდა რუსული და ქართული წარწერებიანი ქვა. სადაც ნათქვამია, რომ მეფის ნაცვლის განკარგულებით შატლიში 1843 წელს ეკლესია აშენებულა შატლიელთა ჯილდოდ—შამილის სარდლის ახერდი მახმედის თავდასხმის მოგვიერებისათვის. წარწერიანი ქვა ახლა საფეხენოს ზემოთ მდგომი სოფლის ლუდასხედელ შენობაზეა მოთავსებული.

შატლის განაშენიანების ძირითადი თავდაპირველი მასივი ხასიათდება შენობათა მჭიდრო შეჯგუფულობითა და საფეხუროვანი განლაგებით, რელიეფის შესაბამისად. განაშენიანების სიმჭიდროვე უმთავრესად გაპირობებული უნდა ყოფილიყო განაშენებელი ფართობის სიმცირით (ერთ ქეტარსაც არ აღწევს) და კოლექტიური თავდაცვის საჭიროებით. სოფელი შედგება ძირითადად ქვითკირის (ციხე-სახლების) და კოშკური საცხოვრებლების ბანიან შენობებისაგან. რამდენიმე პირამიდული ან წვერმომილი კოშკიც გამოირჩევა. კუშტი და მკაცრი, მტკიცედ შეკრული ანსამბლის დასამახსოვრებელ სილუეტს მაღალი, მონუმენტური საცხოვრებელი კოშკები ჰქმნიან, რომელთა შორის ხუთსართულიანებიცაა აზიდული. ამგვარი კოშკების უწყვეტი განაშენიანებითაა გამარებული ბუნებრივი ნისადგომი სოფელში სამხრეთიდან. აქედან იწყება ვიწრო ქვა-ციხე. გზა შენობებს შორის და ხვეულებით მიემართება სულ ზემოთ სოფლის ჩრდილო კიდემდე. შიგ სოფელში ვიწრო ქუჩა-გასავლულების თავზე, ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილია ძელებისგან შედგენილი ფიყარნაგი-გადასასვლე-



ლი. ამგვარი „სამაერო“ გადასასვლელები უშუალოდ აკავშირებდა მეზობელ შენობების ზემოთა სადგომებს. ეს დამატებითი საშუალებაც იყო იმისათვის, რომ თუ განგაში ატყვდებოდა შინიდან გამოუსვლელად შეეძლოთ შატლიონებზე მთელი შატლის შემოვლა.

როგორც აღინიშნა, სოფლის განაშენიანების ძირითად ელემენტებს ციხე-სახლი და კოშკური საცხოვრებელი წარმოადგენს. უკანასკნელი არსებითად იგივე ციხე-სახლია, ევრტიკალურად უფრო განვითარებული მოცულობით, ამასთანავე, იგი ხშირად დაგვირგვინებულია სეთივე სალოდუებით. როგორცაა აღჭურვილია თუშური და ხევსურული პირამიდული საბრძოლო კოშკები. შატლის ციხე-სახლების ორგანიზაცია არ განსხვავდება საქართველოს სხვა მთიანი რაიონების მსგავსი შენობების გადაწყვეტისაგან. გეგმის მოხაზულობა კვადრატს ან სწორკუთხედს უახლოვდება; აქაც ერთ მთლიან მოცულობაში მოქცეულია ყველგან განმეორებული ელემენტები: გომური, საცხოვრებელი, სათავდაცვო სართული, სხვაობა სართულიანობასა და ცალკეული ელემენტების ადგილობრივ ვარიაციებშია. სართულთა რაოდენობა შატლის ციხე-სახლებში სამიდან ხუთამდე აღწევს. ნაგებობათა უდიდესი ნაწილი სამსართულიანია. ხუთსართულიანი ციხე-სახლის შემთხვევაში პირველ სართულში გომურია, მეორეში-საცხვრე, მესამეში და მეოთხეში—საცხოვრებელი, ხოლო უკანასკნელი სართული ყველა შემთხვევაში—სათავდაცვო დანიშნულებისაა და მას „ზეთასთვლი“ ეწოდება. საცხოვრებელი სართული ერთიან, დაუნაწევრებელ სადგომს წარმოადგენს, რომლის ფართი უმეტეს შემთხვევაში 50 კვ. მეტრს აჭარბებს. საცხოვრებელი ფართის დაუნაწევრებლობა და საერთოდ ნაგებობის მთელი ორგანიზაცია, როგორც ჩანს, დიდი ოჯახის (საოჯახო თემის) გადმონაშთური ფორმის ანარქული უნდა იყოს.

საცხოვრებელ სართულში, ჩვეულებისამებრ მოწყობილია კერა, კერასთან თავმოყრილია ოჯახის უფროსის სავარძელი, გრძელი ზურგანი სკამი, სხვადასხვა ფორმის კიღობანი, ავეჯი, როგორც წესი გეომეტრიული სახის ხის ჩუქურთმითაა შემკობილი. ოთახის დანარჩენი ნაწილი სხვადასხვა საოჯახო ტურტლელულობას უკავია. შატლისათვის დამახასიათებელია კერისა და მის ზემოთ ჩამოკიდებული საქვაბე ჯაჭვის მოწყობა ოთახის კუთხესთან—სასინათლო-საკვამლე სარკმელთან ახლოს. კერის ზემოთ ქერის კოჭები ცუცხლისაგან დაცულია ფიქალის დიდი ფილით, რომელსაც „სალეს“ ეწოდებენ. სართულები შიგნიდან დაკავშირებულია გადასადგმელი კიბით. იგი ქერში გაჭრილ ასაძრომ ხერხელოზეა მიდგმული ოთახის კუთხესთან. სათავდაცვო სართულში („ზეთასთვლი“) ოთახსავე კედელში სათოფურებია მოწყობილი. ამ სადგომს ზაფხულობით დასაძინებლადაც გამოიყენებდნენ. აქ შეხვდებით მაღალფეხიან ღოგინებს, ნოხს, ფარდავს, სხვადასხვა ტურტლელულობას. აქვე ჰქონდათ ქერი, გოდრით თივა და სხვა შატლის ნაგებობებში იგივე საამშენებლო მასალები და კონსტრუქციებია გამოყენებული, რომელიც სხვა მთიან რაიონებში. ძირითად საამშენებლო მასალას კედლისთვის ფიქალი წარმოადგენს, მაგრამ ზოგიერთ ნაგებობაში კედლები ნაწყობია ფიქალისა და ქვის შონაცვლეობით მშრლად ან ნაწილობრივ კირის ხსნარზე. შესამჩნევად გამოიჩინება ანაშენიანების მსივის განაპირა ნაგებობები, რომელნიც დასახლების შემოშსაზღვრულ ზოლს ჰქმნიან. მათი კედლები საგანგებოდ დაშუშავებული, მორჩილი ზომის ქუებითაა ნაწყო-

ბი კირის სხნარზე. ქვის წყობის შედარებით წესიერი რიგები, მთელი ფასადის სწორი ზედაპირი და მკვეთრი მოხაზულობა ხელს უწყობს ეიწრო სათიფურებში აღნიშნულ მრავალსართულიანი ნაგებობების იმ მონუმენტური, სიმაგრის შთაბეჭდილებას, რომელსაც შატილი ახდენს მნახველზე. საუკუნეების მანძილზე შატილი საიმედოდ დარაჯობდა საქართველოს ჩრდილო გადმოსასვლელებს, აღსანიშნავია, რომ თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა მას ჩვენს დროშიც არ დაუკარგავს. დიდი სამამულო ომის წლებში აქ იდგა საბჭოთა ჯარის გარნიზონი, რომელიც მზად იყო ჩაეხშო ფაშისტ დამპყრობთა შესაძლო შეღწევა ჩრდილოეთ კავკასიიდან. ამ ბოლო დროს მოსახლეობის სამგორში ჩამოსახლებასთან დაკავშირებით შატილი დაცარიელდა. დღეს აქ ათიოდე კომლილა თუ ცხოვრობს. უწყურადღებოდ მიტოვებული შესანიშნავი კომპლექსი, რომელიც ქართული ხალხური სამშენებლო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს, სწრაფად ზიანდება. შატილს დანგრევა ელის, თუ დროულად არ მოხერხდა მისი დაცვა.

პატრიოტიზმის აღზრდა იწყება საკუთარი სამშობლოს
ბალრამავებული შემცნობით.

მ. კალინინი

ქართული ხალხური მხატვრული ტრადიციების დაცვისათვის

დიდებულია საქართველოს მთიანეთი ბუნების მშვენიერებითა და წიაღი-სეული სიმდიდრით, მაგრამ არანაკლები სიმშვენიერისა და მიმზიდველობისაა აქ მოსახლე ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭი და ტალანტი.

საყოველთაოდაა ცნობილი ჩვენი მთის ხალხური სიტყვიერება, სადაც მხატვრულ სახეებშია ასახული ხალხის პატიოსანი შრომა და ბრძოლა ამ შრომის უფლების დასაცავად; ბრძოლა არსებობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისთავადობისათვის. საქართველოს ავტუდითობის დროს მთა და ბარი ერთად იბრძოდა მომხდური მტრის წინააღმდეგ; ერთად ინაწილებდა ჭირსა და ვარამს.... ერთად ხარობდა გამარჯვების ერთი სიხარულით.

საქართველოს მთის ხალხებმა დიდი წვლილი შეიტანეს ხალხური სიტყვიერების საგანძურში, ასევე დიდი მათი ღვაწლი გამოყენებით ხალხურ ხელოვნებაში.

არ არის დარჩენილი არც ერთი მხარე ყოფა-ცხოვრებისა, რომ ის არ იყოს მხატვრული სახეებით შემკობილი და დამშვენებული. არ არის არც ერთი დარგი გამოყენებითი ხელოვნებისა, რომ იგი არ იყოს ჩაყენებული ხალხის ესთეტიკურ მოთხოვნილებათა სამსახურში.

და.... მთის ხალხის ხორცშესხნილი, ხელშესახები ხალხური ხელოვნება, საუკუნიდან საუკუნეში გამდიდრებული და დახვეწილი, მათი ყოველდღიური თანამზავარი და თანამებრძოლი იყო შრომისა და ღვინოში, ბრძოლასა და ჭირში.

ხალხის სულიერი სიმდიდრე გამოვლინდა ყველა ხელმისაწვდომ მასალაში, რომელიც კი მის გარემოს შეადგენდა, რომელიც კი მის ირგვლივ არსებობდა, იზრდებოდა ან მის მიერ იქმნებოდა.

ხალხური ოსტატობის ბრწყინვალე ნიმუშებია შექმნილი ქვასა და ხეში, ძვალსა და რქაში, რკინასა და ვერცხლში, დაბოლოს, განსაკუთრებით, ალსანიშნავია შალის ქსოვილის მრავალნაირობა, როგორც დანიშნულებით, ისე შესაფერი მხატვრული შემკულობით.

რა თქმა უნდა, ყველაფერი, რაც კი ხალხის ხელით იქმნებოდა.... იკრებოდა თუ იკვებებოდა, თავდაპირველ გამოყენებით დანიშნულებასთან ერთად იყო მატარებელი პირველყოფილი მაგიური წარმოდგენებისა, პირველყოფილი იდეებისა....

რა სწამდა მას და რას უგალობდა იგი; რა აშინებდა და ვისი გულის მოგებას ცდილობდა... ცრურწმენა იყო აქ მოცემული, თუ რეალობით ნაკარნახევი ხალხის ფქვრი, ჯავრი და სიხარული... არ შეგვხვებით მას, რადგან იგი ჩვენ ძირითად ამოცანას დაგვაშორებს... ჩვენ გვინდა მოკლედ გაგაცნოთ ის ხალხური საგანძური, რომელშიც ძველის კვალი შიგადაშიგ დღესაც კი იჩენს ხოლმე

... უფრო ხშირად... ტრადიცია და არა გააზრებული რწმენა რაიმე...
და... რომელიც დღესაც არსებობს და დაცვას მოითხოვს.

მეცხვარეობით დასაქმებულ ქართველ ხალხს, კახელებს, თუშეთელებს, მთიულეებსა და სხვთ, ფართოდა აქვთ განვითარებული შინაური წარმოება საფენებისა... რომელიც არ უნდა ავიღოთ ჩვენ. იქნება ეს თუშური მომხიბლავი ფლასები და სახიანი ქჩის საფენები, ან კახური, ფშავეური თუ გუდამაყური ხალიჩები, ნათლად გვისურათებენ არამარტო ქსოვის მაღალ ტექნიკურ კულტურას, არამედ თვალწინ გვიშლიან მათ მხატვრულ წარმოდგენებს, მათ ფიქრსა და ოცნებას. და... ბევრ დაუვიწყარ, ხალხურ თქმულებებს, შეიძლება მარტივ-პრიმიტიულ ხერხებით, მაგრამ ზედმიწევნით კონკრეტულად და დიდი გულწრფელობით ამტკველებენ ხალიჩებისა და ფლასების ზედაპირზე...

განა მოხიბლავი და დამაფიქრებელი არ არის, როდესაც ფშაველი ქალი ბაბაღე მათეს ასული წოწყოლაური, სოფელ მადაროს კარის მცხოვრები, 1946 წელს ქსოვს საფენს „ეთერისა და გოდერძის“ (აბესალომი და ეთერის ფშავეური ვერსია) უკვდავ სიყვარულზე... ფშაველ ქალს გოდერძი თანამედროვე წითელ-ტანსაცმელს მყავს წარმოდგენილი და განოსახული. ასევე ეთერი თანამედროვე ტანსაცმელში გამოწყობილი ქალია. რა თქმა უნდა, მქსოველი თანამედროვეობაში განხორციელებულს ხედავდა გოდერძისა და ეთერის სიყვარულს... იქნებ ეს წითელარმიელი მისი „გოდერძა“ იყო შინა გამარჯვებით დაზრუნებული... როგორც ვხედავთ, მას სხვანაირად არც შეეძლო, მისთვის ხალხური ძველი თქმულება ახლებურად ქვდებოდა და თანამედროვეობით იყო ხორცშესხმული და ამით უკვდავი...

ასევე თანამედროვე მტიკინეულ საკითხს, საყვედლოთ მშვიდობის დაცვას ეძღვნება მის ზიერვე მოქსოვილი ხალიჩა, რომლის ორნამენტულ ამოთხა ჩაქსოვილი მოწოდება „მშვიდობა მსოფლიოსის“, ხოლო შუა გული ვარდებითაა მოფენილი. ხალიჩის მთელი ფერადოვანი გამა მეტად ქვდებოდა და საზეიმოა...

სანათა პავლეს ასული ღრუბელაშვილი კი (დაბ. 1945), სოფ. გომეწარის მცხოვრები, ქსოვს ფარდას „ვარდ-ბულბულიანის“ თემაზე... ეს უჭკნობი სიუჟეტი მუდმივი თანამგზავრი იყო და არის ახალგაზრდობისა, ახლად ფეხადგმული სიყვარულისა...

XIX საუკუნის მეორე ნახევრის თუშური ფლასები გატყვევებენ ორნამენტულ-დეკორატიული შემკულობით. მაღალი ტექნიკური კულტურითა და მხატვრული ღირსებით, გემოვნების განსაკუთრებული ზომიერებით, რაც სხვაგან თითქმის არა გვხვდება. სამწუხაროდა, ასევე არ ითქმის თანამედროვე თუშურ ფლასებზე. ბევრი მათგანი მომხიბლავია, მაგრამ უნეტესობას ატყვია ზოგიერთი უგემურად შესრულებული ქალაქური-ნაწარმის დაღი. ამით გვერდით კი, თუშური ქჩის საფენები მარტივი ხალხური ენით, სახეების პრიმიტიული უპრალოებით, ზოგჯერ უფრო მეტს გვამცნობენ ავტორების გემოვნებაზე, მათი ბუნებისა და ხასიათის გულწრფელობაზე. ვიდრე, ასეთივე თანამედროვე საქარხნო ნაწარმი.


ქართული ხალხური მებალიჩეობის საუკეთესო ტრადიციები უშრეტო წყაროა თანამედროვე საფენების ქარხნული წარმოებისათვის და მათ სათანადო ადგილიც უნდა დაიკაონ.

მებალიჩეობის გვერდით, განსაკუთრებით მთაში მაღალ დონეზეა აყვანილი





ქართული
ენების
სამეცნიერო
ცენტრი



ბევსურული კოსტუმი.

ფერადი ფოტო თ. ფურცხვანიძისა



წინდებისა თუ ხელთათმანების. „თათებისა“ თუ „ჩითების“ მხატვრული ქსოვი-
ტექნიკა.

ზედმეტი არ მომივა თუ ვიტყვი, რომ ასეთი წინდებისა, „ჩითებისა“ და „თათების“ პატრონი მუდამაქვას აყუაებულ, თვალწარმტაც ბუნების ხალი-
ჩაზე მოსიარულესა ჰგავს... თითქმის მუდამაქვას თავისი ქვეყნის მიწის ძალასა
გრძნობს და ივსება იმით.

ოდითგანვე ჩვენი მთა და ბარის მცხოვრებნი მუდამ ფართოდ იყენებდნენ
შალის, ბამბის და აბრეშუმის შინ ნაქსოვ წინდებს.

ბარი, შეიძლება ითქვას, მთლიანად გადავიდა ქალაქის საქარხნო პრო-
დუქციის გამოყენებაზე... ასე არ ითქმის მთიანეთზე მთა ჯერ კიდევ ინახავს
მხატვრულ-სახიანი ქსოვისა და ფერადოვნების მქონე წინდების შინაური წარ-
მოების ტრადიციებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფშავური, ხევსურული, მთიულური წინდები,
რომლებიც ატყევენ თვალს მხატვრულ-ორნამენტული შემკულობითა და
კოლორიტულობით. აუწერელია სახეთა სხვადასხვაობა, მაგრამ ერთია ენა და
სტილი... იგი ქართულია...

თუშური „ჩითები“ – მატყლის ძაფიდან მოქსოვილი რბილი ფეხსაცმელია.
ამ ფეხსაცმელს, რომლის ტრადიცია თუშებმა დღემდე შემოინახეს, წარმატებით
ხმარობენ ადგილობრივ და დიდ მოწონებაშია ქალაქადაც, საჭიროა ამ ტრადი-
ციის დაცვა და ფართო გამოყენება.

დღევანდელი ხევსურული ქარგვა-კერვა ძველი ტრადიციების უკანასკნელი
გამოქაზილია... თუ ძველად ხევსური ქალი მხოლოდ შალის და ისიც შინ
მოქსოვილი ქსოვილი ტანსაცმელს ამკობდა, დღეს ბამბის ქსოვილებსაც იყე-
ნებს და წარმატებით ხატავს და ქარგავს მათ.

ხევსურის ბუნებაში მძლედაა განჯდარი ძველ ტრადიციათა ერთგულება,
მაგრამ ახალი, თანამედროვე ყოფა შეუდრეკლად მიიწევს წინ და არღვევს
ჩვენი მთიანეთის, კერძოდ, „აულეზელი“ ხევსურეთის კარჩაკეტილობას... უგზო-
ობას გზა ჰკაფავს. თანამედროვე მძლავრი საგზაო ტექნიკა მთის უღელტეხილე-
ბით პირიქითა ხევსურეთში გადადის და მალე ძველი საქართველოს ჩრდილოეთის
ფორპოსტი, მიუვალი შატილი დიდ შარაგზაზე მოექცევა... თანამედროვე
მალაი საყოფაცხოვრებო კულტურა ახალ ამოცანებთან ერთად, ახალ ქალაქურ
პროდუქციასაც აწვდის მათ... რა თქმა უნდა, იყულება ხევსურთა ყოფა. ძველ
ყოფას ძველი ადათ-ჩვეულებანი და ვიწრო-ადგილობრივი ტრადიციები მიჰყვება
თან. აქედან უნდა გადავარჩინოთ ყველა ის, რაც შეიძლება ჩავაყენოთ საბჭოთა
ხაზის, კერძოდ ჩვენი ხალხის სულიერ მოთხოვნილებათა სამსახურში.

ხევსურეთში ჯერ კიდევ ბევრია ხეზე კვეთილობის ნიმუშები. ხევსურული
ტაგრუცები, მერხები, კიდობნები, კარადები და სხვა, ატარებენ აუცილებელ
მხატვრულ შემკულობებს, რომლებიც უშუალოდ ესიტყვებიან-ერწყმიან არამარ-
ტო ხევსურულ ხალხურ არტიტექტურულ ნაგებობათა ინტერიერს, არამედ იმ
მხატვრულ წარმოდგენებს, რომლებსაც ჩვენ ქსოვილებსა და ნაქარგობებში
ვხვდებით.

რა თქმა უნდა, ხევსურ ოსტატებს ესმით მასალის ენის თავისებურებანი.
ერთი და იგივე ორნამენტულ სახეობას მასალის თავისებურებათა შესაფერისად
ქარგავს ან კრავს, კვეთავს ან ჭრის.


ხეზე კვეთილობის ხალხური ტრადიცია საყოველთაოა საქართველოში. არ არის კუთხე მთასა და ბარში, რომ ხეზე კვეთილობის საუკეთესო ნიმუშებს შექმნიდნენ. ხეზე კვეთილობის ოსტატობა არქიტექტურულ ნაგებობებშიც გამოიხატება. რიერსა თუ ინტერიერში თანაბრად იჩენს თავს და სათანადო ადგილი საყოფაცხოვრებო, სახმარ ინვენტარშიაც აქვს მოპოვებული. ბევრი ამათვანი მუზეუმებშია... უფრო ბევრი კი ადგილებზე...

ხეჭურეთსა თუ სვანეთში, ფშავსა თუ კახეთში, ქართლსა თუ მესხეთ ჯავახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში და სხვაგან, ყველგან, ხეზე კვეთილობის ყველა იმ ხალხური ნიმუშების ფართოდ შესწავლა. ისევე როგორც ფოთალური ხანის ქართული ხის ჩუქურთმის შესწავლილი, ხალხური შემოქმედების ამ დარგს, არამარტო ღირსეულ საზღაურს მიუზღავს, არამედ ჩააყენებს მათ მსუბუქი ფორმების ქართული არქიტექტურის განვითარებისა და საოჯახო ინვენტარის შექმნის სამსახურში.

შავი თუ ფერადი და ძვირფასი ლითონების ქედვა ქართველ ხელოსანთა ერთი უძველესი საქმიანობაა, რომელსაც დღესაც ვხვდებით საქართველოს მთასა თუ ბარის მოსახლეობაში.

ჩვენ ყურადღებას ვაჩვენებთ ფშავ-ხევსურეთის ქედურობაზე, სადაც განსაკუთრებული მიზიდველობითა და უბრალოებითაა შესრულებული ხმალი-ხანჯლისა თუ ქალ-ვაკის სახმარი სამკაულები. ასეთებია ვერცხლის სევადიანი.

ლილები, ბეჭდები, სხვადასხვა მოყვანილობის ყელსაბამები-შიბები, საყურეები და სხვა. ვერცხლის ხალხური მომსევადებლები და მჭედლები გვხვდებიან მდაროსკარში ბარისახოში, ჭიეში, ლიქოკს, უკანხადეში და სხვა. სამწუხაროდ, ხევსურეთის გზებზე მოსიარულე, ხალხური ხელოვნების მოყვარულ ხარბი ტურისტების მიერ თითქმის მთლიანად იძარცვება მოსახლეობა წვრილი სამკაულებიდან, ხოლო დაშნასა და ხანჯალს ხევსური ჯერ კიდევ ვერ ელევა და ასეთები შეიძლება საკმაოდ იქნას მოპოვებული მათი მხატვრულ-ტექნიკური ტრადიციების მეცნიერული შესწავლისათვის. რაღა ვთქვამთ სვანურ ვერცხლის ჩაფრასტებზე (ყელსაბამები).



ბუზური ფლასი. ალვანი



კახური ვერცხლი. ალვანი

რომლებიც მუზეუმების მაგიერ ზოგიერთი თბილისელი თუ მოსკოველი ახალგაზრდა გოგონების კისრებს აშშვეენებენ.

დღენისათვის მოდის საგნადაა ქცეული ხალხური სიძველე, და განსაკუთრებით, ხალხური ვერცხლის ქედურობა. მათი განსაკუთრებული დაცვაა საჭირო... იქნებ მიზანშეწონილი იყოს სპეციალური დადგენილებაც კი, მათი მოვლა-პატრონობის შესახებ.

სახმარ კერამიკის წარმოებას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თითქმის არსად არ მისდევენ, მაგრამ ყველგან, განსაკუთრებით თუშ-ფშავ-ხევისურეთში, შეხვდებით თელავურ წითლად მოხატულ თიხის ჭურჭელს, რომელმაც ალბათ „მაწანწარაზე“ აიდგა ფეხი და შატკლამდე მიიღწია. ან რუსიპირულ ფირუზის ფერ „კალიან“, მოჭიქულ ჭურჭელს ფშავსა თუ თუშეთში—გომეწარსა თუ ომალოში ნახავთ. ხალხური კერამიკული წარმოება მეტი ყურადღების ღირსია ადგილობრივი რაიონული ხელმძღვანელებისაგან... წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხური ხელოსნობის ეს უძველესი დარგი დავიწყებას მიეცემა.

და ბოლოს, ქვის კოდვის ძველთაძველ ტრადიციასაც გვინდა შევხვით... რომ არაფერი ვთქვათ საყოველთაოდ აღიარებულ ქვის არქიტექტურის ბრწყინვალე ტრადიციებზე... მათ გვერდით, ფართო მშრომელი მასების სამსახურში საუკუნეების მანძილზე იდგა ხალხური ქვით ხურობა... ქართველი ოსტატები სამეურნეო იარაღით, როგორცაა ხელისა და წყლის წისქვილების ბორბლები, სანაყები, ზეთის სახდელეები და სხვა, ამარაგებდნენ სოფლისა თუ ქალაქის მეურნეობის აუცილებელ მოთხოვნილებებს, ადრე და შუა ფეოდალური ხანიდან მოყოლებული ვიდრე დღემდე. ქალაქისა თუ სოფლის ქვის ოსტატები ემსახურებოდნენ სასაფლაო მეურნეობას, ამზადებდნენ სხვადასხვა ქვის ლოდებისაგან საფლავის ქვებს, რომლებიც ასეთი დიდი ოდენობითაა და მრავალსახეობით გვხვდება საქართველოს ყველა კუთხეში.

ამ საქმეში, როგორც ჩანს უპირატესობა ალკეთის ქვას-ბაზალტს მოუპოვებია. თბილისისა და მის მომდგომ სოფლებში ძირითადად ბაზალტისაგან გათლილი საფლავის ქვები იყო და ნაწილობრივ არის კიდევ. ალკეთის ხეობა ხომ სავსეა ბაზალტისაგან გათლილი საფლავის ქვებით. ტრადიციად ქცეული ეს ხელობა საუკუნიდან საუკუნეში ვრცელდებოდა და დღესაც ხმარებაშია.

ამ საფლავის ქვებზე, რომლების ფორმები და ზომები სხვადასხვაა, ხელოსნებმა გამოხატეს მიცვალებულთა საქმიანობა, მათი სოციალ-ეკონომიური თუ საზოგადოებრივი მდგომარეობა.

ეს საფლავის ქვები ნათელ სურათსა ჰქმნიან იმ დროს მოსახლე საზოგადოების სხვადასხვა ფენების ურთიერთობისა და ხშირად ისტორიაში აღწინააღმდეგობა, დავიწყებული ფაქტი, ამ საფლავის ქვების ზოგჯერ ძუნწ და ზოგჯერ ვერცხლად მომთხრობ სიუჟეტური რელიეფებითა და წარწერებით ირკვევა. ამათი მეცნიერული შესწავლა ზევრ სანტერესო ფურცელს გადაშლის ქართველი ხალხის ცხოვრების ისტორიიდან.

ეს ქართული ქვის მემკვიდრეები ზოგჯერ დამტრეულნი, ზოგჯერ ღობეში ჩაყოლებულნი, ან იატაკად დაგებულნი—მნახველში გულის ტკივილსა და წყრომას იწვევს იმათ მიმართ, ვინც მოწოდებულნი არიან დაიცვან ყველა სახის მასალისა და დანიშნულების მქონე ქართული ხალხური კულტურული მემკვიდრეობა.

ფ მ ი ნ დ ა ს ა უ ნ ჯ ე

დედა-ენა ყველაზე უდიდესი და ყველაზე უძვირფასესი საუნჯეა ერისა, ეს საღარო ისეთი მარგალიტითა და ლალითაა სავსე, რომლის ზადალი ცხრათვალა მზის ქვეშ არც არსებობს. ენა ერის დიდება და დროშაა უკვდავების. ენა აძლევდა ძალას ერს გადაეტანა ეამთა სიავე, დედა-ენამ შემოუნახა მას ერის ნააზრევი. გონებაშიმხილს მშობლიური ენა შემოაზრუნებდა ამ ქვეყნისაკენ.

...რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს*... რაღაა ის ხალხი, რომელსაც მშობლიური ენა დაუკარგავს და აღარა აქვს.

დედა-ენა ადამიანისათვის უდიდესი სიხარულია, ენა აძლევს საშუალებას გამოთქვას ფიქრი და ნააზრევი. რა იქნებოდა ადამიანი, ეს საშუალება რომ ჰქონდეს დაკარგული. რადენადაც ლამაზია, მოქნილი ბუნებრივი სიტყვა, იმდენად ნააზრევის გადმოცემაც მკაფიო და სახალისოა.

ჩვენმა ხალხმა თავის სიცოცხლის მანძილზე შესანიშნავი ლამაზადმეტყველი, მდიდარი ენა შექმნა. განუწყვეტლივ ამდიდრებდა და ამჟამადაც ამდიდრებს მას ახალი ნაყოფის შესაფერისი სიტყვებით. ყოველ მათგანს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ. თუ მოხდა ისე, რომ ძველმა სიტყვამ ახალი ყოფის გამო თავისი ფუნქცია დაკარგა, მას ახალი მნიშვნელობა უნდა აეუჩინოთ. (არნადი—ბზისა და მიწის შესახებტია. დღეს ყანა ბზით აღარ ილუწება. მიწის შესახებტადაც ბულდოზერი იხმარება, მისი წინა ნაწილი სწორედ არნადია. ძველად ბანი მიწით იხურებოდა, სატკეპნელათი იტკეპნებოდა—დღეს ეს პროცესი მექანიზირებულია—იგიც სატკეპნელაა).

ქართველი კაცის გული კარგი სიტყვის დაუშრეტელი წყაროა, სახადოა, რომელიც მარადეამს მდიდრდება. ერთი სიტყვა მეორეს ჰბადებს, იღებ ამ ძვირფას მადანს და არ იღვეა იგი, ნატერისთვლივით მისი ძალა კვლავ აღდგება ხოლმე. მემადნის წერაქვი ყოველთვის უნდა მუშაობდეს იმ მადნის გამოსამშეურებლად, რომელსაც ხალხის ლექსიკა ეწოდება.

ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით, იგი ხალხის გულშია დაბუდეებული, შენახული; საჭიროა მისი ამოკრეფა, საყოველთაოდ გახდომა.

ამ რამოდენიმე წლის წინათ სოფლის შარაზე ბალღები მორბოდნენ ყივილხივილით. გამებარდა მათი დანახვა, ჩემი თავი მომავანდა, ერთი შეგაჩერე: „საით მიჰქრით, ბიჭებო?“ „სოფლის ბოლოზე ბელტიყლაპიას დაუწყვია მუშაობა და იქ მივიდვიართო“ ნომახალა და მოკურცხლა.

ბელტიყლაპია—ექსკავატორი აღმოჩნდა. ძველი ზღაპრისგმირმა ამჟამად თავის სურნელება დაკარგა, მისი სახელი ხალხმა ისეთ ობიექტს მიაკუთვნა, რომელიც უფრო გამართლებულია.

ხშირად არის, რომ ამა თუ იმ პუნქტს უცხო სახელწოდებას მიაკუთვნებენ, მაგრამ ხალხი მას თავისებურად აკეთებს (მაგალითად, დასახლება—ანდე-



ზიტი ყაზბეგის რაიონში, გუდამაყრელები მას „ანდაზეთს“ უწოდებენ ისე, როგორც მათ ესმით, ანდაზიდან და სხვა).

ჩვენმა განმარტებითმა ლექსიკონმა „თავი მოუყარა ყველა იმ სიტყვას, რომელიც „წერაქვის“ წვერს დღემდე ამოჰყვა. ფურცლაც ამ უხარმაზარ შრომის შედეგს და სიამაყით ივსები: რა მდიდრები ვყოფილვართ, რამდენი სიტყვა შემოგვიწინაბავს. ეს სიმდიდრე განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა მაშინ, როდესაც ერთად შეიკრიბა. რა დიდი შრომა გაუწევიათ ჩვენს უებრო მკვლევართ, დაუღალავ მეცნიერთ. ასე იცის ხალხის სიყვარულმა. მაგრამ ესა სალაპარაკო ენის სიტყვები, ეს ერთი შესაშვადიც არ არის იმისა, რაც საქართველოში ქართული სიტყვა არსებობს. ესენია გეოგრაფიული სახელწოდებანი, რომელნიც ქართულ განმარტებით ლექსიკონში არ შევიდა. საქართველოში ოთხი ათასზე მეტი დასახლებული პუნქტია (ქალაქი, დაბა, სოფელი). ამაზე მეტი ძირითადი ხეობა, ხევი, მთა. ყოველი დიდი, ძირითადი პუნქტის ირგვლივ აუარებელი მცირე კუთხეა, თავისებური ადგილი, რომელთაც თავისი საკუთარი სახელი აქვს. ამას წინადად რამოდენიმე მინდვრის, სარწყავი არხის, ხევის, წყაროს, რიყის და სხვათა სახელწოდებანი ჩავიწერე და თვითოეული მათგანის ირგვლივ 30—40 სახელწოდებანი მაინც იყო. მაშასადამე, 250.000 სახელწოდებაზე მეტი გვაქვს, ყველა მათგანი ხომ ქართული სიტყვაა. მერე რა სიტყვებია, რომ იტყვიან ყოველი მათგანი მთით ბედაურად ღირს: „დუბიანო“, „ლიახვი“, „ლეჭყოპი“ და მრავალი სხვა.

ენათმეცნიერი არა ვარ, მაგრამ ბევრი ასეთი სიტყვა მაფიქრებს: საიდან, როგორ? აი კითხვები, რომელნიც ჩემს წინ ამართებიან ხოლმე.

რა უნდა შუა ქართლში ისეთ სახელწოდებას, როგორიც არის „ტირიფონა“ იგი ხომ ზანური წარმოშობისაა და ნიშნავს ტირიფიანს, სოხუმის მახლობლად „ლეჭყოპს“ (ებლა ლეჩკოპას წერენ!) რომელიც სვანურ წარმოშობისაა და ნიშნავს სველ, ქუაპიან ადგილს. „კა“ ერთ-ერთ სვანურ დიალექტზე ქვას, ფიქალს ნიშნავს. კავთისხევის გვერდით არის „ქვათა ხევიც“. „ლიახვი“, „ლია“ ქვემო იმერეთში სველი ადგილია, რომელზედაც წყალი დგება, „ლიც“ სვანურად წყალია. ქვემო სვანეთში წყალდიდობის შესატყვისად იტყვიან „ლიახვი“ მოვარდაო. გურიაში მცენარე ძეძვი არ არის, მაგრამ ბოსტნის ეკლით დაფარვას „მოძეძვა“ ეწოდება. ვანის რაიონში, თუ მაიაკოვსკის საზღვარზე არის ადგილი „დიხაშბო“ და სხვა მრავალი. ყოველი ასეთი სახელწოდება ისეთი აგურია ჩვენი ისტორიკოსებისათვის, რომლის შეკრებით შესანიშნავი სასახლე აიგება. აი ამ მხრივ, ასეთი სიტყვები თავის მნიშვნელობით მატერიალურ ძეგლის გვერდით სრულუფლებიანად გამოიყურება, იგიც დიდი ძეგლია.

„ძეძენა“ ადგილია ქართლში. პირველად რომელიც ძეძვის და ნარის გავრცელების ადგილად უნდა ყოფილიყო ცნობილი, დღეს იქ არც ნარია, არც ძეძვი (ეს სახელი ამ მხრივ ეხმარება გეობოტანიკოსს და ფოტოგეოგრაფს) ძეძვის—ვი“ გადაკეთდა „უნა“—დ“ და დღესაც ისმის (მასალა ენათმეცნიერთათვის). ასეთი სახელწოდება კი პირველ რიგში მაინტერესებს გეობოტანიკური ტერმინოლოგიის თვალსაზრისით. ბევრმა გეოგრაფიულმა სახელწოდებამ მოგვცა ურყევი მასალა გეობოტანიკური ტერმინების დასადგენად; ასეთებია: თელნიანი, მუხიანი, შქერიანი, დეკიანი, ძეძვიანი, ნარიანი, ნარო-



ვანი და სხვა მრავალი, ბევრი მათგანი გამოყენებულ იქმნა გეობოტანიკურ ტერიმინად და საერთაშორისო მნიშვნელობასაც პოულობს. (დაკავშირებულია და სხვა).

ახალი ყოფის გამო ბევრი სახელწოდება იკარგება. კოლმეურნობას, საბჭოთა მეურნეობას მინდვრები დაყოფილი აქვს მასივებად, ბრიგადებისათვის მიჩნეული. მაგალითად: დაახლოებით 200—300 ჰექტარიანი ნაკვეთი პირველ-მასივად არის ცნობილი და ის სახელები, რომელიც ამ მასივების ცალკეულ მინდვრებს ეკავათ, იკარგება. (გარდიგარდმო, გრძელა, თავგანიერი, კუბანაური, თელისმიწა, წყაროს თავი, ხევმშრალა და სხვა).

აი, ამიტომაც დაგვიანება არ შეიძლება.

ჩვენი ამოცანაა რაც შეიძლება მალე შევაგროვოთ ეს დიდი და ერის წმინდა საუნჯე, ამ საქმეში უნდა ჩაებას მთელი საზოგადოებრიობა, მართო ერთი ინსტიტუტი ამას ვერ გააკეთებს, ერთმა ან ორმა ინსტიტუტმა, რომ იმუშაოს ამ საკითხებზე, 30—40 წელი მაინც უნდა. ამიტომ საწყისი მასალის შესაკრებად შეიძლება შემდეგი გავაკეთოთ:

ყოველ სოფელში უნდა დააარსდეს მუშა კომისია სოფლის განათლებული ამხანაგების მონაწილეობით: სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, სკოლის ენის, ახალი ლიტერატურის, ისტორიის მასწავლებელი და სხვანი, კომისიას კი წინასწარ უნდა მივაწოდოთ მუშაობის წესები. რაიონის მაშტაბით ამას უნდა უხელმძღვანელოს რაიადმასკომმა, განათლების განყოფილების მეშვეობით.



დავიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულით და ხორციით მოშლისა, დარღვევისა და წარწყმედისაც. წარსულია, მკვიდრი სამიერაველია აწმშოსი. როგორც აწმშო—მომამალინა.

ილია ჰავთავაძე



ლმვაჲს ხიმშიაშვილი
სპეც. სამეცნიერო-სარესტავრაციო
სახელისნოს დირექტორი

საინჟინრო საქმე და არქიტექტურის ქველთა გეგმარება
(წირქოლის ტაძარი)

წირქოლის ტაძარი, ქართული კულტურის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაი ქვე-
ლი, აგებულია VIII ს. ნატურულ-ისტორიული მნიშვნელობით მას ქართული
ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია.
ხუროთმოძღვარმა ნაკებობაში შექმნა მეტად თავისებური შიდა სივრცე, როგორც
არ გვხვდება არც მანამდე და, არც მის შემდეგ აგებულ ტაძრებში.

ქველი მდებარეობს ისტორიულ შიდა ქართლში მდ. ქსნის ხეობის შუა
წელში, რაიონულ ცენტრ ლენინგორიდან 6 კმ მოცილებით, სოფ. წირქოლის
ჩრდილოეთით შემადგენელი მთის თხემზე. ადგილმდებარეობის წყალობით ქვე-
ლი მხატვრული ყურადღებას შორი მანძილიდანვე იპყრობს.

თავისი მალალი ნატურული და ისტორიული მნიშვნელობით წირქოლის
ქველს უდაოდ განსაკუთრებული ადგილი უკავია და სამართლიანად იმსახურებს
სახოგადობის ყურადღებას. საუკუნეების მანძილზე ქველია განიცადა ნგრე-
ვითი დეფორმაციები. მიწისძვრის შედეგად მოწყვეტილი იყო სამხრეთ-აღმოს-
ავლეთის კუთხე, ჩამოინგრა საკურთხეველის კონქის დიდი ნაწილი, გუმბა-
თის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნეოთხედი, გადახურვები და კედლების შესატყვი-
სი ზედა ნაწილები, ტაძრის დასავლეთ ნაწილში კი, გაჩენილი ზხარების გარდა,
საუკუნეთა მანძილზე მოხდა უმნიშვნელო ცვლილებები. ამის შემდეგ ქარის,
წვიმების და შემთხვევითი მიწსვლელის დახმარებით ქველის კედლების დაშლა-
დაზარების სიღრმე თანდათან მატულობდა, ასე, რომ ნაკებობა ჩვენამდე მე-
ტად მძიმე მდგომარეობაში მოაღწია. ამის გამო ქველის აღდგენა-გამაგრება გა-
დაუდებელ საკითხად წამოიჭრა.

ეს რთული ამოცანა, როგორც დაუინახავთ, წარმატებით იქნა გადაწყვე-
ტილი.

1955 წლიდან ქველის ცხოვრებაში ახალი საფეხური იწყება. ამ დროს
საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის კომიტეტის და-
ვალებით სპეც. სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნო შეუდგა ქველის შეს-
წავლას, მეცნიერული დაცვითი ღონისძიებების ჩატარების მიზნით. ადგილზე მიე-
ღინებულ იქნა სპეციალისტთა ჯგუფი, რომელმაც ჩაატარა ქველის არქეოლო-
გიური აზომვა, შეისწავლა ქველის ფიზიკური მდგომარეობა და შეადგინა რეს-
ტავრაციის პროექტი.


ქველის რესტავრაციის პროექტის ერთ-ერთ საპასუხისმგებლო ნაწილი იყო
ძლიერ დეფორმირებული სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხის გამაგრება. წარმოდ-
გენილი პროექტითა და კონსტრუქტორების დასკვნებით გათვალისწინებული იყო
ამ კუთხის დაშლა და ხელმოკრედ აღდგენა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა

აკადემიის სამეცნიერო-მეთოდური საბჭომ განიხილა ეს პროექტი, კატეგორიულად უარყო დაშლა-აღდგენის მეთოდი და საჭიროდ სცნო დეფორმირებული კედელი დაუშლელად გასწორებულყო. სპეციალისტებს დაევალათ რეკონსტრუირებული მეთოდით ძეგლის გამაგრება-კონსერვაციის და შესაფერისი პროექტის შედგენა. ჩატარებულ იქნა დამატებითი კვლევა, რის საფუძველზე შემუშავდა ძლიერ დეფორმირებული სამხრეთ აღმოსავლეთის კუთხის გასწორების პროექტი. ეს პროექტი აღნიშნულ სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მიერ მოწონებული იქნა განსახორციელებლად. დავიწყეთ პრაქტიკული შემდეგი სამუშაოები:



წირქოლი აღდგენამდე

მუშაობა. პირველ რიგში ჩატარებული იქნა



წირქოლი. აღდგენა-გამაგრების პროექტი

ამის შემდეგ შევედქით კუთხის გასწორებას. კუთხის აწვეცსათვის საჭირო იყო გადმოხრილი კედლებისათვის მოგვეცილებინა დაშლილი


1. დეფორმირებულ სამხრეთის და აღმოსავლეთის კედლებზე მოეწყო დროებითი განმჯენები.

2. მოეწყო ლითონის შემკრავები, რათა დეფორმირებული კუთხე დაკავშირებული ყოფილიყო დროებით ძეგლის ძირითად მასივთან.

3. დეფორმირებულ კუთხეს გაჩენილი ჰქონდა მრავალი ბზარი. ამისათვის აწვეცის დროს მოსალოდნელი იყო ნგრევა. ეს რომ ასე არ მომხდარიყო, ბზარები დაქირხნით შევავსეთ რთული ხსნარით.

საძირკველები და ეს კედლები მოგვეთავსებინა რკინა-ბეტონის კოჭებზე. სამუშაოს განხორციელება მოითხოვდა დიდ ყურადღებას და სიფრთხილეს.

აღმოსავლეთის კედლის ქვეშ რკინა-ბეტონის კოჭის მოწყობისათვის კედლის ნახევარ სისქეში გამოღებული იქნა დეფორმირებული საძირკველი. ეს სამუშაოები ტარდებოდა უზნებოდ და დიდი სიფრთხილით. კოჭისათვის ქარგილების მოწყობამდის გაკეთებული იქნა კოჭის საყრდენები. ერთი საყრდენი მოთავსებული იქნა აღმოსავლეთის ფასადის ცენტრში, მეორე კი—კოჭის თითქმის შუა ნაწილში. ეს ორივე საყრდენი ისე იყო გაკეთებული, რომ მათზე მოთავსებული რკ. ბეტონის კოჭი კედლის წყობის თარაზული ნაკერების პარალელურად ყოფილიყო.



წირქოლი აღდგენა-გამაგრების შემდეგ

აწევით (სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხიდან) მდებარეობისათვის, საჭირო იყო პირველი საყრდენი ადგილის სწორად შერჩევა. ნახაზზე მოცემულია კედლის ანაზომი გასწორებამდის. ფასადის პირვანდელი მდგომარეობით A-E ხაზი იყო ერთსწორივი. E და C წერტილები წარმოადგენდნენ ერთ წერტილს. ნგრევის შემდეგ C წერტილი მოცილდა E წერტილს და აგრეთვე დაიწია B სმ ხოლო D წერტილმა განიცადა გადახრა და ამავე დროს დაიწია 32 სმ-ით.

იმისათვის, რომ დეფორმირებული კედელი მოგვეთავსებინა თავის ადგილზე, საჭირო გახდა D და C წერტილები აწეულიყო ისე, რომ მიეღოთ CD მდგომარეობა ე. ი. CD ხაზი დამთხვეოდა AB ხაზს. ამ სამუშაოს ჩატარებისათვის უდაო ხდებოდა, რომ კედლის აწევა უნდა განხორციელებულიყო ორი აშწით. სამუშაოთა გადაადგილების მიზნით, აწევა რომ ერთი აშწის საშუალებით განხორციელებულიყო, საჭირო გახდა პირველი საყრდენისათვის ადგილის შერჩევა. რაც გრაფიკული გამოანგარიშებით იქნა მიღწეული. ნახაზებზე DC ხაზი გაგრძელებული იქნა AB ხაზის გადაკვეთამდე და მივიღეთ K. თუ K წერტილის ირგვლივ ვამოძრავებთ KD ხაზს, უფრო სწორად რომ ეთქვას, თუ D წერტილში ვამოძრავებთ აშწეს და 32 სმ. აწევით, DC ხაზი დაემთხვევა AB ხაზს.



მაგრამ ვინაიდან DK ხაზზე მდებარეობს DC ხაზი, ამიტომ ისტრუქციის
 AB ხაზის სწორივი, ამრიგად ერთი D წერტილის აწევით შესაძლებელია კედლის
 კედლის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა. გამომდინარე აღნიშნულიდან,
 K წერტილი ნიღბული იქნა საყრდენად.

ანალოგიურად იქნა შერჩეული საყრდენი სამხრეთის კედლის ქვეშ.

კედლების ქვეშ რკინა-ბეტონის კოჭების მოწყობა მიმდინარეობდა ცალკე-
 ულ უბნებად, კედლის ნახევარ სისქეში. გარედან რკინა-ბეტონის კოჭების მოწყობის
 შემდეგ ანალოგიურად ჩაბარდა სამუშაოები შიგნიდან. რკ. ბეტონის
 კოჭების სრული დაბეტონებიდან ერთი თვის შემდეგ, ძეგლის სამხრეთ-აღმოსავლეთის
 კუთხეში საგანგებოდ მოწყობილ ბალიშებზე მოთავსებული იქნა
 30 ტ. სიმძლავრის აწვი.

დაიწყო კედლების აწევა. აწევა დიდი სიფრთხილით მიმდინარეობდა.
 სპეციალურად მოწყობილი მიმართველები გვაცნობებდა დადებითი შედეგების
 შესახებ. ძეგლის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე მძიმედ, ნელნელა, იღებდა
 შვეულ მდგომარეობას და უბრუნდებოდა თავის პირვანდელ ადგილს.

ამგვარად, სამხრეთ-აღმოსავლეთის გადმოწეული კუთხე დაუშლელად
 იქნა მიდგმული თავის პირვანდელ ადგილზე. ან კი თავის მხრივ, საშუალება
 მოგვცა, ძეგლის გამაგრება-კონსერვაცია ჩაგვეტარებინა დაკარგული ნაწილების
 აღდგენის საშუალებით, რომლის დროსაც არ მოხდებოდა ამ ნაწილების — ფსი-
 დის, კონქის, გუმბათის სფეროს, სამხრეთის კედლის თალები, აღმოსავლეთისა
 და სამხრეთის ფასადებისა და სხვათა — დეფორმირება.

აღდგენილ იქნა გადახურვა და მოწყობილია კრამიტის სახურავი. ქართულ
 კულტურას დაუბრუნდა არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლი, გამაგრებული და
 აღდგენილი თავისი პირვანდელი სახით.

თუ საფუძველი კარგია ძველი,
 უფსნ როგორ დასდებს ხსროთმოცდაპარი?
 ეცდება კიდევ, რომ ზედ ააგოს
 საზვილიზვილოდ წმინდა ტაძარი!

ა. წარეთელი

მიწისძვრით დაზიანებული გუმბათის გამაგრება (მარტვილის ტაძარი)

მაგალითი, რომლის შესახებაც ჩვენ გვინდა ვისაუბროთ, არ ვფიქრობთ წარმოვადგინოთ, როგორც ზოგადი, პირიქით. ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია ერთ ძეგლზე ჩატარებული მეთოდების მეორე ძეგლზე ბრმად გადატანა, როგორც ამას ადგილი აქვს ზოგ შემთხვევაში. ასევე დაუშვებელი და ხშირად საშუალოდ შემფერხებელიცაა, თუ გულდასმით არ არის შესწავლილი, როგორც დაზიანებათა გამოწვევი მიზეზები, ისევე ძეგლის დაცვისათვის ჩამოყალიბებული მეთოდები. ისინი უკანასკნელ პროექტში ასახული უნდა იყოს გარკვევით; მხოლოდ ასეთი სახელმძღვანელოთი აღჭურვილს, ძეგლის ცხოვრებაში ჩარევა გამართლებულად და საპატიო ნდობად მიგვაჩნია.


ჩვენი სახელმძღვანელო მარტვილის ტაძრის გუმბათი 1959 წ. მიწისძვრისა და ძლიერი ქარების მოქმედების შედეგად კატასტროფიულ მდგომარეობაში იყო. ნგრევის მაუწყებელი ბზარები, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეს ღრმა ნაპრალები გუმბათის კარნიზამდე ჩამოდიოდა.

1959 წლის 20 აგვისტოს ძეგლი ადგილზე ინახულა კომისიამ. დაიწყო მუშაობა გამაგრების პროექტზე, რომელმაც დასრულებული სახე მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიიღო. პროექტისათვის წინშეწელოვანი ფაქტი იყო ის, რომ ძეგლის ფასადების დიდი ნაწილი XIX საუკ. დასასრულს ხელმოკრედ მოაპირკეთეს, შიგნიდან კი ძველ წყობას შეიცავდა. ეს საშუალებას იძლეოდა უმტიკინეულოდ მოგვეხსნა გუმბათის ყელის წყობის ნაწილი და გაგვემაგრებინა გუმბათის ქუსლი შიგნით მოთავსებული შემკრავით.

დაიწყო მუშაობა პირველ რიგში გუმბათის ყელის ირგვლივ ავაგეთ ხარაჩოები. მოვხსენით კარნიზის ქვევით ორი რიგი საპირის კვადრებისა. აქ ამ დონეზე პროექტით გათვალისწინებული იყო შემკრავის მოწყობა.

საპირე კვადრების მოხსნის შემდეგ გამოირკვა, რომ კედლის შიგა შვესების ხსნარი უხარისხოა, რაც ეჭვქვეშ აყენებდა შემკრავის შიგნით დასარჩენ კედლის სიმტკიცეს. ეს პროექტში რასაკვირველია არ იყო ნაგულისხმევი. ამისათვის დაისახა დამატებითი ღონისძიებები, რაც მეტად რთულ სამუშაოებს წარმოადგენდა. ეხლა საუბრო შეიქმნა მუშაობა გვეწარმოებინა ერთდროულად წყვილ მოპირდაპირე უბანზე. გახსნილი სიბრტყეების წინა პირი გულდასმით გავასუფთავეთ, გამოვრეცხეთ, ბზარებში დაგჭირხნეთ რთული ხსნარი. თვალყურს ვადევნებდით, რომ ხსნარს ტაძრის შიგნით არ გაეფონა და კედლის მხატვრობა არ დაეფარა (შიგნიდან კედლის მხატვრობის გამაგრების დროს, ბზარები საიმედოთ იქნა დახურული, ამით დაზღვეული ვცხავით გაფონვიდან). ამის შემდეგ მოვაწყვეთ ქარტილები, ფასადის სიბრტყიდან 12-15 სმ დაშორებით და

ჩავასხით 100 მარკის საშუალო პრაქტის ბეტონი. ასე მოვიქცით ყველა უბანზე დაეამთავრეთ რა გუმბათის ქუსლის შიდა ნაწილის გამაგრება, შევუდგით სარტყელისათვის არმატურის კონკრეტის კისის მოწყობას.




მარტვილი. გუმბათის ყელის გამაგრების პროცესა
ფოტო გ. ასათიანისა

რული. ამის შემდეგ აღვადგინეთ გუმბათის (არმატურა დაფარულია საპირე კვადრების დაყენების დროს ჩასხმული ხსნარით).

ამგვარად, მარტვილის ტაძრის გუმბათი გაეამაგრეთ ისე, რომ გარედან მცირეოდენი კვანია დარჩენილი. ამას ქმნის ოდნავ მოთეთრო ახალი საპირის განსხვავებული ფერი, რომელიც დროთა განმავლობაში გაქრება და განსხვავებაც შეუმჩნეველი დარჩება.

მარტვილის გუმბათის გამაგრება პირველი მიგალითი არ არის. ასევე მიწისძვრის მოქმედების შედეგად ძლიერ დაზიანებული იყო რუისის გუმბათი, რომელიც კონსტრუქტორების მოთხოვნის საწინააღმდეგოდ დაუშლელად იქნა გამაგრებული. აქ ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ავღნიშოთ ის ფაქტი, ფიტარეთის ტაძარი, ჩვენი დროის მოღვაწის საოცრად დაუმახინჯებია. გუმბათის ყელის გამაგრების მიზნით მისთვის რკინის აბჯარი ჩაუყვამს. ბრწყინვალე კეთილი ჩუქურთმით დაფარული გუმბათი, რკინის მიღებით და მოშვებული მჭიმავებით იხეხება, რკინიდან ჩამორეცხილი ჟანგი კი ტაშს და ღებავს კოლორიტით განთქმულ ძეგლს. დროა ამას ნიექტეს ყურადღება, ჩატარდეს გამაგრების საბუშაოები, რომ თავისუფლად მოიღეროს ძეგლმა გუმბათის ყელი.



ფიტარეთი. გუმბათის ყელი
ფოტო გ. ცინცაძისა

29 ივნისს რუსთაველის საბელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მესამე რესპუბლიკური ყრილობა. ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ამირანაშვილმა. ირჩვევ საჭმიან პრეზიდიუმს, სამანდატო კომისიასა და სამდივნოს. დამსწრეთა ტაშის გრიალაში ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ანგარიში გააკეთა საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტურუამ. მან წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმება ყრილობისადმი.

სარევიზიო კომისიის მუშაობის ანგარიში გააკეთა ამ კომისიის წევრმა გ. ყურაშვილმა. დელეგატებმა მოისმინეს აგრეთვე სამანდატო კომისიის თავმჯდომარის შ. პაპიძის ანგარიში.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ჯიბლაძე, მწერალ-აკადემიკოსი კ. გამსახურდია, კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების გეგეშკორის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე გ. ელიავა, კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მცხეთის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე გ. ხუტაშვილი, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი ლ. ბოლქვაძე, პოეტი-აკადემიკოსი გ. ლუონიძე, კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ბოგდანოვკის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ა. დურგარიანი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II, კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ფაჩულია, საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე კ. სოხაძე, მწერალი ლ. ვოთუა.

ყრილობას მიესალმა ლიტვის სსრ მხარეთმცოდნეობის საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. სტრაენისკასი.

მოხსენება საზოგადოების წესდების ცვლილებათა შესახებ გააკეთა საზოგადოების პრეზიდიუმის სწავლულმა მდივანმა ირ. ზაქარიაშვილმა.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მუშაობა საინგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად შეფასდა. დამტკიცდა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

თვალისჩინივით მოკვაროთ წარსულის დიდ მემკვიდრეობას

(საანგარიშო მოხსენება.* წაითხული III ყრილობაზე
საბ. პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის, აკად. ნ. კეცხოველის მიერ)

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელ-
მძღვანელობით კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, ჩვენი ცხოვრების ყველა
დარგში განსაკუთრებით გაიზარდა საზოგადოების როლი, მოსახლეობის ფართო
ფენების აქტიულობა.

სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქციები გადადის საზოგადოების განმგებლო-
ბაში, რაც მტკიცებებს მშართველობის საერთო სახალხო საქმედ გადაქცევაზე.
ამის დადასტურებაა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების
საქმიანობაც. ამ საქმიანობას დიდ ყურადღებას აქცევს მთავრობა. პარტია. ეს
რომ დიდმნიშვნელოვანი საქმიანობაა. რომელსაც უეჭველად დიდი და მაღალი
დანიშნულება აქვს, დასტურდება იმიტაც, რომ ჩვენს ყრილობას საქართველოს
კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ესწრება.

მეორე ყრილობიდან დღემდე სამი წელი გავიდა. საქართველოს კულტურის
ძეგლთა დაცვის საზოგადოების პირველად, რაიონულ, საქალაქო და საოლქო
ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნები შედარებით კარგად ჩატარდა. რაიონ-
ების კონფერენციებმა შეაჯამეს განვლილი მუშაობა და დადებით მხარეებთან
ერთად გამოვლინდა ნაკლოვანებანიც, რომელთა აღმოსაფხვრელად დასახულია
ღონისძიებანი. საანგარიშო პერიოდში საქართველოს კულტურის ძეგლთა დაც-
ვის საზოგადოების ცხოვრებაში ბევრი რამ მნიშვნელოვანი მოხდა: გაიზარდა
საზოგადოების იურიდიული პირველადი ორგანიზაციები. რამაც ხელი შეუწყო
ინდივიდუალურ წევრთა ზრდას. ახლა რესპუბლიკაში არ არის რაიონი, სადაც
საზოგადოების საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებდეს ძეგლთა
დაცვის რამოდენიმე ასეული ენთუზიასტი მაინც.

ვაფართოვდა ძეგლთა დაცვის საზოგადოების მუშაობის ხასიათიც. თუ
ადრე საზოგადოების საქმიანობა ძირითადად ორგანიზაციულ ხასიათისა იყო და
მხოლოდ ძეგლთა დაცვის და მოვლის პროპაგანდას ეწეოდა. ამჟამად საზოგად-
ოება ყოველწლიურად ჩვენი მატერიალური კულტურის ღირსშესანიშნავ ძეგ-
ლების რესტავრაციასაც ახდენს. ეწყობა სამეცნიერო ექსპედიციები, კონფე-
რენციები, ლექციები და ექსკურსიები; მზადდება და იბეჭდება ფოტო-ილუს-
ტრირებული ალბომები, შრომათა კრებულები, წიგნები, ბროშურები და სხვ.

განმტკიცდა საზოგადოების ფინანსური ბაზაც.
საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო სათანადო გეგმის მიხედვით მუშაობ-
და იმ ამოცანების გადასაქრელად, რომელიც მას კულტურის ძეგლთა დაცვის
საზოგადოების II ყრილობამ დაუსახა. ამ ყრილობაზე არჩეულ იყო საზოგა-

* იბეჭდება შემოკლებით.



დოგების საბჭო 65 და პრეზიდიუმი 13 კაცის შემადგენლობით. (წ. ამირანაშვილი, ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, თ. ბუაჩიძე, კ. გარდაფხაძე, ლ. გოთუა, თ. კანდელაკი, ნ. კეცხოველი, ლ. მატარაძე, მ. მექვაბიშვილი, ბ. ლორთქიფანიძე, კ. სომხიძე, ვ. ჩუბინაშვილი).

ჩვენი ძირითადი ამოცანაა საზოგადოების საქმიანობაში მაქსიმალურად ჩაებათ მოსახლეობის ფართო ნაწილი ჩვენი კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობაში, გამოვავლინოთ, შევისწავლოთ და დავიცვათ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა.

თუ საზოგადოების წევრი სრული ვაკებით მიუდგება ძეგლთა მოვლა-პატრონობის საქმეს, ეკვი არ არის, რომ მათი საბით ჩვენს ხუროთმოძღვრულ და სხვა ისტორიულ ძეგლებს მრავალრიცხოვანი მზრუნველი და მფარველი ეყოლება.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში ითვლება 4688 ორგანიზაცია 600 ათასამდე წევრით. რასაკვირველია, ეს კარგი ციფრია. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჯერ ამ მხრივ, ყველაფერი არ არის გაკეთებული. ჩვენ 700 ათასამდე მარტო უფროსი კლასის მოსწავლე გვყავს და ყველა ჩვენი ახალგაზრდა ჩაბმული უნდა იყოს ამ საქმეში. მაშასადამე, ამჟამად სკოლებში ჯერ-ჯერობით სათანადო მუშაობა მაინც არ ჩავატარებთ.

ჩვენი ამოცანაა რესპუბლიკაში არ დარჩეს არც ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელსაც შეფობას არ უწევდეს რომელიმე პირველადი ორგანიზაცია. განსაკუთრებით ისეთი ძეგლები, რომელთაც ხელფასიანი მცველები არა ჰყავთ.

ჩვენს საზოგადოებაში საკმაო რაოდენობითაა ისეთი ორგანიზაცია, რომელიც განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდება ძეგლთა დაცვის საქმეს. ზედამხედველობას უწევს და უვლის მათ. ასე მაგალითად:

ქობულეთის რაიონის სოფ. კირნათის კოლმეურნეებმა, საშუალო სკოლის მოსწავლეებთან ერთად, გამოავლინეს ეკლესიის ნანგრევები. გააკეთეს ძეგლთან მისასვლელი გზა.

ხულოს რაიონის სოფ. ყინაურის ორგანიზაცია წლების განმავლობაში შეფობას უწევს სხალთის ხუროთმოძღვრულ ძეგლს. დაასუფთავეს ეკლესიის ეზო. ძეგლზე დაწესებულია მუდმივი მეთვალყურეობა.

ზაშურის რაიონის სოფ. იტრიის საშუალო სკოლამ შაბათობა მოაწყო იტრიის XVII საუკუნის ძეგლზე, მოსწავლეებმა გაწმინდეს და მოასწორეს ძეგლის ეზო. ამავე რაიონის ბიბლიოთეკებმა მოაწყვეს გამოფენები მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვისა და შესწავლის თემებზე.

დუშეთის რაიონში, ანანურის საშუალო სკოლის პირველადმა ორგანიზაციამ შეფობა აიღო ანანურის კულტურის ძეგლზე. სკოლის მოსწავლეებმა მოკირწყლეს ძეგლთან მისასვლელი გზა, გაწმინდეს და გამწვანეს მისი ეზო.

კარგად მუშაობს თერჯოლის რაიონის ჩხარის საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციაც, რომელსაც ისტორიის მასწავლებელი ალ. ბუცრიკიძე ხელმძღვანელობს.

ძეგლთა მოვლა-პატრონობის მიზნით სისტემატურად აწყობენ შაბათობებს ზუგდიდის რაიონის გიხაშკარის საშუალო სკოლის მოსწავლეები.

გეგმეკორის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეები შეფობენ მარტვი-



ლის ტაძარზე, სალხინოს საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გაწმინდეს ტერიტორია, შეაგროვეს ძველის ისტორიასთან დაკავშირებული ფაქტობრივი მასალა. სალხინოს კოლმეურნეობამ კი ძველი ტერიტორიითურთ საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციას გადასცა.

გურჯაანის საშუალო სკოლის პირველადმა ორგანიზაციამ იზრუნა სოფ. გურჯაანის ორგუმბათთან ძველის ტერიტორიის მოვლა-პატრონობისათვის, გაასუფთავა და გვემართო მხარე და გამაგრდა მისი ეზო

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის პირველადი ორგანიზაციები, თუ ძველს რაიმე საფრთხე მოელოდა, გადამკრულ ზომებსაც იღებენ. მაგალითად:

XI საუკუნის დარკვეთის ისტორიულ ძეგლის მიდამოებში წარმოებს მარგანეციის ღია ამოღება. იმის გამო, რომ ძველს საფრთხე მოელოდა. საზოგადოების მდაროს პირველადი ორგანიზაციის ინიციატივით და ზემდგომი ორგანოების დროული ჩარევით, ამ ტერიტორიაზე სამუშაოები შეჩერდა და ძველიც გადაჩნა.

სისტემატურად აწყობენ შაბათობებს ქუთაისის მე-3 და მე-8 სკოლები, უკლიან ბაგრატიის ტაძარს, ველათის მონასტერს, მწვანე ყვავილას ისტორიულ ძეგლს და სხვათა.

თბილისის პირველადი ორგანიზაციებიდან კარგად მუშაობენ 26 კომისიებისა და კიროვის რაიონების პირველადი ორგანიზაციები.

კალინინის რაიონში არსებული კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობის მიზნით საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები მიმდგრებული არიან შემდეგ ობიექტებზე: პირველი საშუალო სკოლა — მთაწმინდის პანთეონზე, 42-ე საშუალო სკოლა — ოქროანთ ხილზე, 43-ე საშუალო სკოლა — ციხე-კოშკ „შას-ტასტზე“ და სხვა.

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტი შეფობას უწყევს თბილისის მეტეხის ეკლესიას.

ლენინის რაიონის პიონერები კი — 1905 წელს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გმირულად დაცემულ მუშათა 9 ძმის საფლავსა და ობელისკს.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევს მოძვე ხალხების წარმომადგენელთა ისტორიულ რელიქვიებს. აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის № 84 ქართული სკოლის მოსწავლეები თვალყურს ადევნებენ თბილისში არსებულ სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონს.

უნდა ითქვას, რომ მარტო შეფობით არ ამოიწურება პირველადი ორგანიზაციების და რაიონული საბჭოების მუშაობა. საზოგადოების ერთუზიასტები გვაწვდიან ცნობებს რაიონში არსებული ძეგლების მდგომარეობის შესახებ. ცნობები მოდის წყალტუბოს, ზუგდიდის, ანშეტის, კასპის, თიანეთის, სამხრეთ-ოსეთის, დუშეთისა და სხვა რაიონებიდან. ამის წყალობით მრავალი ძველი გადაურჩა დაზიანებას.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შეფობის საკითხში გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებებიც. მთელი რიგი პირველადი ორგანიზაციები თუ წლების განმავლობაში კულტურის ძეგლებს მზრუნველობას არ აკლებდა, ამ ბოლო წლებში მივიწყეს კარგად წამოწყებული საქმე.



ერთბანს გურჯაანის ახაშნის საშუალო სკოლა შეფობას უწევდა ზევინს „ყველაწმინდა“-ს. მაგრამ უკანასკნელ წელს პირველად ორგანიზაციას ამ ძეგლი სათვის არაფერი გაუყვებია, ასევე მოიქცნენ ვახიუბნის და ვეჯინის სკოლებშიც.

კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყაზბეგის რაისაბჭოს მესვეურებმა, როგორც ჩანს, მოსახლეობაში ვერ გაშალეს სათანადო მუშაობა. სწორედ ამის ბრალიცაა. ის სამარცხვინო ფაქტი, რომ ისეთ შესანიშნავ ძეგლებზე, როგორიც არის გერგეტის გამოქვაბული ბეთლემი. უღირსმა ადამიანებმა მოიპარეს კარი და რკინის ჭაჭვი. ამ ბოლო დროს კარები მონახულია და ჭაჭვიც მიგნებულა სად უნდა იყოს. მაგრამ დიდი თოვლიანობის გამო ჩვენი მომასვლელები იქამდე ვერ ვერ მივიღწენ, რომ ჩამოიტანონ. აღმათ იმასაც მალე ჩამოიტანენ, მაგრამ სავალალოა. რომ 1965 წელს ასეთი ამბავი ხდებდა. მართალია. ყაზბეგის რაიონის ჩვენი საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია ახლა გამოფხიზლდა. მაგრამ ეს გამოფხიზლება უფრო აღრე იყო საჭირო. ამ აღმშფოთებელი ფაქტის შესახებ საზოგადოების პრეზიდიუმს არც კი აცნობეს.

ყოფილი ვატეხილი სჯობს, ბრალი მიუძღვის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის აპარატსაც. რომელმაც ბოლო დროს შეფობაზე კონტროლი მოაღწუნა. უნდა უფრო ხშირად ჩავსულიყავით. უფრო მეტი პრობავანდა გაგვეწია ასეთ რაიონებში, ისეთ ადგილებში. სადაც ჭერ-ჭერობით ეს ჩვენი მუშაობა სათანადო სიმაღლეზე არ დგას.

თბილისში და ქუთაისში, ასეთ ცენტრებში ჩვენს მუშაობას იმდენი ფასი არა აქვს, რადგან აქ უჩველრადც აუარებელი ხალხია. რომლებსაც დიდად უყვართ ჩვენი წარსულის შემყვიდროება. საქმე იმაშია, რომ ეს მუშაობა გაგვეწია იქ, სადაც ეს უფრო საჭიროა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ისეთ რაიონებში, როგორცაა წალკის, ჯავახეთის და სხვა რაიონები. ჩვენის მხრივ ჭერ-ჭერობით მუშაობა გაშლილი არ არის ისე. როგორც საჭიროა. მომავალმა პრეზიდიუმმა. მისმა საბჭომ და საერთოდ საზოგადოების წევრებმა ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ — დიდ ყურადღებას და მზრუნველობას საჭიროებს ქვემო ქართლი. ჯავახეთი. წალკა, განსაკუთრებით კი წალკა. წალკა რატომღაც არ არის ისეთი პოპულარული, როგორც უნდა იყოს. იგი ჭერ კიდევ ელის მზრუნველის ხელს. შესანიშნავი ძეგლები გვაქვს. იშვიათი. მარტო რად ღირს წალკის ახალქალაქი, ეხლანდელი ტაშმაში. ისეთი შესანიშნავი ტაძარი, როგორიცაა „ვახუშტი ბატონიშვილის“ სამლოცველო. რომელსაც თალი სრულიად ჩამონგრეული აქვს. წალკის ძეგლების მშენებლობაც მკვეთრად განსხვავდება სხვა რაიონის მშენებლობის ყაიდისაგან. წალკის ტაძართა კედლები ნაშენებია უხარმაზარ ლოდებით, ზოგი მათგანი 2 კვ. მეტრია.

პრეზიდიუმმა და საზოგადოების პირველადმა ორგანიზაციებმა საშეფო მუშაობა ისე უნდა წარმართონ, რომ რესპუბლიკაში არ დარჩეს მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელსაც მზრუნველობას არ უწევდეს რომელიმე პირველადი ორგანიზაცია.

ბოლო წლებში რაიონული საბჭოები ინტერესს იჩენენ მარტივი ხასიათის ექსპედიციების მოწყობისადმი, რომლის მიზანიცაა მასალების შეკრება ძეგლებზე. ასეთი სახის ექსპედიციები, როგორც წესი, უნდა ხორციელდებოდეს.



სამეცნიერო დაწესებულებებთან კონტაქტში და შეთანხმებული უნდა იყოს რესპუბლიკურ საბჭოს პრეზიდიუმთან.

საანგარიშო პერიოდში რამდენიმე ასეთი ექსპედიცია მოაწყვეს მის აფხაზეთის, გეგეჭკორის, ქუთაისის და სხვა ორგანიზაციებმა.

აღსანიშნავია საზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს მიერ მოწყობილი ექსპედიცია ტყიბულის რაიონის ისტორიული ძეგლები შესასწავლად. ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალის სათანადოდ დამუშავების შემდეგ საქალაქო საბჭომ მოაწყო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის და სახელმწიფო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერი მუშაკები.

პრეზიდიუმმა 1964 წ. 7 თებერვალს თავისი დადგენილებით საზოგადოების რაისაბჭოებს ნება დართო პრეზიდიუმთან შეთანხმებით ადგილობრივი სახსრებით მცირე შეკეთებანი ჩატარონ ზოგიერთ ძეგლზე. ამ მხრივ საანგარიშო პერიოდში გეგეჭკორის, ლანჩხუთის, დუშეთის და სიღნაღის რაიონებში საკმაოდ ბევრი ძეგლი შეკეთდა. გამოკვლევა დაგეგარწმუნა, რომ ეს მეთოდი მეტად ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული.

საქართველოში იმდენი ძეგლი გვაქვს, რომ ყველას ერთად მთავრობა ვერ მოუვლის. ამბობენ, აღრიცხულია 5.000-მდე ძეგლი და აღურციხავი შეიძლება კიდევ მეტი იყოს. ამიტომ ბევრი მათგანის მოვლა-პატრონობა ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა იყოს. ძირეული ორგანიზაციების მუშაობა სწორედ აქეთ უნდა წარიმართოს: ჩვენი მიზანია არა მარტო წევრების მოზიდვა და თანხის აკრეფა, არამედ მთავარია **შემოქმედებითი მუშაობა, შესწავლა, შეკეთება, დაცვა, მოვლა.**

საანგარიშო პერიოდში (1962 — 65 წ.წ.) პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული თემატიკის მიხედვით ჩატარდა 2000-ზე მეტი ლექცია.

ლექციებს კითხულობდნენ: შ. ამირანაშვილი, გ. ჩიტაია, ან. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ლ. გოთუა, შ. ლომსაძე, ლ. სუმბაძე, ლ. რჩეულიშვილი, გ. გაფრინდაშვილი, გ. ტყეშელაშვილი და სხვა მრავალი.

რაიონებში ზოგჯერ უჭირთ ლექციების მომზადება პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული თემატიკის მიხედვით. ახლო მომავალში ეს ნაკლი უნდა გამოვასწოროთ. ამ მიზნით საჭიროა იქნება რომ ჩვენმა პრეზიდიუმმა დაამზადოს დაგამოსცეს სალექციო მასალა. პირველ ხანში 10 ლექცია მაინც უნდა იყოს დაბეჭდილი. რომელთაც ძირეულ ორგანიზაციებს გადაეცემთ და ადგილობრივი ლექტორები მათ გამოიყენებენ საუბრების ჩასატარებლად. შეუძლებელია თბილისიდან ჩამოსულმა მაღალკვალიფიციურმა ლექტორმა ყველგან წაიკითხოს ლექცია. მაგრამ მის მიერ კარგად დაწერილი ლექცია ხალხს ხელში რომ ექნება, ძველთა შესახებ საუბრები უფრო ხშირად ჩატარდება. ეს საქმეც უნდა გადაჭრას ჩვენმა მომავალმა ხელმძღვანელობამ.

უნდა გვახსენოთ რესპუბლიკურ საბჭოსა და პრეზიდიუმის წევრებს, რომლებიც მიმაგრებული არიან ცალკეულ რაიონებზე ზონების მიხედვით, რომ: ხშირი ჩასვლით ღიდ დახმარებას გაუწევენ ადგილობრივ საბჭოებს და კიდევ უფრო გამოაცოცხლებენ მათ მუშაობას. მართალია, ჩვენი საზოგადოების ბევრი წევრთაგანი კარგად მუშაობდა, მაგრამ ჯერჯერობით იგი კარგ ჩვევად არ არის გადაქცეული. მთავარია ამ საქმეში ჩავაბათ ადგილობრივი ინტელიგენცია, პე-

დაგოგები, რაიონული გაზეთებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკები, საზოგადოება „ცოდნას“ ადგილობრივი მოღვაწენი და სხვა. მარტო მაღალი სიტყვებით მაღალ ტრიბუნიდან საქმეს ვერ ვუშველით, საქიროა ადგილობრივი ჩასვლა და დამთავლიერება ამა თუ იმ ძეგლისა, კონკრეტული ღონისძიების დასახვა, ამ ღონისძიების გატარება. ჩვენმა პრეზიდიუმმა თავის მომავალი მუშაობის ერთ-ერთ საკითხად ეს უნდა გაიხადოს. აქტივი, პრეზიდიუმის წევრები და სხვანი უფრო ხშირად უნდა ეწვიონ რაიონებს. შეამოწონ, დაეხმარონ.

მრავალმა ჩვენმა რაიონმა ჩაატარა ექსკურსია — წყალტუბოელებმა, გურჯაანელებმა, კასპელებმა, ზუგდიდელებმა და სხვამ. მაგრამ ეს ექსკურსიები უფრო რაციონალურად უნდა გამოიყენოთ. უნდა ეპიკურით ბეგრები და ველათი, ჭვარი და ალავერდი მათ, ვისაც ის არ უნახავს. მათი ხილვით მოქალაქის გული სიხარულითა და სიამაყით აივსება, დარწმუნდება თუ რა დიდი პოტენციის იყვენენ ჩვენი წინაპრები.

ცნობილია, რომ შარშან 1000 წელი შეუსრულდა ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ძეგლს კუმურდოს. ასალქალაქში ჩვენმა საზოგადოებამ ჩაატარა გამსვლელი სამეცნიერო სესია. რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ, როგორც ადგილობრივი, ისე თბილისიდან მივლინებული მეცნიერ-მუშაკები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. ამ სესიაზე რამდენიმე მოხსენება წაიკითხეს. ძეგლთან — სოფ. კუმურდოში, მოეწყო ხალხმრავალი მიტინგი. რომელიც ხალხთა შორის მეგობრობის ნამდვილ ზეიმად იქცა. ამ ღონისძიებას გამოეხმაურნენ: არქიტექტორთა კავშირი, საზოგადოება „ცოდნას“ თბილისის განყოფილება, საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკა და სხვა. მაგრამ რა? ძეგლი კვლავ უუყრადღებოდ დამიტოვებული.

სამეცნიერო სესია მოეწყო 26 კომისრების სახელობის რაიონშიც. რომელშიც დიდი დახმარება გავეცილა პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. გამრკელმა.

სამეცნიერო სესია მოეწყო აგრეთვე ცაგერის რაიონშიც, რომელიც მივძღვნა ლეჩხუმის ისტორიულ-რევოლუციური ადგილებისა და მატერიალური კულტურის ძეგლებს. სესია მიმდინარეობდა ცაგერში, ხოლო ხალხმრავალი მიტინგი მოეწყო ნიკორისძირში. სადაც აღმართულია ობელისკი. აღსანიშნავად იმისა. რომ აქ 1918 წელს მენშევიკური მთავრობის ჯარების წინააღმდეგ მამაცთა სიკვდილით დაეცა 100-მდე აჯანყებული ლეჩხუმელი მშრომელი. მიტინგზე მოვინებებით გამოვიდნენ აჯანყების მონაწილეები, ხოლო მოსწავლეებმა ყვავილებით შეამკეს ობელისკი.

ასეთი სესიების მოწყობა. რასაკვირველია, მნიშვნელოვანია ჩვენი ძეგლების დაცვის საქმის გასაძლიერებლად. მაგრამ ერთ-ორი სესია ცოტაა. შემდეგში ეს მეთოდი უფრო ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული. სასესიო ობიექტი ბევრი გვაქვს, სესიაზე გამომსვლელიც ბევრი გვყავს! მაგრამ ყველა ამას სათანადო ორგანიზაცია უნდა.

როგორც ასალქალაქის, აგრეთვე ცაგერის რაიონებში ამ ღონისძიების ჩატარებას დახმარება გაუწიეს ადგილობრივმა პარტიულმა და სახელმწიფო ორგანოებმა.

პროპაგანდის საქმეში ბევრი ნაკლი გვაქვს. ი. თუნდაც გასულ წელს მოეწყო კონკურსი პლაკატის შესაქმნელად დევიზით „ძეგლის მეგობარი“. მიუხე-



დავად დროის სიმცირისა, წარმოდგენილი მასალის რაოდენობამ და წესდებულების მალაღმა დონემ-მხოლოდინს ვადააჭორბა. პლაკატები გამოიფინა საქართველოს სალონში და მან დამთვლიერებელთა ფართო წრე მიიზიდა და კონკურსი კიდევ კონკურსის კუთრიმ (თავმჯდომარე ა. დვალისვილი) ყურად ილო სათანადო ორგანოების თხოვნა საკონკურსო ვალის გავრძელების შესახებ. თითქოს ეს ასეე მოხდა. მაგრამ შემდგევი კონკურსის ბოლომდე მიყვანის საქმე გაუმართლებლად ჩაიშალა. დაწყებული საქმე უნდა დამთავრდეს. ამის უყურადღებოდ მიტოვება ძეგლთა დაცვის საქმეს სახელს უტეხს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ უახლოეს მომავალში, საქართველოს სსრ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან, აგრეთვე საქ. ალკ ცენტრალურ-კომიტეტთან ერთად, გამოცხადდება კონკურსი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებზე შეფობის შესახებ, რომელიც მიედგენება გენიალური ქართველი პოეტის შ. რუსთაველის 800 წლისთავს.

კონკურსში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს პირველადმა, რაიონულმა, საქალაქო და საოლქო ორგანიზაციებმა, რაც ხელს შეუწყობს ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების პროპაგანდას.

დიდი ყურადღება მიექცა გამომცემლობის საკითხსაც.

საანგარიშო პერიოდში გამოვიდა ვ. ცინცაძის ფოტო-ილუსტრირებული ალბომი „ბაგრატის ტაძარი“, რ. მეფისაშვილის „გელათი“, კ. მელითაურის „უკარბია“, რ. გვერდწითელის „მცხეთა“, და სხვა. ეს გამომცემანი ზნირად სამეზოვანია. რათა სხვა ერის წარმომადგენელთათვისაც უფრო მისაწვდომი იყოს.

შეადგება გამოსაცემად ვ. ბერიძის დრ ტირაჟიანი ალბომი — „საქართველოს ხუროთმოძღვრული ძეგლები“, რომელშიც თავმოყრილი იქნება საქართველოს მნიშვნელოვანი კულტურის ძეგლები.

გამომცემლობა საბჭოთა საქართველოსთან ერთად გამოცემული იქნება ნ. ჯამბერიძის ამავე ხასიათის შრომა, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე, ვ. ართილაყვას შრომა „ქართული მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხებზე“ და სხვა.

ლევან გოთუას ბროშურაში — „ჩვენი ჩუქურთმიანი თანამგზავრები“ — დაყენებულია მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, ქართული ხუროთმოძღვრების დაცვისა და შენარჩუნების შესახებ და განზოგადოებულია ძეგლთა დაცვის საზოგადოების საქმიანობა.

ჩვენში წლების განმავლობაში დაგროვდა და საკმაოდ დიდი რაოდენობითაც მასალა, როგორც ძეგლთა მოვლა-პატრონობის, ისე მათი მეცნიერული შესწავლის შესახებ. ამიტომ საჭირო გახდა მისი განზოგადოება და მკითხველთა ფართო წრეებამდე მიტანა. სწორედ ამ საქმეს ემსახურება საზოგადოების პერიოდული კრებული „ძეგლის მეგობარი“, რომლის 4 ნომერი გამოვიდა. ეს კრებული გამოდის საზოგადოებრივ საწყისებზე და, უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა, ვისაც კი მიემართავთ, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ საქმეს. ეს კრებული მოსწონთ. მაგრამ ნაკლი აქაც გვაქვს. ფართო მასამდე სათანადო რაოდენობით იგი ვერ მიდის. 1500 ცალი გამოდის. მისი გავრცელება ძნელდება, საჭიროა ამ კრებულის გვერდით მივალწიოთ იმას, რომ ჩვენ გამოვეტო უფრო პორტატიული ჟურნალი, თუნდაც 2 ფორმიანი დიდი ტირაჟით 10 — 12 — 15



ათასი ცალი „საქართველოს ბუნების“ ტირაჟმა 25 ათასს მიიღწია იგივე ჩვე-
 ნისთანა საზოგადოების — ბუნების დაცვის საზოგადოების ორგანოა, ჩვენ
 დენი ენთუზიასტი ვუყავს, რომ ასეთი აღმანახის გამოცემა არ გავვიძინებდებო.
 მხოლოდ საქირო არის სათანადო ნებართვა, რაც არც თუ ისე ადვილია. მაგრამ
 ვგრობდით რა იმ დიდ დახმარებას, რომელსაც ჩვენ გვიწევს ცენტრალური კომი-
 ტეტი ვეფიქრობ. რომ ეს საქმე კეთილად დაგვირგვინდება. მხოლოდ საქიროა
 საქმის თავი მოვეყაროთ.

ჩვენი მეცნიერებისა და განსაკუთრებით. პროფ. გ. ჩიტაიას ინიციატივით
 ჩვენი საზოგადოებრიობის და ზემდგომი ორგანოების დიდი მხარდაჭერით დაი-
 წყო ახალი მუზეუმის „ღია ციხევესა მუზეუმის“ მოწყობა. ესაა ხალხური ყოფი-
 სა და ხუროთმოძღვრების მუზეუმი, სადაც თავმოყრილი იქნება საქართველოს
 ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ამსახველი მრავალფეროვანი ექსპონატები. მაგა-
 ლითად: იმერული ვაკის ოლა თავისი ნალიათი, ზედ ვიდელით, ანაჩა ურშით
 ეზოში და სხვ. ერთი სიტყვით, მთელი მოწყობილობის. რაც ერთ სახლ-კარს
 შეეფერება. აქვე იქნება ქართული დარბაზი. მთელი თავისი ავლა-დიდებით, თა-
 ვისი ურშით, მარხილით. ბოლოთრიათი. კვერით, თავისი საბძლით და სხვ.
 შიგ რომ შეხვალთ. დარბაზში ისეთი შთაბეჭდილება უნდა დაგრჩეთ. თითქოს
 მასპინძელი ეხლა წასულა ყანაში სამუშაოდ. ხოლო წასვლის წინ მიუღაგ-
 მოულავებია კი. აქვე უნდა იყოს სვანური კოშკი მარხუბით. თუშური და
 ხევსურული კოშკები, აჭარული საბარო და მთის სახლები და სხვა.

ამ მუზეუმისათვის უკვე თბილისში ვაკის სტადიონსა და კუს ტბას შორის
 გამოყოფილია რამდენიმე ათეული ჰექტარი მიწა. რომელიც ნაწილობრივ
 უკვე შემოღარგულელია, წინასწარი მუშაობა სწარმოებს. ჩამოყალიბდა საბჭო და
 მომავალი ყრილობისათვის შესაძლებელია პატარა სხდომა ერთ-ერთ კუთხიდან
 ჩამოტანილ ოდაში ან დარბაზში გავმართოთ კიდევ.

როგორც მოგვხსენებათ. ჩვენი საზოგადოება სარესტავრაციო მუშაობასაც
 შეუდგა და რამდენიმე ისეთი სამუშაო ჩაატარა, რომელთა აღნიშვნა ღირს. მა-
 ვალითად: ზემო სვანეთში შეკეთდა სამხედრო საფორტიფიკაციო და საკულტო
 ნაგებობანი: იფრარის. ლატალის, მთავარანგელოზის, კვირიკესა და ივლიტეს
 ეკლესია კალის მიდამოებში, ჩვაბიანში ქალღანების ერთ-ერთი საინტერესო
 საცხოვრებელი კომპლექსი კოშკითურთ და სხვ. სხვათაშორის ამ მუშაობას ის
 მნიშვნელობაც აქვს. რომ ხალხი ზედავს, თუ მთავრობა რა დიდ ყურადღებას
 აქცევს ამ ძველ მემკვიდრეობას და უფრო მეტად უფრთხილდება მათ.

ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი სამუშაო ჩატარდა სვეტიცხოველის მიდამო-
 ებში. სადაც გამოვლინებულ იქნა მეღქისედეკის კარიბჭე. გათხრებისა და რეს-
 ტავრაციის შემდეგ გამოიკვია. რომ ის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი
 ღირებულების ძეგლი ყოფილა. ვიდრე ხელოვნებათმცოდნეები და არქიტექ-
 ტორები ფიქრობდნენ, რადგან ამ კარიბჭეზე გამოჩნდა ბევრი ისეთი დეტალი,
 რომელთა შესახებ წარმოადგენა კი არ გვქონდა.

ცხადია, სვეტიცხოვლის ეზოში ვალავნიდან შესასვლელი გარეთა ბუნეი
 აგებულია თვით კათედრალის მშენებლობის დამთავრების შემდეგ. ე. ი. დაახ-
 ლოებით 1029 წელს. კათალიკოს მეღქისედეკის დავალებით. რომელსაც სპაატ-
 რიარქო ადგილი ეკავა 1010 — 1031 წლებში.

ეს მუშაობა, რომელიც ვახტანგ ცინცაძის ხელმძღვანელობით და აკად.



გ. ჩუბინაშვილის თვალუფროს დევნებით წარმოებდა. მალაზხარის სოფელ
ჩატარდა.

რასაკვირველია, ძველთა შეკეთებაზე ძალიან დიდი მუშაობას ეწეოდნენ კულტურის სამინისტროს სარესტავრაციო სახელოსნო. მათ მიერ ბევრი შესანიშნავი ძეგლი არის გაკეთებული, რესტავრირებული. უვლიან, მაგრამ უნდა მოვახსენოთ. რომ მარტოხელა კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. კულტურის სამინისტროს სარესტავრაციო სახელოსნოს თუ მთელი საზოგადოება არ შეუდგება მხარში, ძნელი იქნება უახლოეს წლებში ბევრი რამ მოვახსროთ. როგორ შეიძლება რამდენიმე წელიწადში შევაკეთოთ და აღვადგინოთ ის, რასაც ქართველი ხალხი 2000 წლის მანძილზე აშენებდა?! საჭიროა აქ შევარჩიოთ უფრო მნიშვნელოვანი, უფრო ღირსეული და ისეთი, რომელსაც შედარებით უფრო მეტი საფრთხე მოვლის და პირველ რიგში ეს გავაკეთოთ.

შეკეთებულ იქნა მცხეთაში და მოვლილია არმაზის აკლდამა, არმაზის აბანო. ბაგრატიის ტაძარი და სხვა. მაგრამ აქაც ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

ამ ბოლო წლებში დიდი მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს. ითხრება ნაქალაქარნი. მნიშვნელოვანი ძეგლები. ბევრი ღირსშესანიშნავი ძეგლი გამოვლინდა კიდევ და ვადაიშალა ჩვენი შესანიშნავი ისტორიის ახალი ფურცელი. მაგრამ აქაც გვაქვს ერთი დიდი ნაკლი, რომელიც უეჭველად უნდა გამოსწორდეს, დღეს გათხრის შემდეგ ძეგლი ისევე რჩება, როგორც გაითხარა. ხშირად ზიანდება. საჭიროა გათხრების ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული იქნეს ხარჯები კონსერვაციისათვის, ძეგლის მოვლისა და შენახვისათვის. ეს აუცილებელი და საჭიროა. ამ პირობის გარეშე ძეგლი არ უნდა გაითხაროს.

ბევრი ძეგლთა დაკვირვების საქმეს დიდი გულისხმიერებით ეკიდება. ამ მხრივ მისაბამნი არიან გ. რომბინაშვილი (გზატყეცილებს სამმართველოს მმართველი), ვ. ი. გოცირიძე, (სამთო ტრესტის მმართველი), ზ. კოპალეიშვილი და მრავალი სხვა. რომელთა უანგარო მოღვაწეობით ბევრი ძეგლი ვაღარა დაზიანებას (სოფ. სიონის ბაზილიკა. გრემის მთავარანგელოზი. არხოტის კოშკები და სხვა).

ზოგჯერ დაუჩვენებელია, რომ ჩვენი ზოგიერთი კულტურული დაწესებულებების ზოგიერთი მუშაკი უდიერად ეკიდება კულტურის ძეგლებს.

ქალაქ თბილისის ერთ-ერთი რაიონის აღმასკომის საამშენებლო განყოფილების მუშაკებმა ასეთი ქალაქი გამოგზავნეს: „რადგან ტაძრის (XVII საუკუნის) საამორტიზაციო ვადა გასულია. ნება დაგვრთეთ დავანარჩოთ“. ეს ან გაუგებრობაა. ან უფრო მეტი.

ჩვენი კინომრეველობა ხშირად იღებს ისტორიულ სურათს ამა თუ იმ ძეგლის ეზოში, მიდამოში. მაგრამ შედეგი მძიმეა. მაგალითად: მიაბტერ-მომეტერიეს და შელახეს მეტეხის ზოგი ნაწილი (სურათი „რაც გინახავს ველარ ნახავ“). ჩამოიღეს დ დაამტერიეს კარი, ისეთი უნიკალური ძეგლისა. როგორცაა ნიკორწმინდა („კიკიკონა“). ატენის სიონში — ცხენები შეიყვანეს. ალავერდის ტაძარს საღებავი შეასხეს, ნუთუ რევისორებს შენველაიას. ქავთარაძეს, კიპურელს და სხვათ არ ჰყავდათ მოადგილენი. რომელნიც ამ საქმეს მოუვლიდნენ და არ შეარცხვენდნენ მათ სახელს, საერთოდ კი ჩვენი კულტურის სახელს?

ძველად ჩვენ ბევრი რევისორი გვყავდა, რომლებსაც ხშირად უხელფასოდ

უნდებოდათ მუშაობა და ასე როდი ეპყრობოდნენ მამამაპათა სასხლით მორა
წყულ არემარეს და ნაგებობებს!

ნურავინ ნუ იფიქრებს. ამხანაგებო. რომ ჩვენ ვინც აქ ვართ შეყრებოლნი
წარსულს უყურებს. როგორც მხოლოდ წარსულის შემეკიდრეობას. არა. წარსული
სული შემეკიდრეობა ჩვენ დღევანდელი დღის სამსახურში უნდა ჩაეყენოთ.
წარსულის შემეკიდრეობას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის იდეურ-ესთეტიკურ
აღზრდის საქმეში. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. როცა ხალხი
უყურებს თუ რა გზა გაუვლია მის ერს. რა დიდი სიძლიდრე შეუქმნია და შეუ-
ნარჩუნებია. მასაც აღძვრის სურვილი, იყვეს დღევანდელი ცხოვრების შემოქ-
მედი მუშაკი, მანაც მოუტანოს სარგებლობა თავის ხალხს, მიიღოს მონაწილე-
ობა ისეთ მშენებლობაში, რომელიც მომავალში დარჩება ახალ სვეტიცხოვლად
(ენგურაჰესი. ლაჯანურაჰესი და სხვ.).

როდესაც ქალაქის ამა თუ იმ რაიონის რეკონსტრუქცია ხდება. დამგვეგვამა
უნდა გაითვალისწინოს აწმყოც. მომავალიც და წარსულიც. არ შეიძლება მარტო
ერთი მხარე გაითვალისწინოთ. ყოველი რეკონსტრუქცია უნდა ითვალისწინებ-
დეს საკითხთა მთელ კომპლექსს და ერთმანეთთან პარმონიულ შეთანწყობით
უნდა გადაწყდეს. ვანიერო ხიდი კარგია. მაგრამ იგი თუ მეორე ობიექტს ამხინ-
ჯებს. მაშინ მას სხვაგვარად უნდა მოვეკიდოთ.

საოცარია, როდესაც ზოგიერთი ჩვენი რეკონსტრუქტორი, არქიტექტორი
ყოველივე ამას უგულვებელყოფს. გაკვირვებას იწვევს ის უგულვებელყოფა
კულტურის ძეგლებისა, რომელიც ეტყობა მეტეხის მიდამოებში წარმოებულ
სამუშაოთ. ჯერ იყო და ორი ხიდი მოსპეს. ააშენეს ახალი. ასწიეს იგი, ამით დაა-
დაბლეს მეტეხი. დაუკარგეს ძველი იერი. შემდეგ იყო და ბუნებრივი კლდე შე-
ჯავშნეს ხელოვნური ფილებით. ყველა დიდი ქალაქი ინატრებდა ასეთ ბუნებ-
რივ ლანდშაფტს, როგორც მეტეხთან გვაქვს. გორგასალი უნდა დაედგათო,
მაგრამ გორგასალმა თვალი რომ გაახილოს და დაინახოს როგორ დაადაბლეს
მეტეხი. ალბად დეხსა ჰკრავდა თავის ცხენს და გაიქცეოდა იქიდან.

იქვე იყო ნალბანდების და სირაჯების რიგი. ისიც მოშალეს. პოლონეთში
მე-17 საუკუნის საბძელი არის შემონახული ჩალით გადახურული. ეს ისტორიუ-
ლი ძეგლიაო და უფრთხილდებიან. ჩვენ მთელი უნიკალური კვარტალი მოვს-
პეთ. ვანა ამ ობიექტის გამოყენება არ შეიძლებოდა ახლებურად? შეიძლებოდა,
მაგრამ ზოგი გაიტაცა რკინა-ბეტონმა. მაგრამ ყოველივეს თავისი ადგილი აქვს.

მე დიდი პატივისცემელი ვარ ჩვენი ინჟინრებისა და არქიტექტორებისა.
იმიტომაც, რომ მათ მიერ აგებული ძეგლები და მშენებლობები შეიძლება ჩვენ
წარსულ ძეგლებზე უკეთესი იყოს. მაგრამ ჩაუფიქრდნენ ამ საკითხსაც. საერთო
კონტაქტში რომ იქნება ახალი — ისტორიულ წარსულთან, ეს უკეთესი არ
არის? ქალაქს უნდა ჰქონდეს თავისი სახე. არ შეიძლება ყველას ერთნაირი
ქრელი ეაბა ჩაეცვათ. ზოგს ქრელი უხდება. ზოგს შავი. ზოგს თეთრი და რა-
ტომ უნდა იყოს ჩვენი ქალაქი თავისი გარეგნობით ისეთივე. როგორც ყველა
სხვა ქალაქია და რატომ არ უნდა ჰქონდეს თავისი სპეციფიკა? თუ მიგვიტყვიათ
უურადლება, ყველა უცხოელი ამ ჩვენ სპეციფიკაზე ლაპარაკობს, ეს სილამაზე

ხიზლავს. ყველა კარგ ქალაქს თავისი სპეციფიკა აქვს. (მოსკოვი, ლენინგრადი, პრაღა და სხვ.).

ან კიდევ ავიღოთ ფორაქიშვილების შესანიშნავი დარბაზი. ჩვენ ვეცდებით ბოზთ. რომ ზემო ქართლიდან ან შუა ქართლიდან ჩამოვიტანოთ და ჩვენს ქვეყანაში აქვე კი გვაქვს ფორაქიშვილების ბრწყინვალე დარბაზი. რომელიც საწყობად არის გადაქცეული. კერზე გაკეთებულია ონკანი და ჩადის წყალი. ჩვენმა ქალაქმა მეტი მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ შესანიშნავ დიდ საქმიანობაში, ძეგლების დაცვის და შემონახვის საქმეში.

ამ ათიოდე წლის წინად გადაწყდა ქ. სოხუმის სანაპირო ქუჩის გაგრძელება დასავლეთის მიმართულებით. მშენებლებმა ძეგლთა დაცვის ორგანოების შეთანხმებისა და ძეგლის სავალდებულო წინასწარი შესწავლის გარეშე დაანგრეს „სოხუმის ციხის“ ვალაყანი. აფეთქეს კოშკები და ბურჯები. ასფალტის ქვეშ მოაქციეს ვადარჩენილი ნანგრევები სებასტოპოლისისა და დიოსკურიასი. რამდენიმე წლის წინ ქალაქის მესვეურებმა აქ ასფალტი აყარეს და მონაკვეთის გამწვანებას შეუდგნენ. ძველი ქალაქის გრანდიოზული, მრავალფეროვანი ვალაყები გაიფუტდნენ. დიოსკურიისა და შემდეგ დროინდელი სებასტოპოლისის ნანგრევები თავს იცავდნენ. სწავლულთა კომისიის გადაწყვეტილების თანახმად საქართველოს მთავრობამ საჭირო თანხა გამოჰყო და იმავე წელს გაითხარა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქისა. კომისია მოითხოვდა აღმოჩენილ ძეგლთა დაცვას. მით უმეტეს. რომ ძველი კულტურის ძეგლთაგან ქ. სოხუმში ბევრი არაფერია სახანძრავად მომხადებული. სამწუხაროდ. შედეგი უნუგეშო გამოდგა: 2500 წლის შიდა ციხისა და სხვა ნაგებობათა ნაშთებს, ასევე ძველსა და უნიკალურ ქვას. კრამიტის გამოსაწვავ ქურასა და მრავალ ძეგლს. ბულდოზერით მიწა მიაყარეს, ყველა ასფალტი დაასხეს და ერთ ვიწრო ზოლად მწვანე ნარგავები გააყოფეს. ამით არ დამთავრებულა ძველი დიოსკურიის ტრაველია. გასულ წელს სოხუმის ციხის ზღვისპირა ნაწილის აფეთქების შემდეგ ვადარჩენილი ნაწილიც „აითვისეს“. მას კაფერესტორანი დაადგეს და თავის თავს იმით ინუგეშებენ, რომ ეს დაწესებულება საკმაოდ შემოსავლიანი გამოდგა. მას სახელად „დიოსკურია“ დაარქვეს. (!)

ოთქმის იგივე ოთქმის ბათუმის შესახებაც. სადაც ქალაქის ერთადერთ ისტორიულ ძეგლს ბათუმის ციხეს (თამარის ციხე) ნახევარი ჩამოთალეს და ზედ ისევ კაფერესტორანი დაადგეს. ნურავინ იფიქრებს, რომ ძეგლები მხოლოდ იმტომ უნდა დავიცვათ, რომ იგი ნაშთია, როგორც აღენიშნე. იგი თავის არსებობით დღევანდელიობას ემსახურება. მასში გამოხატული მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება ხალხისა. რაც დღეს სათანადოდ უნდა განეკეთებინათ.

მთელს მსოფლიოში ძეგლებს თვალისჩინივით უფრთხილდებიან. საბჭოელი და ფარდული — ისიც კი მოვლის ობიექტია. ჩვენ კი ყველგან არ ვიცავთ არქიტექტურულ ნაგებობათა კი.

«Литературная газета»-ში 1965 წლის 13 მაისის № 57 დაიბეჭდა წერილი «ნაკრძალია თუ ტურბაზა?» წერილს ხელს აწერენ ცნობილი რუსი მწერლები: ა. ახმატოვა, პ. ანტაკოლსკი, მ. დუდინი, ვ. კავერინი, ვ. კატაევი, ვ. პანოვა, ლ. პანტელეევი, ლ. რახმანოვი, ვ. შკლოვსკი, ი. გორდინი.

მწერლები აღშფოთებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ პუშკინის ნაკრ-



ძალიან განუზრახავთ ტურბაზის გახსნა და დასაბუთებელი იყო. რატომ ამ შეიძლება ამენდეს იქ ტურბაზაო.

იმავე გაზეთმა 17 ივნისს (№ 71) გამოაქვეყნა ფსკოვის საოლქო აღმასკონსტრუქციის მის თაემჭოდომარის კაბაკოვის წერილი, რომლითაც ატყობინებდა საზოგადოებას. რომ ტურისტული ბაზისა და კულტურულ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა პუშკინის ნაყრძალის საზღვართან აიკრძალა. ნაყრძალის ირგვლივ შექმნილია დაცვითი ზონა, სადაც აკრძალულია ხეების მოჭრა და ყოველგვარი მშენებლობა. ამ ზოლში აიკრძალა რაიმე შენობების აშენებაც და ძველის გადაკეთებაც.

ფრიად საყურადღებო შემთხვევაა და უუკველად მისაბძი. ჩვენც ხომ არ უნდა ვიზრუნოთ იმის შესახებ, რომ ასეთ ობიექტებთან ახლო აიკრძალოს რესტორნების მშენებლობა. ამბობენ ი. ჭავჭავაძის სახლისა და ზედაზნის მახლობლად რესტორნის მშენებლობას აპირებენო. უნდა დაუფიქრდეთ ამ საკითხს.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების საბჭო და მისი პრეზიდიუმი ყურადღებას აქცევდა საზოგადოების ფინანსიურ მდგომარეობას და სახსრების სწორად ხარჯვას.

სამინისტროს კომისიამ, რომელმაც მოიწონა საზოგადოების საქმიანობა და მთელი რიგი საქმიანი შენიშვნებიც გააკეთა. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნა, რამდენადაც იზრდება საზოგადოების საქმიანობა, იმდენად ფართოვდება სახსრების საჭიროება. ამისათვის მიზანშეწონილია მოხდეს ზოგიერთი საწარმოს გახსნა, რაც ხელს შეუწყობს, როგორც ძეგლების მოვლა-პატრონობის პოპულარიზაციის საქმეს, ისე მის ეკონომიურ განმტკიცებას. მაგრამ ამ საქმეს დიდი დაფიქრება და ორგანიზაცია, ფრიად სერიოზული მიდგომა სჭირდება.

მაგრამ ამ საქმიანობას ესაჭიროება რევიზია. ცაი ცდება ზოგჯერ ნებით თუ უნებლიედ და სარევიზიო კომისია ისეთ სიმაღლეზე უნდა იდგეს, რომ ასეთ შემთხვევაში წინ დროულად გადაუდგეს და შეაჩეროს, სწორად წარმართოს მუშაობა.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების დაარსებიდან არც ერთ წელს არ ყოფილა ფინანსიური გეგმის შესრულების ისეთი მაღალი პროცენტი, როგორც 1964 წელს.

1965 წლის I იანვრისათვის მიუხედავად ისეთი მაღალი გეგმისა, საერთო გეგმა შესრულებულია შესრულდა 104.2%/-ით. ნაცვლად 150.500 მანეთისა აკრფილია 159.470 მანეთი ე. ი. 9170 მანეთით მეტი, ხოლო პრეზიდიუმის გეგმა შესრულდა 104.6%/-ი, ნაცვლად 75523 მანეთისა, გადმორიცხულია 78.985 მანეთი, ე. ი. 3462 მანეთით მეტი.

კარგად იმუშავეს და მაღალი ფინანსიური მაჩვენებლებით დაამთავრეს გასული წელი თბილისის ყველა რაიონმა, აგრეთვე ახმეტის, ყაზბეგის. მაგრამ მე შეჩივრება ამ უკანასკნელს ეს ფულადი გეგმა არ შეესრულებინა და მის რაიონში ეს არ მომხდარიყო. მით უმეტეს, ყაზბეგის რაიონი ყველაზე საყვარელი ადგილია მოსულთათვის. მყინვარწყერის მიდამოებშია შექმნილი შესანიშნავი ლექსი: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან შემოესმა რეკვაო“, და მართ-



ლა. ცა ღრუბლებით რომ დაიფარება ხოლმე, ისე ისმის ზარის რეკავი თითქოს ციდან რეკავენო.

კარგად მუშაობენ გურჯაანის, ტყიბულის, ახალციხის, მცხეთის, გორის, კასპის, დღშეთის, ხაშურის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის და სხვა ორგანიზაციები. ჯერ მაინც ბევრია გასაკეთებელი. ბევრი ღირსშესანიშნავი ძეგლი ჩვენი და ჩვენი ძირეული ორგანიზაციების ყურადღების გარეშე დატოვებული. მაგალითად: ამას წინად ავიარე რამოდენიმე ხეობა და მათ შორის თეძაჰის და ქანის ხეობაც. ლარგვის მონასტერიც უნახე. ლარგვის მონასტერი. ციხე-კოშკი და სასახლე ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია ჩვენი წარსულისა, მაგრამ დღეს უპატრონოდ არის მიტოვებული. სამხრეთ ოსეთის საზოგადოებამ და ჩვენც ამ შესანიშნავ ძეგლს მეთი ყურადღება უნდა მივაქციოთ. რკონი ხომ უფრო მეტად შესანიშნავია. ჩამოღის წყალი, სველდება კედელი, ინგრევა. მარტო ერთმა მოხუცმა დარაჟმა, ალ. ჯანიაშვილმა, რა უნდა გააკეთოს.

მუშაობა საქმარისადაა ჩატარებული, მაგრამ არანაყლებ კიდევ მეტი გვაქვს გასაკეთებელი. მომავალი ჩვენი მუშაობის მთავარი ამოცანაა: გვეგზაობიერად წარემართოთ სარესტავრაციო სამუშაოები, შევაკეთოთ ღირსშესანიშნავი ძეგლები, გავშალოთ ავტიაცია და პროპაგანდა ხალხში, ისე რომ საქართველოში ყველა შეგნებული მოქალაქე იყოს წევრი ჩვენი საზოგადოებისა. წევრი მუშაობის. კულტურის ძეგლების დაცვის. მეთი ყურადღება მივაქციოთ ისეთ რაიონებს, როგორც არის ქვემო ქართლი, წალკა, ჭავჭავეთი, სადაც ყურადღება გულშემატკივრისა უფრო საჭიროა. ვიდრე სხვა რომელიმე რაიონში. გავშალოთ ჩვენი გამოცემები იმგვარად, რომ ისინი სახალისო გამოცემებად გადაიქცეს. გამოვეცთ ისეთი ჟურნალიც, რომელიც უფრო მისაწვდომი იქნება ფართო საზოგადოებისათვის. დიდი ტირაჟით ორ თვეში ერთხელ მაინც, ან შეიძლება თვეში ერთხელაც. ქალაქთა უბნების რეკონსტრუქციის დროს გავითვალისწინოთ ისტორიული წარსული და მთელი კომპლექსი პირობებისა. მშენებლობამ დაიცვას ისტორიული ძეგლი. არ დაანგრისო ან არ დაამახინჯოს.

აი, ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც ჩვენმა საზოგადოებამ უნდა გავითვალისწინოთ და ამით ხელი შეუწყოს ისეთ დიდ საქმეს. როგორც არის ჩვენი წარსულის დიდი მემკვიდრეობის დაცვა და მათი შენახვა ისე, რომ ეს დიდი მემკვიდრეობა ჩვეყენით თანამედროვე სოციალისტური საშობლოს სამსახურში.

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

მიღებული საპარტივლო სულბურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების
III ყრილობის მიერ

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების III ყრილობამ მოისმინა რა ანგარიში რესპუბლიკური საბჭოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ დიდი მუშაობა გასწია ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვის, შესწავლისა და პოპულარიზაციის მიზნით.

იბრძოდა რა ინდივიდუალურ წევრთა ზრდისათვის, თავის რიგებში აერთიანებდა რესპუბლიკის მოსახლეობის ყველაზე აქტიურ წევრებს, რომელთაც სურდათ მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოების ამოცანების გადაჭრაში.

დღეისათვის საქართველოში არ არის რაიონი, რომელშიც საზოგადოების წევრები მზრუნველ ხელს არ იწვდიდნენ ქართული კულტურის ძეგლების დაცვის მოვლა-პატრონობისათვის.

ამჟამად საქართველოში 4668 პირველადი ორგანიზაციაა, რომლებიც თავის რიგებში 350 000 წევრზე მეტს აერთიანებენ. ქართული ხელოვნების მრავალი ძეგლი ახლა პირველადი ორგანიზაციების მზრუნველობითაა მოსილი.

საზოგადოების საქმიანობაში ინდივიდუალურ წევრთა მიზიდვისა და მათთან ორგანიზებული მუშაობა კარგად წარმართეს საზოგადოების რაიონულმა საბჭოებმა. რომელთაც მკიდრო კონტაქტი აქვთ დამყარებული ადგილობრივ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებთან.

ასეთებია, ქ. თბილისის ყველა რაიონული ორგანიზაცია, საზოგადოების ქუთაისის, გორის, ჭიათურის საქალაქო საბჭოები, ახალქალაქის, გეგეჭკორის, გორის, ზუგდიდის, გურჯაანის, კასპის, მცხეთის, ჩოხატაურის, ცაგერის, წყალტუბოს, ხაშურის, სიღნაღის და სხვა რაიონები.

ყოველმხრივ ხელს უწყობდა რა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მატერიალური კულტურის ძეგლების გამოვლინებასა და დაცვას, აღდგენა-გამაგრებას და მეცნიერულ შესწავლას, საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ და პრეზიდიუმმა გარკვეული მუშაობა გასწია. ძეგლებს გამოვლინების მიზნით მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია ფშავ-ხევსურეთში, მოეწყო სევეტიცხოვლისა და თამარის ციხის მეცნიერული შესწავლისათვის არქეოლოგიური გათხრები.

სევეტიცხოვლის კარიბჭე აღდგენილია თავდაპირველი სახით, ზოლო ბათუმის ციხის გათხრებმა მრავალი საინტერესო მასალა მოგვცა ბათუმის ისტორიისათვის.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება ყოველწლიურად 50 000 მანეთს ხარჯავდა ქართული კულტურის იმ ძეგლების გამაგრება-კონსერვაციისათვის, რომელთაც დაღუპვა მოელოდათ. საზოგადოების სახსრებით შეკეთდა ძეგლები კახეთში, ზემოსვანეთში, ქართლში, რაჭაში და სხვაგან.



ამჟამად ამ ძეგლებზე მომარგებული არიან საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები. რომლებიც მათ მზრუნველობას არ აკლებენ.

ძეგლთა დაცვის საზოგადოების საბჭო და მისი პრეზიდიუმი საბჭოთა რად ეწეოდა კულტურის ძეგლების დაცვის პროპაგანდას. რაიონებში და პირველად ორგანიზაციებში იკითხებოდა ლექცია-მონხსენებები ქართული კულტურის ძეგლების შესახებ, მაღალკვალიფიციური მეცნიერების მიერ, აგრეთვე ადგილობრივ ლექტორთა ძალებით. საზოგადოების პრეზიდიუმი ბოლო პერიოდში აქტიურად ატარებდა კონფერენციებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ახალციხის რაიონში ჩატარებული გამსვლელი სამეცნიერო კონფერენცია. მოძღვნილი ქართული ხელოვნების ძეგლების 1000 წლისთავისადმი, ლენინის მატერიალური კულტურის ძეგლებისა და სხვა. საზოგადოების საქმიანობაში პროპაგანდის მიზნით ფართოდ იყო გამოყენებული პრესა, რადიო, კინო და ტელეგადაცემები.

საზოგადოების მიერ გამოიცა მრავალტირაჟიანი ფოტო-ილუსტრირებული ალბომები ე. მეღთათურის „ვარძია“, ვ. ცინცაძის „ბავრატის ტაძარი“, ლ. გოთუას „ჩვენი ჩუქურთმის თანამგზავრები“, რ. მეფისაშვილის „გელათი“ და სხვა.

ქართული კულტურის ძეგლებისა და საზოგადოების საქმიანობის პოპულარიზაციის საქმეში დიდ როლს ასრულებს კრებული „ძეგლის მეგობარი“, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე გამოდის. კრებულმა უმოკლეს დროში მკითხველთა აღიარება პოვა და აქტივთა ფართო წრე შემოიკრიბა.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების საბჭომ ბოლო წლებში ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერით ვაკის პარკისა და კუს ტბის მიდამოებში საფუძველი ჩაუყარა ქართული ხალხური ხელოვნების ძეგლებისა და ყოფის მუზეუმს.

მთუხედავად მიღწევებისა, საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოსა და პრეზიდიუმის მუშაობაში იყო ნაკლოვანებებიც, საზოგადოების საბჭოს სხდომები იწვეოდა არარეგულარულად. მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც თავს იდევ რესპუბლიკის საბჭომ და მისმა პრეზიდიუმმა, არ განხორციელდა. რატომღაც ჩაიშალა პლაკატის „ძეგლის მეგობარი“-ს შექმნა. საჭირო იყო მეტი კონტროლი და კონტაქტი იმ ორგანიზაციებთან, რომელთაც რაიმე ურთიერთობა აქვთ ქართული კულტურის ძეგლებთან.

საზოგადოების სამტრედიის, ლენტეხის, ფოთის და სხვა ორგანიზაციები აკლებად ზრუნავენ წლიური ფინანსური გეგმის შესრულებისა და საზოგადოების საქმიანობაში ინდივიდუალურ წევრთა მიზიდვისათვის. ადგილი ჰქონდა საზოგადოების სახსრების გაუმართლებელ ხარჯვასაც.

გამომდინარეობს რა ზემოთქმულიდან, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების III ყრილობა ადგენს:

1. დავალოს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონულ, საქალაქო და საოლქო საბჭოებს იბრძოლონ ინდივიდუალურ წევრთა ზრდისათვის. თავის რიგებში გააერთიანონ რესპუბლიკის მოსახლეობის ყველაზე აქტიური წევრები. რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების ამოცანების გადაჭრაში.

საზოგადოების ინდივიდუალური წევრი აქტიურ მონაწილეობას უნდა



იღებდეს საზოგადოების საქმიანობაში, ქართული კულტურის ძეგლების მფარველობის, პოპულარიზაციისა და შესწავლისათვის.

2. დაევალოს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებრივ-რესპუბლიკურ საბჭოს და მის პრეზიდიუმს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვას, აღდგენა-გამაგრებასა და მეცნიერულ შესწავლას.

გვეგმაზომიერად ეწყობოდეს სათანადო სამეცნიერო ორგანიზაციებთან ერთად ნაკლებად ცნობილი და შეუსწავლელი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების გამოვლინება, შესწავლა-ფიქსაცია.

მეტი საზოგადოებრივი კონტროლი დაწესდეს იმ ორგანიზაციებთან, რომლებსაც სამსახურებრივად რიგზე კავშირი აქვთ მატერიალური კულტურის ძეგლებთან და იჩენენ მათდამი უდიერ დამოკიდებულებას.

მეტი ყურადღება მიექცეს მატერიალური კულტურის ძეგლების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების შესრულების ხარისხს და მეცნიერულ დონეს.

3. დაევალოს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს სისტემატურად ეწეოდეს კულტურის ძეგლთა დაცვის პროპაგანდას, გამოსცეს მეცნიერული და სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურა, ფოტო-ილუსტრირებული ალბომები, პლაკატები და ღია ბარათები, მოაწყოს გამოფენები ძეგლებზე, ჩაატაროს ლექციები, კონფერენციები, საზოგადოების აქტივისათვის ტარდებოდეს სემინარები ადგილობრივი მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ. ეწყობოდეს კონკურსი მოწინავე პირველადი ორგანიზაციების გამოვლინების მიზნით.

4. ყრილობა იწონებს რა საზოგადოების საბჭოს ინიციატივას, საზოგადოების სამეცნიერო-პოპულარული კრებულის „ძეგლის მეგობარი“ — გამოცემის, შესახებ, მასვე ავალდებს მეტი ყურადღება მოაქციოს მის სისტემატურ, მალაქხარისხებზე და მეტი ტირაჟით გამოცემას.

5. საზოგადოების III ყრილობა მოწინებით ხვდება თბილისში ქართული ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის შექმნას. ავალდებს რესპუბლიკურ საბჭოს კალენდარულ ვადებში ჩაატაროს სამუშაოები, ისე, რომ მუზეუმის პირველი რიგის სამუშაოების გახსნა მოხდეს 1966 წლის სექტემბერში, გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის 800 წლისთავისათვის.

ყრილობა მოუწოდებს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონულ, საქალაქო, საოლქო და პირველად ორგანიზაციებს, აგრეთვე საზოგადოების თვითოივლ წევრს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქართული ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის შექმნის საქმეში.

6. დაევალოს საზოგადოების პირველად, რაიონულ, საქალაქო და საოლქო ორგანიზაციებს კულტურის ძეგლთა დაცვა-პატრონობის გაუმჯობესების მიზნით, ძეგლების აღდგენა-გამაგრება და შეკეთებაზე ადგილებზე დაწესდეს მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლი.

7. დაევალოს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს ხელი შეუწყოს საწარმოების გახსნის დაჩქარებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ კულტურის ძეგლების უკეთ დაცვას. პოპულარიზაციას, აღდგენა-გამაგრებით და მეცნიერულ სამუშაოების ჩატარებას.

8. ამ ღონისძიების შესრულების შემოწმება ხდებოდეს პერიოდულად.

პრეზიდენტის წამრების სია

1. აბაშიძე ირაკლი ბესარიონის ძე — პოეტი-აკადემიკოსი (პრეზიდენტის თავმჯდომარე)
2. ამირანაშვილი შალვა იასონის ძე — აკადემიკოსი
3. აფაქიძე ანდრო მელიტონის ძე — პროფესორი (თავ-რის მოადგილე)
4. ბერიძე ვახტანგ ვუკოლის ძე — პროფესორი (თავ-რის მოადგილე)
5. ბოლქვაძე ლამარა ჭეფერის ასული — ვპარის ასსრ კულტურის მინისტრი
6. გაფრინდაშვილი გივი მიხეილის ძე — არქიტექტურის მეცნ. კანდიდატი
7. გოთუა ლევან პართენის ძე — მწერალი
8. დოლიძე ისიდორე სამსონის ძე — აკადემიკოსი
9. დურმიშიძე სერგო ვახილის ძე — აკადემიკოსი
10. ზაქარიაშვილი ირაკლი დავითის ძე — საზოგადოების სწავლული მდივანი
11. თაქთაქიშვილი ოთარ ვახილის ძე — საქ. სსრ კულტურის მინისტრი
12. კანდელაკი თეიმურაზ შალვას ძე — კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოს უფროსი — (თავმჯდომარის მოადგილე)
13. კეცხოველი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე — აკადემიკოსი (თავ-რის მოადგილე)
14. კოკოვეი ივანე ულიოზის ძე — სამხრეთ ოსეთის სო კულტურის სამმართველოს უფროსი
15. სოხაძე კონსტანტინე ალექსანდრეს ძე — პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილე
16. ფაჩულია ვიანორ პანჯოს ძე — საზოგადოების აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე
17. ცინცაძე ვახტანგ გერონტის ძე — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი
18. ჭიბლაძე გიორგი ნიკოლოზის ძე — აკადემიკოსი
19. ჩუბინაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე — აკადემიკოსი

სარევიზიო კომისია

1. ცინცაძე იასე ზაქარიას-ძე — პროფესორი (თავმჯდომარე)
2. ყურაშვილი გიორგი გაბრიელის-ძე — თადარიგის გენერალი (მოადგილე)
3. სიმონიშვილი სიმონ მიხეილის-ძე — ეკონომისტი
4. კიკნაძე პავლე ვიქტორის-ძე — კულტურის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე
5. ნიკოლაიშვილი მიხეილ ვახილის-ძე — საზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე
6. ხახუტაიშვილი დავით აბმედის-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი
7. რობაქიძე ალექსი ივანეს-ძე — პროფესორი

რედაქციონისგან: „ქველის მეგობრის“ მე-2 ნომერში მოთავსებული იყო ცნობა ძველთა დაცვის II საერთაშორისო კონგრესის შესახებ, რომელიც მიმდინარეობდა ვენეციაში 1964 წლის 25—31 მაისს. „ქველის მეგობრის“ მე-5 ნომერი უკვე წარმოებაში იყო, როდესაც კონგრესის მონაწილეთა გადმოგვცემა ამ კონგრესის მიერ მიღებული ქართის ტექსტის თარგმანი რუსულ ენაზე, კინაღამ ქართია მნიშვნელოვანი დოკუმენტია ევლტერის ძველთა შეცნობით დაცვის საქმეში, ორიგინალის უქონლობის გამო და დაყოვნების თავიდან ასაცილებლად, ვაჭვევებთ მის თარგმანს რუსულიდან ქართულ ენაზე.

3. ციხიბაძე

საერთაშორისო მარბინ ძაღლთა დაცვისა და რესტავრაციის შესახებ

მიღებულია არქიტექტორთა და ისტორიული ძეგლების სპეციალისტთა

II საერთაშორისო კონგრესის მიერ.

ვენეცია, 25 — 31 მაისი, 1964 წ.

ესა თუ ის მონუმენტალური ქმნილება, რომელიც ხალხთა წარსული ევლტერის ანარქულს წარმოადგენს, დღესაც ცოცხალი ორგანიზმია — იგი საუკუნოვანი ტრადიციების ცოცხალი მოწმეა. კაცობრიობა დღითიდღე სულ უფრო და უფრო რწმუნდება იმაში, რომ ისტორიული ძეგლი საერთო ღირებულებას, საერთო მემკვიდრეობას წარმოადგენს. ყოველი ისტორიული ძეგლის დაცვისა და შენარჩუნებისათვის ყველა ერთნაირადაა პასუხისმგებელი და ამიტომ უოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ეს მემკვიდრეობა სახეზეუცვლელად და მთელი თავიან ბრწყინვალეობით გადავცეთ მომავალ თაობებს.

მის შემდეგ, რაც საერთაშორისო ხაზით შემუშავებულ იქნა ძირითადი პრინციპები, რომელთაც უნდა დაფუძნებოდა ძველთა კონსერვაციისა და რესტავრაციის საქმე, მთი უოველი ერი იცავს თავისი ევლტერისა და ტრადიციების თავისებურებათა შესაბამისად.

პირველად ეს პრინციპები ჩამოყალიბდა 1931 წელს, ათენის ქარტიის სახით. მან დღიად შეუწყო ხელი ფართო საერთაშორისო მოძრაობის განვითარებას — გამოქვეყნდა არა ერთი ნაციონალური დოკუმენტი, მუშაობა გააახლა იუნესკომ, შეიქმნა ძველთა კონსერვაციისა და რესტავრაციის შემსწავლელი საერთაშორისო ცენტრი რომში.

კრიტიკული აზრი ამა თუ იმ პრობლემას მუდამ მეტ პრაგმატუროვნებასა და მეტ კომპლექსურობას შატებს; ამასთან უკვე დროულია, გადაისინჯოს ათენის ქარტიის პრინციპები, გაღრმავდეს და გაფართოვდეს ეს დოკუმენტი და, ამრიგად, შეიქმნას ახალი ქარტია.

შესაბამისად ამისა, არქიტექტორთა და ისტორიული ძეგლების სპეციალისტთა II საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც ვენეციაში შეიკრიბა 1964 წლის 25 — 31 მაისს, მოიწონა შემდეგი ტექსტი:

გ ა ნ ს ა ზ ლ რ ე ბ ა

1. ისტორიული ძეგლის ცნება მოიცავს როგორც ცალკეულ არქიტექტურულ ნაწარმოებს, ასევე ქალქისა და სოფლის ლანდშაფტს, რომელიც განსაკუთრებული, იგიზომოფი ევლტერის დამადასტურებელია, განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპის თუ ისტორიული მოვლენის ამჟამად მოწმეა. ცნება — ისტორიული ძეგლი, ველისხმობს არა მარტო უნიკალურ ძეგლებს, არამედ უბრალო, თითქოსდა რიგითს, ნაწარმოებებსაც, რომლებიც კარგად ასახავს თავის ეპოქას და რომელთაც გარკვეული ევლტერული მნიშვნელობა აქვს.

2. ძველთა კონსერვაცია და რესტავრაცია სამეცნიერო დისციპლინაა; იგი იშველებს ყოველი მუცნიერებისა და ყოველი სპეციალისტის ყველა იმ გამოცდევას, რაშიც შეიძლება ხელი შეუწყოს ევლტერული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის საქმეს.

3. ძველი კონსერვატია და რესტავრაცია მიზნად ისახავს დაიკვას როგორც ხელოვნობები, ასევე ისტორიული ღირებულებები.

კონსერვატია

4. ძველის კონსერვატია, პირველ ყოვლისა, გვაუბლებს მის დაცვასა და მის ყოველ-დღიურ მოვლა-პატრონობას.

5. ძველის კონსერვატია ხელს უწყობს მათი საზოგადოებრივი სპირიტუალისთვის გამოყენებას; ე. ი. ასეთი გამოყენება დასაშვებია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაემატებინათ (თუ შევცდებით) შენობის აგებულება ანდა დეკორი.

6. ძველის კონსერვატია ძველთან დაკავშირებულ გარემოსაც გულისხმობს. თუ არსებობს ტრადიციული გარემო, იგი უნდა შეინარჩუნეთ და ყოველგვარი ახალი მშენებლობა, ყოველგვარი დანა და გადაკეთება, რამაც შეიძლება დაამახინჯოს ძველის სახე, აკრძალულია.

7. ძველი განუყოფელია ისტორიისაგან, რომლის მოწვევ არის იგი, და იმ გარემოებისაგან, რომელშიაც ისა ჩართული. მთელი ძველის ანდა მისი ნაწილის გადატანა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ძველის გადარჩენის საქმე მოითხოვს, ანდა მაშინ, როცა ეს გამართლებელია გარკვეული საციონალო თუ საერთაშორისო მოსაზრებებით.

8. ქანდაკების, მხატვრობის თუ დეკორატიული მორთულობის სხვა რაიმე ელემენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაემატოს ძველს, თუ ეს ერთადერთი გამოსავალია მისი კონსერვატიისათვის.

რესტავრაცია

9. რესტავრაცია — ეს არის სამუშაო, რომელსაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა მივმართო. მისი მიზანია ძველის ისტორიულ და ესთეტიკურ ღირებულებათა კონსერვატია და აღდგენა. იგი შედამ ანკარის უნდა უწყევდეს ძველის ძველ ფიქს და შედამ უნდა ემყარებოდეს აუთენტიკურ დოკუმენტებს. რესტავრაცია უნდა შეწყდეს იმ, სადაც ჩნდება პაპოთუხა; გამოჩაღისთა ამ შემთხვევაში ყველა ის სამუშაოები, რაც აუცილებელია არქიტექტურული კომპოზიციის აღსადგენად. ყოველგვარი დანამატი ჩვენი დროის დაღს უნდა ატარებდეს.

10. რამდენადაც ტრადიციული ტექნიკა ხშირად არაა ადეკვატური, უნდა მივმართო კონსერვატიისა და მშენებლობის ყველა თანამედროვე ტექნიკას; ეფექტურობა დასაბუთებელი იქნება შეცნობების მონაცემებით, ხოლო მისი უზრუნველყოფა ცდების საშუალებით.

11. უნდა გაუფრთხილდეთ ყოველი ეპოქის ყველა იმ დანამატს, რომელიც ძველს მოხვდა დღემდე. ამიტომაც რესტავრაციის პროცესში შეტყობებულია მიზნად დავისათვის ერთიანი სტილის დაცვა. რამდენადაც ყოველ ნაგებობაში შესაძლოა იყოს რამოდენიმე ფენა, მათი მოშორება ქვედა ფენისაგან შესაძლებელია მხოლოდ გამოჩაღისის სახით და იმ პირობით, თუ ეს უნდა ფენები ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუ კომპოზიცია, რომელიც ჩვენ მიერ ჩატარებელი სამუშაოების შედეგად არის შექმნილი. საილად დაგვიჩვენებს ისტორიულ, არქეოლოგიურ და ესთეტიკურ ღირებულებათა მაღალ დონეს და თუ ამ კომპოზიციის კონსერვატია საკმაოდ იქნება განწყობისთვის, საკითხის გადაწყვეტა ამ შემთხვევაში — ელემენტების ღირებულებისა და ფენების (პერატიული) დამორების შესახებ — არ შეიძლება პროექტის ერთ ავტორს მივართო მხოლოდ.

12. ის ელემენტები, რომელნიც ნაგებობის ნაკლები ნაწილებითაა გათავალისწინებული, სრულ პარპონისში უნდა იყოს მთელ ანსამბლთან და ამავე დროს მკვეთრად უნდა გამოირჩეოდეს ძველი ნაწილებისაგან — რესტავრაციამ არ უნდა გააყუბოს ისტორიისა და ხელოვნების ღირებულებები.

13. ნაგებობის დასრულება დასაშვებია, თუ შენარჩუნებული იქნება ყველა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, და თუ ის არ დაარღვევს მთელი კომპოზიციის ისტორიულ საზღვრებს და ძველის კომპონს მთელ გარემოსთან.



ქალაქის ცენტრის ძეგლები

14. ქალაქის ცენტრი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს — მისი მთლიანობის, მისი გეგმარების დაცვა, ზრუნვა მისი გაანსაღებისათვის და მისი ექსპლუატაციისათვის, ყველა საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაო, რომელიც ქალაქის ცენტრშია გათვალისწინებული, უნდა ემყარებოდეს იმ პრინციპებს, რომლებიც წინა პარაგრაფებში იყო გამოთქმული.

გ ა თ ხ რ ე ბ ი

15. გათხრობი სამუშაოები უნდა განხორციელდეს იმ სამეცნიერო ნორმებისა და რეკომენდაციების მიხედვით, რომლებიც იენესკომ მიიღო 1956 წელს „რომლებიც საფუძვლად დაედო არქეოლოგიური გათხრობის სამუშაოების საერთაშორისო პრინციპებს“.

საქირია უზრუნველყოთ ნანგრევების მოწესრიგება, მათი კონსერვაცია; ადგილებზე არქიტექტურული ელემენტებისა და აგრეთვე გათხრის შედეგად გამოვლენილი ყველა სხვა საგნის მუდმივი დაცვის ორგანიზება.

საქირია აგრეთვე განეზარტოთ ძეგლის მნიშვნელობა, მისი მოვლა-პატრონობისა და დაცვის ადგილებლობა.

მაგრამ უოველგვარი სამუშაო რეკონსტრუქციის ხაზით გამოიყენებული უნდა იყოს; შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ანსტილოზი, ე. ი. ქერ კიდევ არსებული, მაგრამ გათიშული, ნაწილების შეერთება-შეკავშირება.

პ ე ბ ლ ი ა ც ი ა

16. საკონსერვაციო, სარესტავრაციო და გათხრობის სამუშაოებს მუდამ თან უნდა ახლდეს ზუსტი დოკუმენტაცია — ნახატებითა და ფოტოსურათებით ილუსტრირებული ტექსტი, რომელშიც გაანალიზებულია მთელი ეს მასალა, განშრევების, გამაგრების, შეერთების, დანამატა სამუშაოების ყველა ფორმა, ისევე, როგორც ტექნიკური ელემენტები და ის ფორმები, რომლებიც ორიგინალის განმეორებითაა შექმნილი — ყველაფერი ეს ამ ტექსტში უნდა იყოს ასახული. ყველა ეს დოკუმენტაცია უნდა გადაეცეს საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და არქივებს და ყოველი მათგანი ზელმისაწვდომი უნდა იყოს მკვლევართა და მეცნიერთათვის. რეკომენდებულია მათი პუბლიკაცია.

ძეგლთა კონსერვაციისა და რესტავრაციის საერთაშორისო ქარტის სარედაქციო კომისიამ შედიოდა: პიერო გაკოლა (იტალია) — თავმჯდომარე, რაიმონ ლემერი (ბელგია) — მომხსენებელი, ბასეგოდა ნონელი (ესპანეთი), ბენავენტე ლუისი (პორტუგალია), ბოჩკოვიჩ ქერკე (იუგოსლავია), დაიფუტე ხირობი (იენესკო) და სხვ.

ბასარიონ ჯორბანაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის,
 არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
 ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

ბასსულაღი სსიპ ბერჯანეთი

საყოველთაოდ ცნობილია კახეთის უძველესი ტაძრები, ციხე-სიმაგრეები, ნაქალაქარები და ამ ბოლო წლებში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები.

გურჯაანის რაიონის სიძველეთა დაცვის საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მეზუემი (დირექტორი შ. უზუნაშვილი), რომელიც 1962 წელს დაარსდა.

1965 წლის 1—2 ივნისს გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მეზუემმა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა მოაწყვეს გაერთიანებული პირველი სამეცნიერო სესია, მიძღვნილი კახეთის მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლისადმი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მეზუემის მეცნიერ-მუშაკებმა, კახეთის რაიონების წარმომადგენლებმა, მხარეთმცოდნეობის მეზუემის თანამშრომლებმა, გურჯაანის რაიონის ფართო საზოგადოებამ.

სესია შესავალი სიტყვი გახსნა გურჯაანის რაიონისკომის კულტურის განყოფილება გამგემ, ძეგლთა დაცვის საზოგადოების გურჯაანის რაიონბჭოს თავმჯდომარემ გ. ოქროშიძემ.

მისმენელი იქნა შემდეგი მოხსენებები: გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მეზუემის დირექტორის შ. უზუნაშვილის — „გურჯაანის რაიონის მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვა-შესწავლის ზოგიერთი საკითხი“, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატების ე. ჩილოყაშვილის — „კახეთის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა“, დ. თუშაბრაშიშვილის — „ადამიანის წარმოშობისა და განსახლების საკითხისათვის საქართველოში“, ნ. ბერაძენიშვილის — „ქვეს ხანის ადამიანის პირველი ნაკვალავის აღმოჩენა გურჯაანის რაიონში“, ე. ფიცხელაურის — „ძველი წელთაღრიცხვა პირველი ათასწლეულის პირველი სახეობის საცდლო ტაძარი სოფ. მელაშიდან“, ლ. კილაშვილის — „ქალაქური ტიპის უძველესი ხაშისახლარები გურჯაანის რაიონში“, ზელოვნებათმცოდნეობის დოქტორის პ. ზაქარაიას — „თავდაცვითი ღონისძიებანი მე-18 საუკუნის კახეთში“, ენციკლის მეცნიერ თანამშრომლის შ. დედაბრიშვილის — „ბრინჯაოს ხანის ადრეული ძეგლები კახეთიდან“, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის რ. რამიშვილის და ენციკლის მეცნიერ-თანამშრომლის ბ. ჯორბანაძის — „ერწის ველის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები“.

თავიანი გამოხსენებები პროფესორებმა ვ. დუნდუამ და ა. აფაქიძემ ილაპარაკეს კახეთის ისტორიული წარსულის შესწავლის მნიშვნელობაზე.

სესიასთან დაკავშირებით გამოიცა წაკითხული მოხსენებების მოკლე შინაარსი.

დასასრულ ნაშენები იქნა დოკუმენტალური ფილმი „ქართველები ფერადანში“.

სესიის მონაწილეებმა დათავალურეს გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მეზუემში საგანგებოდ მოწყობილი არქეოლოგიური გამოფენა და კახეთის მატერიალური კულტურის ძეგლები.

ამ ერთობლივმა სესიამ დიდი ინტერესი გამოიწვია გურჯაანის მშრომლებში და სასტრუქციული მისი ტრადიციულად ქვევა, რაც ზელს შეეწყობს კულტურის ძეგლების დაცვის საქმეს და შემოხვევითი არქეოლოგიური მონაბოყების მოვლა-პატრონობას.

საზოგადოების წალკაში რაიონული საბჭოს
 მუშაობისა და ამოსახვევის შესახებ

წალკაში რაიონი მდიდარია ისტორიული ძეგლებით: ერთ-ერთი დიდძალი ძეგლია ძველი რომელიც ჩვენს რაიონში შემონახული და „ციხე-დარბაზის“ სახელს ატარებს — ავეზურის სოფელ გავთოში.

გავთოს „ციხე-დარბაზის“ შესწავლა მრავალჯერ ხდებოდა, მაგრამ მისი სრულყოფილად შესწავლისა და მისი დაცვის უზრუნველსაყოფად ფართო მასშტაბის სამუშაოები 1953 — 1957 წლებში შესრულდა. ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ცინციძის მეორე დროიდან განხორციელდა მისი გაწმენდის, აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები და ეკუთვნის დონისძეობას.

ასევე აღსანიშნავია სათაფლას გამოქვაბული, რომელიც მდიდარია ფლორითა და ფუნჯით, კარგული გამოქვაბულები და წარსულში ამოწმადარი ცხოველების დინოზავრის ნაკვალევი, რამაც ფართო გამოხატულება პლავა თანამედროვე მეცნიერებებში.

რაიონში არის მუხაკეციხის ისტორიული ძეგლები: ქვილიშორის ციხე, ზარათის ეკლესია — წმინდა გიორგის, სოფელ წყაღების ციხე „ნაკიხვარი“, ხომელის გოგოლის ციხე, გავთოს კარის ეკლესია, იაშვილების კოშკი, გუმათის ასათიანების კოშკი, დერჩის ისტორიული ძეგლი და მრავალი სხვა.

აღნიშნული ძეგლების მოვლა-პატრონობაზე აღებული აქვს შეფოხა: მაგალითად: ქვილიშორის შუა საუკუნეების ციხეს მოსაველად გამოჩენებული ჰყავს ქვილიშორის რაქალაში სკოლის მოსწავლეებს და წალკაში სასოფლო ბიბლიოთეკის გამგეს ლ. გუგუშვიც, სოფელ ხომელის გოგოლის ციხეს შეფოხა უწევს ხომელის რაქალაში სკოლის მოსწავლეები, სოფელ გუმათის ასათიანების კოშკს — ოფერჩხეთის საშუალო სკოლა და გუმათის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე ლ. ბაქრაძე. ზემოთ აღნიშნული სკოლის მოსწავლეები დიდი მონაწილეობით გვიღებთან ისტორიული ძეგლების ეზოებში სანიმუშო სისუფთავისა და წესრიგის დაცვას გასულ წელს ექვეყნებ მთაწვეთს მებათობა.

ხელშეწყობილი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ასეთი მზრუნველობის პირობებში ეს ისტორიული ძეგლები კვლავ გაუფლებს მრავალ საუკუნეს.

ძეგლების მოსაველად და სარესტავრაციოდ დიდ შემოაბას ეწევა საქართველოს სსრ ელტერის სამინისტროს სახელით ხელოვნებისა და ძეგლის დაცვის სამმართველო.

დიდი შემოაბა ჩატარა ელტერის სამინისტროს სახელით ხელოვნებისა და ძეგლის დაცვის სამმართველომ გავთოს ციხე-დარბაზის აღდგენისათვის, 1965 წელს გათვალისწინებულია რაიონის ელტერის ძეგლების რეკონსტრუქცია და ეთილმოწყობისათვის დაიხარჯოს 5.000 მანეთი.

ჩვენი რაიონის აღმნიშნული პარტიული ეკუთვნის თვის წინაპართა შემოქმედებისა და გმირული შრომის ნაყოფს — მატერიალურ ელტერის ძეგლებს.

რაიონის ელტერის ძეგლის დაცვის საზოგადოებაში 124 პირველადი ორგანიზაციაა, რომელშიც გაერთიანებულია 8000 წევრი. აქედან 38 პირველადი ორგანიზაცია შექმნილია საშუალო და რაქალაში სკოლებში. 1965 წელში პირველად ორგანიზაციებს გაეზრდათ 140-მდე, წევრთა რაოდენობა მიადევნებს 9000 კაცს.

ძეგლის დაცვის რაიონულ საზოგადოებაზე 1964 წ. საფინანსო გეგმა დაწესებული იყო 2000 მანეთი, რომელიც გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

აღსანიშნავია ზოგიერთი ორგანიზაცია, რომლებმაც პირნაოლად შესარტლეს დაიკრებულა ვალდებულებები, როგორცაა: წყაღებისა და ოფერჩხეთის ჩაის ფაბრიკები, წყაღების სატყეო მეურნეობა, წყაღებისა და პარტიკეთის სოფლის კოლბრატევი, ქვეტირის, დღნარისის, მუხანის, ოფერჩხეთის, საყელიის და რაიონის საშუალო სკოლები, მექვერის, სორბონის, ქვილიშორისა და ტუაბის რაქალაში სკოლები, საყელიის, ცხენკრის, ფარცხანაყანეის კოლმეურნეობები, ქვეტირის საბჭოთა მეურნეობა და სხვა პირველადი ორგანიზაციები, რომლებმაც ვალდებულად შესარტლეს საწევრო ანარქების გეგმა.



1964 წლის 1 იანვრიდან 1965 წლის 1 იანვრამდე ელტერის ძეგლია დაეცის საზოგადოების რაიონული საბჭოს სხდომა მოწვეულია 10-ჯერ, რომელზედაც განხილულია 16 საკითხი. გარკვეული შემთხვევა აქვს ჩატარებული საზოგადოებას ლექციების, პრესისა და სხვა სახის შეხვედრებით. 1964 წლის 1 იანვრიდან დღემდე ელტერის ძეგლია დაეცის საზოგადოების ხაზით წაკითხულია 46 ლექცია, ჩატარებულია 36 დოკუმენტალური კინო-ფილმის ჩვენება, მოწოდებულია ექსკურსიები: გელათში, სათაფლიას გამოქვაბულში, ბაგრატიის ნანგრევებზე და გვეთის ციხე-დარბაზში.

საქართველოს ელტერის ძეგლია დაეცის საზოგადოების პრეზიდიუმმა 1964 წ. 8 კაცი-შიაველინა ქ. ბაქოში, რომელიც მიზნად ისახავდა გაეცნობოდიო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ მატერიალური ელტერის ძეგლებს. ამ ექსკურსიის ერთ-ერთი მონაწილე მეც კეყელი, რამაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემში. კარგი იქნება თუ კიდევ უფრო გაფართოვდება ექსკურსიების მოწვევა მომავალ რესპუბლიკებში.

1965 წელს გათვალისწინებული გეგმის საზოგადოების პირველად ორგანიზაციებში ჩვენ-ტარით 60 ლექცია, 46 დოკუმენტალური კინო-ფილმი. მოვაწყეთ ექსკურსიები აფხაზეთისა და აჭარის ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად. უოველრეც ეს დიდად შეუწყობს ხელს არსებული ისტორიული ძეგლების გაცნობას, მათ აღდგენასა და მოვლა-პატრონობას.



А Н Н О Т А Ц И И :

В. В. БЕРИДЗЕ

Зам. директора Института истории грузинского искусства

**Г. Н. ЧУБИНАШВИЛИ И ВОПРОСЫ ОХРАНЫ И ПОПУЛЯРИЗАЦИИ
ПАМЯТНИКОВ ГРУЗИНСКОЙ КУЛЬТУРЫ****(К 80-летию акад. Г. Н. Чубинашвили)**

В статье освещена деятельность выдающегося грузинского ученого, основоположника грузинской искусствоведческой науки, директора Института истории грузинского искусства, акад. Георгия Николаевича Чубинашвили в области охраны и популяризации памятников грузинской материальной культуры. С 1921 года, после установления Советской власти в Грузии, когда государство взяло на себя дело охраны памятников, Г. Н. Чубинашвили стал одним из самых деятельных участников и руководителей собирания произведений грузинского искусства, охраны памятников архитектуры, их научной реставрации, организации музейного дела и научных выставок древнегрузинского искусства в целом (напр. в го-

родах Германии в 1930 г.), выставок древнегрузинской архитектуры, средневековой грузинской чеканки и др. Работа в этой области и по сей день занимает большое место в обширной, многогранной деятельности Г. Н. Чубинашвили, являющегося бессменным членом научно-методического совета по охране памятников культуры при Президиуме Академии Наук Грузии и членом Президиума Грузинского общества охраны памятников культуры. Помимо научно-организационной работы, большое значение имеют научно-популярные лекции Г. Н. Чубинашвили, способствующие широкому внедрению знаний в области истории искусства и, в частности, истории грузинского искусства.

Г. Н. ЧУБИНАШВИЛИ

Академик АН ГССР

К ВОПРОСУ ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ДРЕВНОСТИ В СВАНЕТИИ

В Сванетии, в исторической провинции Грузии, сохранилось множество памятников искусства: украшенных рукописей, чеканки, эмалей, гемм, изделий из слоновой кости, ху-

дожественных тканей — памятников как местной работы, так и изготовленных вообще в Грузии, а также привезенных из Сирии, Византии, Ирана и Зап. Европы. Большой час-

тью они находятся в открытых сельских церквях и у частных лиц.

Поскольку есть примеры утери некоторых предметов, в статье предлагается создать в нескольких пунктах

района специальные временные пункты приема для сбора этих произведений искусства и последующей их передачи в музей Местии, к окончательному хранению и обработке.

М. И. БЕЦХОВЕЛИ

Искусствовед

ХУДОЖЕСТВЕННЫЕ ТКАНИ ИЗ СВАНЕТИИ

Статья касается художественных средневековых тканей Сванетии, хранящихся в Институте истории грузинского искусства. Несмотря на фрагментарность этих тканей, автору удается воссоздать первоначальный вид их, а также выявить их на-

значение и дать художественную оценку.

Автор ставит вопрос о сборе и музейной охране тех фрагментов тканей, которые и сейчас находятся в сельских церквях Сванетии.

В. И. ГАМРЕКЕЛИ

Кандидат исторических наук

ДВАЛЕТСКИЕ ВОРОТА ЦЕНТРАЛЬНОГО КАВКАЗА

За исходный пункт разысканий автора послужили исторические сообщения о заградительных сооружениях на севере Двалетии. На основании непосредственного знакомства с самими ущельями, в статье обстоятельно описаны сохранившиеся фрагменты укреплений в Кассарском ущельи (на р. Ардон) и в Хилакском ущельи (на р. Фиагдон). Они представляли собой некогда связанные сооружения стен и башен, заграждавших на всю ширину вышеуказанные ущелья.

В итоге своих изысканий, автор устанавливает на одной географической широте линию фортификационных сооружений: 1. На р. Терек — Дарьяльскую крепость и стену, 2. В верховьях р. Фиагдон — в Хилакском ущельи — две заградительные стены с башнями, 3. На р. Ардон — в Кассарском ущельи — стену и башни (Кассарские ворота). Строители удачно использовали оро-гидрографические особенности местности.

Р. С. МЕПИСАШВИЛИ

Кандидат искусствоведения

РЕЛЬЕФЫ КОРОГО СО СЦЕНАМИ СТРОИТЕЛЬНЫХ ПРОЦЕССОВ

В Душетском районе, историческом Мтиулети, на окраине сел. Ко-

рого возведена церковь и башня рядом с ней. Вдоль всего карниза за-



надного фасада церкви имеем ряд скульптурных сцен, изображающих отдельные моменты строительства: теска камня, перевозка камня на санях или перенос на спине и др. Рельефы эти, повествующие об усердной работе строителей, характеризуются большой выразительностью, стремлением правдиво передать сюжеты, отображающие действительность.

Наряду с фигурами непосредственных строителей имеются, как на карнизе, так и на канители, нише не существующего портика, изображения

заказчиков, представителей высшего сословия.

Подобная сюжета изображений, держащих процесс строительства, нам более не известна. Рельефы Которого дают ценные данные не только относительно строительного искусства Грузии X века, но и драгоценный материал по вопросу социальных отношений в Мтиулетии того времени.

Этот уникальный памятник находится в опасном состоянии. Необходимо его серьезное укрепление, чтобы спасти от грядущего разрушения в скором времени.

В. О. ДОЛГДЗЕ

Кандидат искусствоведения

Ш А Т И Л И

В статье говорится об одном из горных районов северной окраины Грузии — Хевсурети, укрепленном селе Шатили, являющемся важным объектом для изучения различных вопросов организации поселения и форм народного жилища. Основная древнейшая часть Шатили застроена на скалистом мысу, выступающем к югу востоку там, где «сливаясь шумят» бурная река Аргуни и всегда прозрачная речка Митхури Цкали. Извилистые ущелья этих рек как бы врезаются в сомкнутый горам котлован, в центре которого, на высоком мысу, возвышается Шатили.

В течение веков Шатили надежно

охранял северные подступы Грузии. Свое стратегическое значение он сохранил даже в наши дни: В годы Великой Отечественной войны здесь стоял гарнизон Советских войск, готовых подавить возможное продвижение противника с Северного Кавказа.

В последнее время, в связи с переселением шатильцев в Самгори, Шатили опустел и без примотра быстро подвергается разрушению. Этот великолепный образец грузинского народного зодчества может скоро погибнуть, если не будут неотложно приняты меры для его сохранения.

З. П. МАНСУРАДЗЕ

Кандидат искусствоведения

К ВОПРОСУ ОХРАНЫ ГРУЗИНСКИХ ХУДОЖЕСТВЕННЫХ ТРАДИЦИЙ

Грузинское народное прикладное искусство имеет большое историчес-

кое прошлое. Его традиции живы и сейчас.

Народные умельцы искусно и с большим вкусом выполняют резьбу по дереву, по камню, работают по чеканке, по кости, по тканью ковров и по войлочным изделиям. Художест-

венное же шитье и вязание можно сказать несравнены.

Особенно живы традиционные искусства в быту горцев Грузии.

И. Н. КЕЦХОВЕЛИ

Академик АН Грузинской ССР

БОГАТАЯ СОКРОВИЩНИЦА ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Топонимика Грузии неисчерпаема, по неолетним подсчетам на территории Грузии можно записать не менее 250—300 тысяч наименований. Многие раскрывают тайны расселения грузинских племен. В Карталинии очень часто обнаруживаются названия западногрузинских племен, и наоборот, на побережьях Черного моря часто отмечаются сванские названия, в Гурии — чанские и т. д. Во многих местах Грузии первичный покров растительности давно исчез, сменен степными и другими формациями, но топонимика дает богатейший материал для уточнения прежнего растительного покрова (Паитвани — заросли дикой груши, Мухвани, Мухвари — заросли дуба, Телвани — заросли карагача, Зезвари — колюче кустарниковая степь, Нарвани — заросли бодяка, Вазвани — заросли или сады виноградной лозы, Ишара — заросли ясени и т. д. (Многие места сохраняют память об исторических событиях) Наомари — место, где происходили бои, Нацхари — место, где была крепость, на-

селлари — где была село, Накалаквари — место, где процветал город). В силу прежних историко-экономических отношений вокруг каждой деревни существовали названия около ста и более, т. к. каждый маленький частновладельческий участок носил свое специфическое название. Благодаря нового социалистического быта многие названия теряются т. к. отдельные массивы носят новые соответствующие названия, (Массив третьей бригады, виноградники первой бригады и т. д.) и теряются прекрасные слова, прекрасные названия.

Наши научные учреждения ведут топонимическую работу, но темпы совершенно не удовлетворительны и потому нужно потрудиться, создать авторитетный комитет с участием высших организаций (Верховный Совет, Академия Наук, Министерство Просвещения и др.) и немедленно широким фронтом, приступить собиранию материала и составлению топонимической полной энциклопедии Грузии.



ИНЖЕНЕРНОЕ ДЕЛО И УКРЕПЛЕНИЕ АРХИТЕКТУРНЫХ
ПАМЯТНИКОВ

(Храм Цирколи)

Статья посвящена замечательному памятнику VIII в. храму Цирколи, который до 1955 года находился в аварийном состоянии. В результате землетрясений был оторван его южно-восточный угол, разрушен большая часть коихи, поврежден купол. К этому прибавились и природные повреждения.

В порядке дня стал вопрос его одновременного укрепления.

Эту сложную и ответственную работу Спец-научная реставрационная мастерская разрешила с большим успехом, в результате чего опытные специалисты вновь вернули грузинской культуре, восстановленный в первоначальном виде, этот замечательный памятник грузинского зодчества.

Г. И. АСАТИАНИ

Начальник участка Западно-Грузинской зоны
Спец. научно-реставрационной мастерской

УКРЕПЛЕНИЕ КУПОЛА МАРТВИЛЬСКОГО ХРАМА,
ПОВРЕЖДЕННОГО ЗЕМЛЕТРЯСЕНИЕМ

Автор статьи вкратце рассказывает об укреплении купола Мартвильского храма, который был поврежден землетрясением.

20 августа 1959 года на памятнике побывала комиссия. Начали работу над проектом укрепления, который был принят лишь через год.

После снятия лицевых квадров, оказалось, что внутрискладчатая смесь

не качественная, что под сомнением ставил прочность стены.

Эта работа, безусловно, не было проектом предусмотрена, и поэтому, специалистам пришлось работать параллельно на двух участках. Надо было действовать осторожно, чтоб раствор не повредил бы стенную роспись храма.

Эта сложная работа успешно была завершена и сейчас купол восстановлен в первоначальном виде.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების შესამე ყრილობას საზოგადოების პრეზიდიუმის მილოცვა აკად. გ. ჩუბინაშვილისადმი დაბადებიდან 60 წლისთავზე	5 6
კულტურის ძეგლთა მკვლჩი და მოამაგეჩი	
ვახტანგ ბერძე — ვიორგი ჩუბინაშვილი და ქართული კულტურის ძეგლთა დაცვა-პოპუ- ლარიზაციის საქმე	7
В. В. Беридзе — Г. Н. Чубиняшвили и вопросы охраны и популяризации на- матников грузинской культуры	
მთიანი საქართველოს ძეგლები	
ვიორგი ჩუბინაშვილი — სეანეთში შემონახულ სიძველეთა დაცვის საკითხისათვის	13
Г. Н. Чубиняшвили — К вопросу охраны памятников древности Сванетии	13
მზისთვალა კუბოჯღღე — მხატვრული ქსოვილები სეანეთიდან	13
М. Н. Кеңховели — Художественные ткани из Сванетии	
ვახტანგ გამბეველი — დვალეთის კარნი ცენტრალღერ კავკასიისზე	23
В. Н. Гамрекели — Двалетские ворота центрального Кавказа	
რღუღდან მეფისაშვილი — მშენებლობის ამსახველი რელიეფები ქორღლის ძეგღზე	34
Р. С. Мешейшвили — Рельефы Корого со сценами строительных процессов	
ვახტანგ დოღბე — შატღლი	38
В. О. Дольдде — Шатღли	
შაქრო მაისურაძე — ქართული ხალღური მხატვრული ტრადიციების დაცვისათვის	43
З. Н. Маисурадде — К вопросу охраны грузинских художественных традиций	48
ნიკო კეცხოველი — წმინდა სეუნჯე	
Н. Н. Кеңховели — Богатая сокровищница грузинского языка	
ძეგლთა მეცნიერული დაცვა-აღღგენის პრაქტიკა	
ღღეან ზიშიაშვილი — სინთეზრო საქმე და არქიტექტურის ძეგლთა გამაგრება (წირქღლის ტაძარი)	51
Л. А. Химиняшвили — Искаженное дело и укрепление архитектурных памят- ников (Храм Циркози)	
გრიგოღ ასათიანი — მიწისძვრით დაზიანებული გემზათის გამაგრება (მარტღლის ტაძარი)	55
Г. Н. Асатяანი — Укрепление купола Мартвильского храма, поврежденного землетрясением	
საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების III რღესუბღღერი ყრიღობა	57
III республиканский създ Грузинского Общества охраны памятников культуры	
ქ რ ი კ ა	75
Х р о н и კ ა	
აღღთიანი ნა რუსიომ იაღღე	81

Грузинское общество охраны памятников культуры

Серия «Памятники материальной культуры»

Выходит на общественных началах

ДРУЗЬЯ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ

Сборник пятый

(На грузинском языке)

სერიის რედაქტორი ირაკლი აბაშიძე

რედაქტორი ვახტანგ ცინცაძე

ყდა დაავით დუნდუასი

ტიქრედაქტორი გ. ამაშუკელი

კორექტორი თ. რამიშვილი

ფერადი ფოტო-ილუსტრაციები დაბეჭდილია ფერადი ბეჭდვის სტამბაში

გადაეცა წარმოებას 26|VII 65 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18|X 65 წ.

ნაბეჭდ თაბ.—7, 19-საად. საგამომ. თაბ.—6,13

ანაწყობის ზომა 7 x 11 | ქალაქის ზომა 70x108 |116

ფასი 97 კაპ.
Цена 97 кап.

რედაქციის მისამართი: ძვრევის ქ. 19, ტელ. 9-84-47

საქართველოს თეატრალური საზ.-ის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3

Типография театрального Общества Грузии Тбилиси, ул. Горького № 3

შეკვეთა 2887

შე 03443

ტირაჟი 1500

Грузинское общество охраны памятников культуры

Серия «Памятники материальной культуры»

Выходит на общественных началах

ДРУЗЬЯ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ

Сборник пятый

(На грузинском языке)

სერიის რედაქტორი ირაკლი აბაშიანი

რედაქტორი ვახტანგ ცინცაძე

ყდა დავით დუნდუასი

ტიქრედაქტორი გ. ამაშუკელი

კორექტორი თ. რამიშვილი

ფურადი ფოტო-ილუსტრაციები დაბეჭდილია ფურადი ბეჭდვის სტამბაში

გადაეცა წარმოებას 26|VII 65 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18|X 65 წ.

ნაბეჭდ თაბ.—7, 19-საად. საგამომ. თაბ.—5,13

ანაწყოების ზომა 7 x 11 | ქალაქის ზომა 70x108 |116

ფასი 97 კაპ.
Цена 97 кап.

რედაქციის მისამართი: ძვრევიანის ქ. 19, ტელ. 9-84-47

საქართველოს თეატრალური საზ.-ის სტამბა, თბილისი, გორკის ქ. № 3

Типография театрального Общества Грузии Тбилиси, ул. Горького № 3

შეკვეთა 2887

უფ 03443

ტარაფი 1500



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა